

K 246228
3

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
ବୋଲ୍ଡ୍ ସ୍ଟାର୍ ପ୍ରକାଶନିକା

କାନ୍ତିଜୀ ମିନ୍ଦିନାଳୁଙ୍କ

ଅକ୍ଷେତ୍ରମହିମାନ ଗାନ୍ଧୀଜି

ବେଳେ



ଟର୍ମିନ୍ସିଯା 2005

F86371
3



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიუმის მუზეუმი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

დაგინა გიგორე აშვილი

არქეოლოგიური გათხრები

ხევზი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის

არქეოლოგიური ექსპლორის შრომები

IV

თბილისი 2005



ნაშრომი ეძღვნება ხევში (ყაზბეგის რ-ნი) 1988-1991 წ.წ. არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგად გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას. მასში განხილულია სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის ძეგლები: ძვ. წ. III ათასწ. ე. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურის“ შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკა და გველეთის VI-VIII ს.ს. სამაროვანი თავისი მრავალრიცხვანი ინვენტარით, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა ხევის კავშირურობიერობების გასარკვევად, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასთან, ისე სასანურ ირანთან. ნაშრომის მოზრდილი ნაწილი ეთმობა დარიალის ციხეს, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიისათვის. ციხეზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად განხილულია ხევის ისტორიის რიგი საკითხები. ცალკე თავები ეთმობა ხევში ფართოდ გავრცელებული აკლდამებისა და ზურგიანი კოშკების შესწავლას. წიგნი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და მეოთხეულთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

პროფ. რ. რამიშვილი
ისტ.მეცნ.დოქ.

რეცენზენტები

პროფ. ჯ. გვასალია
ისტ.მეცნ.დოქ.
გ. რჩეულიშვილი
ისტ.მეცნ.კანდ.



ს 303-2000
ე. ერეკლესიანი

© დ. მინდორაშვილი

ISBN 99928-0-843-8

1246228



აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული რეგიონების არქეოლოგიური კვლევა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მნიშვნელოვნად წავიდა წინ. იმ დროისათვის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. პროფ. რ. რამიშვილი) მიერ ფართო დაზვერვითი თუ ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების შედეგად ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთში და სხვ. გამოვლენილი სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის უაღრესად საყურადღებო მასალების შესწავლამ ხშირ შემთხვევაში სრულიად ახლებურად დასვა და გააშუქა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკვანძო პრობლემები.

ბუნებრივია, სხვა კუთხეებთან ერთად, ექსპედიციის ინტერესების სფეროში იმხანად ხევის (ყაზბეგის რ-ნი) ტერიტორიაც მოექცა (ტაბ. I, II). ძველად „წანარეთის ხევად“ წოდებული ისტორიული ხევი ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისთანავე მის ორგანულ ნაწილს შეადგენდა და როგორც უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების მქონე რეგიონი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ქართლის სამეფოს უსაფრთხოება ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან, მუდამ სამეფო ხელისუფლების მზრუნველობის ქვეშ იყო მოქცეული. ასეთი მნიშვნელობის გამო ხევის ტერიტორია ყოველთვის სამეფო-სახასო საკუთრებას წარმოადგენდა (გარდა იმ პერიოდისა, როცა ის ერთხანობას არაგვის ერისთავებმა მიიტაცეს). ადრე

წვრილმარცვლოვანი. მსგავსი ფორმისა და შემქულობის ჯამები ფართოდაა გაურცელებული XII-XIII ს.ს. [მარგველაშვილი, 1999:17]. ხაროიან ნაგებობაში აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის სამი ნატეხი. პირგაშლილი კოჭობის ანგობირებული ბაკო მოჭიქულია მწვანედ. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 101). ჯამის ანგობირებულ ზედაპირზე მუქი სოსნისფერი ზოლებით შედგენილ რომბებში გამოყვანილია ყვითელი და სოსნისფერი ლაქები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალია. ძირზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი წითელი (ტაბ. XXXIV, სურ. 102). ჯამის ანგობირებულ ზედაპირზე მწვანე ზოლებით შედგენილ რომბებში გამოყვანილია ყვითელი წრიული ლაქები, რომელთაც შემოუყვება სოსნისფერი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალია, ძირი შეღარული. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 103). მოჭიქვის ხერხით, ფორმითა და პეციო აღნიშნული ჯამები XII-XIII ს.ს. უნდა დათარიღდეს. მსგავსი ჯამები არაერთია ცნობილი როგორც ჟინვალის ნაქალაქარიდან, ისე არაგვის ხეობის განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარებიდან [მარგველაშვილი 1999:17]. რამდენადმე მოგვიანოა მოჭიქული კერამიკის სამი ფრაგმენტი. ერთი მათგანი კოჭობის (?) პირ-გვერდია. პირზე შემორჩენილია სოსნისფერი ჭიქუროვანი საღებავი. თიხა შედარებით წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 50). მეორე ფრაგმენტი ჯამის ძირია. ანგობირებული შიდაპირი შევსებულია სოსნისფერი საღებავით. ძირი ბრტყელია, ქუსლო. თიხა მსხვილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად

ნაწილობრივ დაზიანდნენ ან დაზიანება ელოდათ, რაზმა არქეოლოგიურად შეისწავლა.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ჩვენს მიერ 1988-1991 წ.წ. ხევში ჩატარებული დაზვერვებისა და არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგების პუბლიკაციას. არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ხევის ისტორიის სხვადასხვა საკითხები. ჩვენი აზრით, რიგი საკითხებისა, განსაკუთრებით ისეთები, რომელთა შესახებ წყაროების სიმცირეს განვიცდით, ვერ იქნება ყოვლისმომცველი და მით უმეტეს საბოლოოდ გადაჭრილი. სათანადო მასალების უქონლობის გამო, ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენამდე ხევის ისტორიის რიგი პრობლემების გადაწყვეტა პკლავ მომავლის საქმედ რჩება.²

* * *

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი, მონაპირე „ქვეყნის“ – ხევის (ყაზბეგის ონი) ისტორიულმა ძეგლებმა მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ XIX ს. 70-იან წლებში მიიქცია. თანდათან დაგროვდა საქმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონი საქმაოდ

² 1988-1991 წ.წ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დ. მინდორაშვილი (რაზმის უფროსი), ივ. წიკლაური, ს. სოსელია, გ. ჩიქვინიძე; არქიტექტორები დ. სანაძე, დ. ჭითავა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები: ნ. ჯაფარიძე, თ. ჯაფარიძე, შ. მაჭავარიანი, გ. ჯაში; მდლოლები: ა. ჩერქეზიშვილი და ო. კარიაული.

ფართოა — ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ვიდრე
გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ცარისებრი
ციცქარითა

1874 წ. აწინდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოს
გვერდით შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები. იმ
ადგილას 1877 წ. გ. ფილიმონოვის მიერ ჩატარებული
გათხრების შედეგად მიკვლეულმა ძვ. წ. VI-V ს.ს.
მნიშვნელოვანმა მასალებმა, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი
ყაზბეგის „განძის“ სახელწოდება მიიღო [წითლანაძე 1976:6;
Филимонов 1878:26-33]. „განძის“ აღმოჩნდის ადგილი 1878 წ.
შეისწავლა ფრ. ბაიერნმა. მან იქ გამოავლინა
მრავალრიცხოვანი ოქროსა და ვერცხლის ნივთები,
ნახევრადვირფასი ქვებით შემცული სამკაულები, ბრინჯაოს
სამაჯურები და სხვ. [Bayern 1885:41-45]. ფრ. ბაიერნს მცირე
დაზვერვითი სამუშაოები ჩაუტარებია დარიალის ციხეზე,
ხოლო სოფ. ართხმოსა და ჯუთაში გაუთხრია შუა
საუკუნეების ქვის სამარხები, სადაც აღმოჩენილა ბრინჯაოს
სასაფეთქლე რგოლები, სამაჯური, ფარაკიანი ბეჭდები,
ღილები, რკინის ისრისპირები, მოჭიქული ავგაროზი და სხვ.
[Коллекции Кавказского музея 1902:39; Bayern 1885:41-45].

1879 წ. ს. და პ. უვაროვებს, გ. ანტონოვიჩს, კ. ოლშევსკის
და სხვა არქეოლოგებს გათხრები ჩაუტარებიათ ფრ.
ბაიერნის განათხარი ფართობის სამხრეთით, სადაც
მიუკვლევიათ ცალკეული ნივთების შემცველი კულტურული
ფენებისა და სამი სამარხისათვის. იქ აღმოჩენილი ოქროს,
ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები გ. ფილიმონოვის
მიერ გამოვლენილ ნივთებთან შედარებით უფრო
გვიანდელია [Антонович 1882:253-255].

1882 წ. სოფ. გველეთთან მცირე მასშტაბის გათხრები ჩაუტარებია გ. ხატისოვს. მის მიერ აღმოჩენილი ნივთები ზამბარიანი საკინძები, ბრინჯაოს სარკეები, სამაჯურები, მძივები და სხვ. გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეებისაა [წითლანაძე 1976:8].

1888 წ. დაბა ყაზბეგში გათხრებს აწარმოებდა ა. ბობრინსკი, რომლის მიერ აღმოჩენილი, ნივთები ა. ბ. და ბ. წ. I ს.ს. მიეკუთვნება [OAK 1891:229].

1934-1935 წ.წ. თერგის ხეობაში დაზერვებსა და გათხრებს აწარმოებდა ა. კრუგლოვი. ექსპედიციამ დრიალის ციხეზე ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები. განათხარი მასალა დათარიღდა VIII-X ს.ს. [Круглов 1937:247].

სოფ. ლარსში ა. კრუგლოვმა შეისწავლა სამ იარუსად განლაგებული ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი რამდენიმე უინვენტარო ქვის სამარხი. მიცვალებულები დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილო-დასავლეთით.

ექსპედიციამ იმუშავა დაბა ყაზბეგშიც, „განძის” აღმოჩენის აღგილას. თუმცა, ამ სამუშაოს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ყაზბეგშივე ერთ-ერთი ხატის მახლობლად, ქვის გროვაში ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს უპოვია ქვისგან გამოთლილი ცხვრის დაზიანებული ქანდაკება, რომელიც ფორმით წააგავდა სოფ. ცდოში დღესაც არსებულ, სალოცავად ქცეულ ცხვრის ქანდაკებას [Круглов 1937:248].

1958 წ. სოფ. ლარსთან შემთხვევით აღმოჩნდა სამარხები. მათგან ერთი სამარხის ინვენტარის შეგროვება მოხერხდა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა მიერ. კოლექცია, რომელიც იმავე მუზეუმშია დაცული,

შეიცავს ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა ნივთებს, მძივებს
და სხვ. [წითლანაძე 1976:10].

1960 წ. არქეოლოგმა ი. გძელიშვილმა მდ. ტერხენას (მდ.
თერგის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე შეისწავლა
ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი. მანვე საცდელი
თხრილები გაატარა აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოშიც,
მაგრამ არქეოლოგიურ აღმოჩენებს იქ აღგილი არ ჰქონია
[წითლანაძე 1976:10].

1962 წ. დარიალის ციხეზე და აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის
ეზოში გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ.
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
კავკასიონის სამხრეთი კალთების ბრინჯაოს ხანის
შემსწავლელი არქეოლოგიური რაზმი. სახლ-მუზეუმის
ეზოში გავლებულ თხრილში გამოვლინდა გვიანი შუა
საუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები [წითლანაძე
1963:31].

დარიალის ციხეზე წარმოებული დაზვერვებისა და
გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ბრინჯაოს ისრისპირმა,
ცხოველის სტილიზებული თავებით შემკულმა საკინძმა,
აქატის მძივმა და სხვ. დაადასტურა, რომ ციხეზე
წარმოდგენილია პირველ საუკუნეზე ადრინდელი ფენებიც.
ციხის სამხრეთით მდებარე სამაროვანზე გაითხარა ორი
ქვის სამარხი. ერთ მათგანში აღმოჩნდა მინის დაკუთხული
მძივი.

რაზმი მუშაობდა სოფ. ლარსის მახლობლად, სადაც
წყალდიდობით გადარეცხილი გზის ქვეშ აღმოჩნდა
დაზიანებული სამარხები. იქ გამოვლენილი კერამიკა წითლად
და ჩალისფრად ან შავადაა გამომწვარი. საყურადღებოა

შავად გამომწვარი ჭურჭლის ძირი, რომელზეც ბორბლის /
რელიეფური გამოსახულებაა წარმოდგენილი და აქვს სრული სიმეტრიულად განლაგებული ნახვრეტი [წითლანაძე 1963:32].

ერთ-ერთ სამარხში ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. შემორჩენილი თავის ქალა ქვაზე იდო. მიცვალებულის სახის წინ გამოვლინდა შავად გამომწვარი თიხის კოჭობი, რომლის ძირი ასევე ბორბლის რელიეფური გამოსახულებითაა შემჯული. მკერდის არეში გაბნეული იყო მინის, სარდიონის და ქარვის მძივები. წელის არეში აღმოჩნდა რკინის ორიოდე ნივთი, მათ შორის მშვილდსაკინძი. სამარხი თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. ლარსთან აღმოჩენილი კულტურული ფენა ეპუთენოდა სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლებას, რომელიც ალბათ დარიალის ციხის ფორპოსტს წარმოადგენდა [წითლანაძე 1963:33].

მომდევნო წელს ექსპედიციამ აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ჩრდილო ნაწილში გავლებულ თხრილში აღმოაჩინა რომბული მოყვანილობის ქარვის მძივი და სარდიონის მრგვალი მძივი, მსგავსი ყაზბეგის განძში შემავალი მძივებისა.

დარიალის ციხის სამხრეთი ფერდის ძირას შესწავლით იქნა ოთხკუთხა გეგმის მქონე რამდენიმე საცხოვრებელი სათავსოს საძირკველი. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა კერა. განათხარი ფართობის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ქვით მოკირწყლული ადგილი, რომელიც შესაძლოა თავლა იყო [წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964:23]. განათხარ მასალაში მრავალრიცხოვან სადა კერამიკასთან ერთად, მცირე რაოდენობით გვხვდება მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც. ლითონის ინვენტარიდან აღსანიშნავია: რკინის ისრისპირები,

დანის ნატეხი, ნემსისებური ნივთი, ბრინჯაოს სამაჯურისა და საკინძის ნატეხი და სხვ. ნამოსახლარზე სარდიონის ერთი მძივი და მინის ინკუსტირებული მძივი [წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964:24].

ციხის სამაროვანზე გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი რამდენიმე ქვის სამარხი. მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. მხოლოდ ერთ მათგანში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და ორი ბეჭედი. მათგან ერთი თვალბუდიანია. მეორე დამზადებულია ერთმანეთში გადახლართული ბრინჯაოს ორი მავთულისაგან. სამარხები თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით [წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964:25].

ექსპედიცია დაზვერვებს აწარმოებდა სოფ. სიონის, გარბანის, ფხელშეს, გერგეტის მიდამოებში, სადაც გამოავლინა არაერთი საყურადღებო ძეგლი, უპირატესად მიწისქვეშა აკლდამები [წითლანაძე 1977:99-103].

1966 წ. დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე, აღგილზე, რომელსაც „გიგიას სათიბს“ უწოდებენ, შემთხვევით გამოჩნდა ქვის სამარხთა ჯგუფი. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი 13 ქვის სამარხიდან ინვენტარიანი მხოლოდ 6 გამოდგა. ზედა დონის სამარხები შედარებით მოზრდილია და უინვენტარო. ქვედა დონის სამარხებში მიცვალებულებს თიხის ჭურჭელი ფეხებთან ედგათ. ზოგიერთს წელის არეში ახლდა რკინის დანა და ბრინჯაოს აბზინდა. სამარხებში გამოვლინდა: ბრინჯაოს მშვილდსაკინძის ნატეხები; მინის, მთის ბროლისა და სხვა მასალისაგან დამზადებული

მძივები; შავი მინის გრეხილი სამაჯურები; ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები, რომელთაგან ერთს თვალი დაკარგული ჰქონდა. მეორე ბეჭდის თვალი არაბულწარწერიანი გემაა. სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე ვერცხლის ორი არაბული (იემენური) IX ს. მონეტა; მინის სასმისი; ბრინჯაოს კოვზი და სხვ. სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი ემსგავსება ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნილ მასალებს, ნაწილი კი ქართული ყოფისთვისაა დამახასიათებელი [წითლანაძე . . . 1967:76,77; წითლანაძე . . . 1998:70,80].

1972 წ. იმავე ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი, რაზმის უფროსი გ. დამბაშიძე) განაახლა „გიგიას სათიბის“ სამაროვნის გათხრები. შესწავლილ იქნა ფიქალის ფილებით შედგენილი 38 ქვის სამარხი, რომლებიც განლაგებული იყო 2-3 იარუსად. სამარხები ძირითადად დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მიცვალებულთა უმრავლესობა დაკრძალულია თავით დასავლეთით, ნაწილი კი აღმოსავლეთით, ზურგზე გაშოტილი ან მოხრილი კიდურებით. სამარხები ინდივიდუალურია. მათში ხშირად ჩნდებოდა ნახშირის კვალი. ზოგიერთი სამარხი სრულიად უინვენტაროა. უხვინვენტარიანი გამოდგა №№ 11, 13 სამარხები. მათში აღმოჩნდა: რკინის დანა, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ღილები, ვერცხლის სარკე, მინის ჭურჭლები, სარდიონისა და მინის ინკრუსტირებული მძივები, ნიჟარა „ქაური,” შავი მინის ბეჭდები და სხვ. სხვა სამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია: ოქროს „მტევნისებური“ საყურე, ვერცხლის ღილები, თიხის ჭურჭელი, რკინის ცული. სამაროვანი თარიღდება IX-X ს.ს. [რამიშვილი . . . 1973:75,76].

ექსპედიცია დაზვერვებსა და მცირე მასშტაბის გათხოვებს აწარმოებდა სოფ. გერგეტში წმიდა გიორგის სახელმწიფოს ეკლესიის ტერიტორიაზე. ეკლესიის სამხრეთ მინაშენში შესწავლილ იქნა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ქვის სამი უინვენტარო საოჯახო სამარხი. ეკლესიის ახლოს გაიწმინდა მიწისქვეშა უინვენტარო აკლდამა, რომელშიც აღმოჩნდა 14 თავის ქალა. მსგავსი აკლდამები ექსპედიციამ შეისწავლა სოფ. გარბანში, წმიდა გიორგის სახელმწიფოს ეკლესიის ეზოში, სოფ. სიონის ეკლესიის ზღუდეში, არშის ციხის ტერიტორიაზე, სოფ. ახალციხის ღვთისმშობლის სახელმწიფის ეკლესიის ეზოში. აკლდამები ყველა ერთი ტიპისაა. გეგმაში ისინი სწორკუთხაა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე რამდენადმე წაგრძელებული. ნაგებია მეტ-ნაკლებად დამუშავებული დიდი ზომის ქვებით. წყობა მშრალია. ზოგჯერ წყობაში დუღაბიცაა გამოყენებული. გადახურულია ფიქალის ფილებით. აკლდამაში კვადრატული მოყვანილობის ჩასასვლელი როგორც წესი მოწყობილია დასავლეთ ნაწილში. ამავე მხარეს აქვს საფეხურები, რომლებიც შედგენილია კედლიდან გამოშვერილი ქვებით. ერთის გარდა ყველა აკლდამა გაძარცვული იყო. აკლდამების ფუნქციონირების ქვედა ოარიღი განისაზღვრა IX-X ს.ს. [რამიშვილი . . . 1973:76].

მომდევნო წელს ექსპედიცია სწავლობდა მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე სოფ. ტყარშეტის მიდამოებში მდებარე სამ ეკლესიას და ეკლესიებთან დაკავშირებულ სამარხებს. ბერი წმიდა გივარგის, კვირაღვთისშვილის და მამაწმიდის სახელმწიფის ეკლესიები მომცრო ზომისაა, დარბაზული ტიპის. თარიღდება IX-დან X-XI ს.ს. მიჯნით [რამიშვილი . . . 1974:71-73].

კვირაღვთისშვილის სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთით
გაითხარა ფიქალის ფილებით შედგენილი ორი სამართლის
ისინი დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-
დასავლეთ ხაზზე. პირველ სამარხში აღმოჩნდა თავით
დასავლეთით დასვენებული სტმი ჩონჩხის ფრაგმენტები.
სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. მეორე სამარხში
გამოვლინდა თავით დასავლეთით დამხრობილი, მარცხენა
გვერზე დასვენებული ჩონჩხის ფრაგმენტები. სამარხში
გამოვლინდა ბრინჯაოს ხუთი ბეჭედი და ნახშირის კვალი
[რამიშვილი . . . 1974:72].

მამაწმიდის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთით შესწავლით
იქნა სამი მიწისქვეშა აკლდამა. ისინი დამხრობილია
აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მცირე გადახრებით, გეგმაში
ოთხეუთხაა. ნაგებია მშრალად, ფიქალითა და ქვის კვადრებით.
გადახურულია განივად გადებული ფიქალის ფილებით.
აკლდამებს ჩასასვლელი აქვთ სახურავის დასავლეთ
ნაწილში. მიწისქვეშა აკლდამების ეს ტიპი დამახასიათებელი
ჩანს ხევისათვის. მათში აღმოჩნდა მიმოფანტული ჩონჩხის
ფრაგმენტები. იქვე გაითხარა ფიქალით შედგენილი ორი
ქვის სამარხი. ისინი დამხრობილია აღმოსავლეთიდან
დასავლეთით, მცირეოდენი გადახრებით. ერთ მათგანში
აღმოჩნდა თავით დასავლეთით დამხრობილი, გულაღმა
გაშოტილი და გულხელდაკრეფილი ჩონჩხი. სამარხი
უინვენტარო იყო. მეორე სამარხში (№ 5) გამოვლინდა თავით
დასავლეთით დამხრობილი მოხრილად დასვენებული
მიცვალებულის ჩონჩხი. სამარხი უინვენტაროა. მასში
აღმოჩნდა ნახშირის კვალი [რამიშვილი . . . 1974:72,73].

1978-1980 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ექსპედიციამ, რომელსაც არქეოლოგებიც მონაწილეობდნენ, გათხოვითი სამუშაოები აწარმოა ბეთლემის ცნობილი სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ ნაგებობაში.

ნაგებობაში გამოვლინდა 5-10 სმ სისქის არქეოლოგიური მასალის შემცველი შრე, რომელიც ზედ ედო ფიცრის იატაქს. განათხარი მასალა შეიცავს ლითონის, მინის, კერამიკის, ხის, ძვლის, ქვისა და ვერცხლის ნივთებს, რომლებიც დათარიღდა X-XI ს.ს. [მჯედლიშვილი 1981:37-40; მჯედლიშვილი, ნიკოლაიშვილი 1986:42-50], მაგრამ ეს თარიღი არ უნდა იყოს მართებული, რადგან მთელი რიგი ნივთები (მაგ. ჭრაქები, ვერცხლის სამკაულები და სხვ.) აშკარად გვიანი შუა საუკუნეებისაა.

სამონასტრო კომპლექსის გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალასთან ერთად საინტერესოა ჯერ კიდევ 1948 წ. ალპინისტური ექსპედიციის (ხელმძღ. ალ. ჯაფარიძე) მიერ საკუთრივ ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული და ამჟამად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ვერცხლის ხატი, ბრინჯაოს შანდლის ძირი, XV-XVIII ს.ს. მონეტები; აგრეთვე ცოტა მოგვიანებით ჩამოტანილი რკინით მოჭედილი კარი, ჯაჭვი და სხვ. [ითონიშვილი 1963:56; ჯაფარიძე 1995:225-227; დჯაპარიძე 1948:228-239].

1978-1980 წ.წ. ექსპედიციის წევრებს კლდის მასივის აღმოსავლეთით უნახავთ წარწერიანი ორი ქვის დაფა, რომელთაგან ერთზე ჯვარიცაა ამოკვეთილი. ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ხუცურწარწერიანი ქვის შესახებ თავის დროზე ს. მაკალათიაც მიუთითებდა [მაკალათია 1934:236]. მონასტრის ტერიტორიაზე

აღმოჩნდა ლოდზე ამოკვეთილი მცირე ზომის ჯვრის ორი გამოსახულება. ექსპედიციამ მოინახულა გამოქვეყნულზე ული რომელშიც ახლა მხოლოდ ჯვრის გამოსახულებებით შემცელ სტელის ბაზა დგვს. ბ. მჭედლიშვილის აზრით, მართალია გათხრებით მოპოვებული მასალები რამდენადმე მოგვიანოა, მაგრამ მონასტრის არსებობა უფრო ადეულ ხანაშია სავარაუდო. მისი დაარსება საქართველოში მეუდაბნოეობის გავრცელების ხანას – VI-VII ს.ს. შეიძლება დავუკავშიროთ. თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავდა, ამ საკითხის დასაბუთებას სჭირდება შემდგომი კვლევა-ძიება [მჭედლიშვილი 1981:40].

ყაზბეგის რაიონში გაზის ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ 1988-1989 წ.წ. განაახლა ხევის ისტორიული ძეგლების შესწავლა. გათხრები წარმოებდა დარიალის ციხის დასავლეთით მიმდებარე ფართობზე; აგრეთვე ზედა ციხეზე და ციხის სამხრეთით მდებარე სამაროვანზე. ციხის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის ძირას, სადაც ჩრდილოეთი კარიბჭე უნდა ყოფილიყო, V ს. მიწურული – VI ს. დასაწყისით დათარიღებული გალავნის კედლის ქვეშ აღმოჩნდა 6 მ სისქის მშრალი წყობით ნაგები მასიური კედელი. შესაძლოა მისი აგება უკავშირდებოდეს ქართლის მეფე მირვანის (ძვ. წ. II ს.) სამშენებლო საქმიანობას [მინდორაშვილი 1998:85]. ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას, კულტურულ ფენებში გამოვლინდა ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ნატეხები. იშვიათია მოჭიქული კერამიკა, ლითონის, მინისა და ქვის ნივთები.

იმავე წლებში ციხის სამაროვანზე გაითხარა აღმოსავლეთიდან
დასავლეთით დამხრობილი 31 უინვენტარო ქვის სასარჩუ,
რომლებშიც მიცვალებულთა ძვლები ცუდად იყო შემორჩენილი.
თუმცა, დაკრძალვის ქრისტიანული წესის დადგენა კარგად
ხერხდება. ოთხ სამარხში მიცვალებული ესვენა თავით
დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე, ოდნავ ფეხებმოკეცილი
[მინდორაშვილი 1991:2-6; რამიშვილი... 1997:105].

1991 წ. ხევის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან აღმოჩენებს
ჰქონდა ადგილი. მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე სოფ.
ტყარშეტში, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით
გამოვლინდა ადრე ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი –
მოზრდილი დერგი და სასმისი. ხევის არქეოლოგიურ
მასალებს შორის აღნიშნული ჭურჭლები ჯერჯერობით
ყველაზე ადრეულია [მინდორაშვილი 1993:33,34].

იმავე წელს ექსპედიციამ დარიალის ხეობაში, მდ. თერგის
მარცხენა ნაპირზე, გველეთის ციხის მახლობლად გათხარა
გაზის ტრასის მშენებლების მიერ ნაწილობრივ დაზიანებული,
აღმოსავლეთიდან დასავლეთით დამხრობილი ქვის სამარხები.
სამაროვნის მასალები უაღრესად საინტერესო გამოდგა ადრე
შუა საუკუნეების ხევის მოსახლეობის ისტორიის რიგი
პრობლემების გასარკვევად. სამაროვანი თარიღდება VI ს.
მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით [მინდორაშვილი 1996:41-
43; 2000:87-94; 2000ა:78-86; 2001:81-90].

ასეთია მოკლედ ხევის არქეოლოგიური შესწავლის
ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ხევში არქეოლოგიური
გათხრები ჯერ კიდევ XIX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო,
ხევის არქეოლოგიური ძეგლების მეტ-ნაკლები სისრულით
გამოვლენა კვლავ მომავლის საქმედ რჩება. არქეოლოგიური

მასალები ხშირად ერთადერთ წყაროდ გვევლინება ხევის
ისტორიის ამა თუ იმ საკითხის განხილვისას, რის გამოცვენები
მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

თავი I

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა სოფ. ტყარშეტიდან

ქვ. V. IV ათასწ. მეორე ნახევარში ქვემო ქართლსა და მის
მიმდებარე რაიონებში ყალიბდება თავისებური სამიწათმოქმედო
კულტურა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა
ცნობილი [ჯაფარიძე 1976:62]. შემდგომში ეს კულტურა ფართოდ
ვრცელდება როგორც სამხრეთი (აღმოსავლეთ ანატოლია,
ურმიისპირეთი, სირია, პალესტინა), ისე ჩრდილოეთი (დაღესტანი,
ცენტრალური კავკასიის გარკვეული ოლქები).

უკანასკნელ ხანებში მთიულეთში, ხევსურეთსა და ფშავში
აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები [გვასალია 1976:144;
რამიშვილი... 1991:90] მიუთითებენ, რომ სხვა ტერიტორიებთან
ერთად, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს
ათვისებული ჰქონდათ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს
მთიანეთის სამხრეთი ფერდობები ალპური სამოვრების
ჩათვლით (ვაკისსოფლის მასალები), არამედ კავკასიის
მთიანეთის ჩრდილოეთი ფერდობიც (გიორგიშვილის
მასალები) [რამიშვილი 1996ა:4].

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ
მდ. თერგის ხეობის ათვისებასა და ამ კულტურის ჩრდილოეთ

კავკასიაში გავრცელების საკითხთან დაკავშირებით
მნიშვნელოვანია 1991 წ. მდ. თერგის მარცხნიანაშირზუ
სოფ. ტყარშეტში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით
აღმოჩენილი ორი ჭურჭელი.³ ერთი მათგანი მოზრდილი დერგია.
დერგი პირგაშლილია, ფართო, დაბალი ყელით, მაღალი ტანითა
და ვიწრო ბრტყელი ძირით. ოვალურგანიგვეტიანი ყურები
მიერთებულია მხრებზე. გამომწვარია მოწითალოდ. თიხა
მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატებში მუქი. დერგის
ზომები: სიმაღლე 53 სმ, პირის დიამეტრი 37 სმ, ძირის დიამეტრი
12,5 სმ, კეცის სისქე 1 სმ (ტაბ. IV, სურ. 1).

მეორე ჭურჭელი მინიატურული სასმისია, ოდნავ პირგაშლილი,
დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, ბრტყელძირიანი.
ოვალურგანიგვეტიანი ყური მიერთებულია ჭურჭლის პირსა
და მხარზე. სასმისი შაგრიალა. ჭურჭლის ზომები: სიმაღლე
6,5 სმ, პირის დიამეტრი 6 სმ, ძირის დიამეტრი 4,5 სმ (ტაბ. IV,
სურ. 2). საფიქრებელია, რომ ჭურჭელი გაუთვნოდა სამარხეულ
ინვენტარს [მინდორაშვილი 1993:33]. აღნიშნული ჭურჭლები
ფორმებით ახლო დგას შატილიდან 5 კმ დაშორებულ სოფ.
გიორგიშინდაში გამოვლენილ მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან,
რომელიც თარიღდება III ათასწლეულის შუა ხანებით ან
ამ ათასწლეულის მეორე ნახევრით [რამიშვილი . . . 1991:90]
დაახლოებით იმავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს სოფ.
ტყარშეტიდან მომდინარე კერამიკაც. როგორც ჩანს,
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებთან
ერთად (მთიულეთი, ხევსურეთი, ფშავი) მტკვარ-არაქსის
კულტურის მატარებელი ტომები გარკვეულ ეტაპზე ითვისებენ

³ ექსპედიციის მიერ 1988-1991 წ.წ. გამოვლენილი მასალა ინახება
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაზე.

ხევის ტერიტორიასაც. სოფ. ტყარშეტის მასალებმა ცხადყო,
რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის
გავრცელების სხვადასხვა გზებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან
გზას მდ. თერგის ხეობაც წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ
მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები არაგვი-თერგის ხეობებში
სწორედ ამ გზის აყოლებითაა გამოვლენილი [გვასალია 1976:144;
რამიშვილი . . . 1984:59].

ჯერჯერობით მდ. თერგის ხეობიდან აღრე ბრინჯაოს ხანის
მხოლოდ ორი ჭურჭელი მოგვეპოვება. ვფიქრობთ, სამომავლოდ
გამოვლენილი მასალები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ
კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების
პრობლემის კვლევას.

თავი II

გველეთის სამაროვანი

სოფ. გველეთი მდებარეობს დარიალის ხეობაში, დაბა
ყაზბეგიდან ჩრდილოეთით 8 კმ დაშორებით, მდ. თერგის მარცხნა
ნაპირზე. სოფელს სამხრეთიდან თავზე დაჰურებს ციხე,
რომელიც აგებულია ორი მაღალი კლდის თხემზე და ამ
კლდების დამაკავშირებელ ვიწრო ყელზე ციხეზე შემორჩენილია
გალავნის ნაშთები, ზურგიანი და სწორკუთხა გეგმის მქონე
შესაუკუნეების ორი კოშკი (ტაბ. V, სურ. 1, 2, 3). იქვე შეინიშნება
ცალკეული ნაგებობები, აგრეთვე აღმოსავლეთიდან დასავლეთით
დამხრობილი ნახევრადმიწური აკლდამა და ქვის სამარხები
(ტაბ. V, სურ. 4). გველეთის ციხე, მისგან ჩრდილოეთით მდებარე

დარიალის ციხესთან ერთად, წარმოადგენდა ხეობისა და
მასზე გამავალი ჩრდილოეთ და სამხრეთ ტუმშების
დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო
მაგისტრალის დამცველსა და მაკონტროლებელ სიმაგრეს.

წერილობით წყაროებში გველეთი პირველად იხსენიება
„ჟამთააღმწერელთან“ XIII ს მიწურულის ამბებთან
დაკავშირებით (ქც II:305,9). 1297 წ. მონღოლების წინააღმდეგ
აჯანყებული დაფით VIII (1292-1311 წ.წ.) ციკარაში გამაგრდა.
მონღოლებს მეფე გველეთის ციხეში ეგონათ და ხევში
გადავიდნენ. სტეფანწმიდაში ისინი დიდ წინააღმდეგობას
წააწყდნენ და უკან გამობრუნდნენ (ქც II:305,4-14). მონღოლებს
გველეთის ციხეზე, რომელიც აჯანყებული მეფის ერთ-ერთ
ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, შემდგომშიც გაულაშქრიათ
და იმჯერად უკვე გარკვეული წარმატებისათვის მიუღწვიათ
(ძეგლი ერისთავთა 1954:347). გველეთი მოხსენიებულია „გერგეტის
სულთა მატიანის“ XV ს. საბუთში, სადაც დასახელებულია
გველეთიდან გერგეტის სამებისათვის მისაცემი მბევლები, ვინმე
„. . . ანი და ხარსილაი“ (შარაშიძე 1954:271).

გველეთს იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც, რომლის ცნობით:
„გერგეთს ქუეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ხევი
გელათისა, ძუელად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი,
ხოლო ამ უწოდებენ გუელეთს. ამ გუელეთს ქუეით ერთვის
არაგუსვე ხევი, სამხრ-აღმოსავლეთიდამ . . . გარდავალს ამ
ხევიდამ გზა ძურძუქსა და ქისტეთს . . .“ (ქც IV:358,4-10).
ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით გველეთს ძველად გელათს
უწოდებდნენ. როდის მოხდა სახელთა შენაცვლება, თუ ასეთ
მოვლენას მართლაც ჰქონდა ადგილი, ძნელი სათქმელია. ერთი
ცხადია, „ჟამთააღმწერელთან“ (XIV ს.) ციხე უკვე გველეთად

იხსენიება (ქც II:305,9). ვახუშტი ბაგრატიონის ხევის სოფელთა სიაში გველეთი „გველის-თავად“ იხსენიება (ბაგრატიონი 1941:200). სოფ. გველეთი მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“-შიც. ხევის სოფელთა სიის შედგენისას მას ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან უსარგებლია (ბაგრატიონი 1986:15, 16, 36). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტოპონიმი გველეთი დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენში ძველთაგანვე გავრცელებულ გველის ქულტთან (ხორნაული 1983:156).

§ 1. სამარხთა აღწერა. 1991 წ. აგვისტოში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიიღო ცნობა, რომ გაზის ტრასის მშენებლებს სოფ. გველეთის მიდამოებში დაენგრიათ სამაროვანი, რომელიც მდებარეობს გველეთის ციხის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ დაშორებით, მდინარეების თერგისა და დევდორაკის შესართავთან, თერგის მარცხენა ნაპირზე, მაღალი კლდის ძირას, გაზის ტრასის გვირაბის სამხრეთი გამოსასვლელის მიმდებარე ფართობზე. სამაროვანი განლაგებულია დამრეც ფერდზე. მშენებლებს გაზის მილებისათვის განკუთვნილი ტრანზე გაეთხარათ სამაროვნის დასავლეთ ნაწილში, კლდის ძირის გაყოლებით. ტრანზე ჭრილში შემორჩენილი იყო 7 მეტ-ნაკლებად დაზიანებული ქვის სამარხი. ვეღარაფერი ითქმება მთლიანად დანგრეულ სამარხებზე, რომელთა რაოდენობა თუ სამარხთა სიმჭიდროვესა და გადანაყარ მიწაში სამარხების ქვების რაოდენობას გავითვალისწინებთ, დაახლოებით ამდენივე უნდა ყოფილიყო. ექსპედიცია სასწრაფოდ შეუდგა სამაროვნის შესწავლას და პირველ რიგში გათხარა ის სამარხები,

რომლებიც დაზიანდნენ ან დაზიანება ელოდათ (ტაბ. VI). შემდგომში უსახსრობის გამო იქ მუშაობის განახლების მოხერხდა. ამდენად, სამაროვანი ჯერჯერობით მთლიანად არაა შესწავლილი.

გასათხრელ ფართობზე ნიადაგის ფენათა მონაცემებია ასეთია: სამაროვანი დაფარულია კლდიდან ჩამოშლილი ქვა-დორდით. მის ქვემოთ ქვიშნარი ფენაა, რომელიც თავის მხრივ ეფარა თიხნარის საკმაოდ დიდ მასივს. თიხნარის სიმძლავრე ერთ ადგილას 3 მ აღწევდა, რაც ხევისათვის იშვიათობაა. სამარხების უმრავლესობა განლაგებულია ქვიშნარ ფენაში. ზოგიერთი სამარხი ჩაჭრილი იყო თიხნარ ნიადაგში (სამარხები №№ 13-16).

სამარხი № 1 მდებარეობს სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კლდის ძირას (ტაბ. VI, სურ. 1). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. ძირი მოგებულია ფიქალით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. სამარხში შეიმჩნეოდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე 2,2 მ, სიგანე 70 სმ, სიმაღლე 45 სმ (ტაბ. VII, სურ. 1).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დანა. რკინის. ტარზე შერჩენილი ხის ნაშთით. სიგრძე 12,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. VIII, სურ. 1).
2. ბეჭედი. ვერცხლის. დაბალი, წრიული მოყვანილობის თვალბუდითა და მრგვალგანივავეთიანი რკალით. თვალი პატარაა. რკალის დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვალთან (ტაბ. XI, სურ. 2).

3. მშვილდსაკინძი. რკინის. ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი. სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში (ტაბ. IX, სურ. 3).
4. მშვილდსაკინძი. რკინის. ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი. სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის წვივის ძვლებთან (ტაბ. IX, სურ. 4).

5. აბზინდა. ბრინჯაოსი. საგვარ საქამრე რგოლზე უძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფარაკი ორი მანქვალით. წითელი მინის თვლით ინკრუსტირებული ენა რგოლზეა გადაკეცილი. სიგრძე 3,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. X, სურ. 5).

6. ხელადის პირის ნატეხი. სამტუჩა. მოჩალისფროდ გამომწვარი. თიხა წმინდადაა განლექილი. თხელკეციანი. კეცის სისქე 2 მმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ, დანგრეულ ნაწილში. ხელადის დანარჩენი ნაწილი დაიკარგა სამარხის დაზიანებისას (ტაბ. XIV, სურ. 6).

სამარხი № 2 მდებარეობს № 1 სამარხის ჩრდილოეთით 1,4 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 2). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. გარდა რამდენიმე უფესვო კბილისა, სამარხში ძვლები არ შემორჩენილა. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე 1,1 მ, სიგანე 40 სმ, სიმაღლე 35 სმ (ტაბ. VII, სურ. 2).

სამარხში აღმოჩნდა:

1. მშვილდსაკინძი. რკინის. მუხლსახსრიანი. სამად გატეხილი. სიგრძე 4 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 7).

2. ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი. ცილინდრული მოყვანილობის, ფართოპირიანი. შავპრიალა. თიხა წვრილმარცვლოვანი: კეცის სისქე 2-8 მმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 8).

სამარხი № 3 მდებარეობს № 2 სამარხის ჩრდილოეთით 1 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 3). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. სამარხში ძვლები არეულია, რის გამოც დაკრძალვის პოზის დადგენა ჭირს. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე 2,5 მ, სიგანე 70 სმ, სიმაღლე 50 სმ (ტაბ. VII, სურ. 3).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბალთა. ბრინჯაოსი. ასომთავრული „Ó“-ს მაგვარი. სიგრძე 2,2 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. X, სურ. 9).
2. რკინის ნივთის ფრაგმენტი. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XIII, სურ. 10).
3. მშვილდსაკინძი. რკინის. ჭვინტიანი. შემორჩენილი სიგრძე 4,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 11).
4. ბეჭედი. ბრინჯაოსი. ბრტყელგანივეკვეთიან რკალში ჩასმულია წრიული მოყვანილობის მინის თვალი, რომელზეც ამოკვეთილია S-ის მაგვარი ნიშანი. რკალის დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა მენჯის არეში, მიცვალებულის მარცხენა ხელის თითზე (ტაბ. XI, სურ. 12).
5. მძივები. სფერული ფორმის. სარდიონის 1 ც; მომწვანო მინის 4 ც; ყვითელი მინის 7 ც; ინკრუსტირებული 2 ც; მინის

ერთი მძივი შეტყუპებული სფეროს ფორმისაა. აღმოჩნდა
სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 13). ცარის გადამზარდი
6. ჭურჭლის გვერდის ნატეხი. მონაცრისფროდ გამომვარი.
შებოლილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 7 მმ.
აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. XIV, სურ. 14).

სამარხი № 4 მდებარეობს № 3 სამარხის ჩრდილო-
დასავლეთით 20 სმ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 4). სამარხის
კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. სამარხი თავის
დროზე გადახურული უნდა ყოფილიყო ფილებით, რომლებიც,
როგორც ჩანს, ტრაქტორმა მოანგრია მიწის ზედა ფენების
აღებისას. სამარხის ძირი მოგებულია ფიქალის ფილებით.
დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მიცვალებული
ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ფეხები
გადაჯვარედინებული ჰქონდა მუხლებთან. მენჯისა და
კუდუსუნის ძვლები დადასტურდა მკერდის არეში. ქვედა ყბა
- თავის ქალას ზემოთ. ძვლების ამგვარი აღრევა უნდა
გამოეწვია ტრაქტორის ზემოქმედებას. სამარხის ზომები:
სიგრძე 2 მ, სიგანე 45 სმ, სიმაღლე 40 სმ (ტაბ. VII, სურ. 4).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი. ვერცხლის. ოვალური მოყვანილობის დაბალი
თვალბუდით, რომელშიც ჩასმულია შავი მინის თვალი.
რკალი ოვალურგანიველეთიანია. რკალის დიამეტრი 2 სმ.
აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. XI, სურ. 15).
2. ბეჭედი. ვერცხლის. რომბისებური მოყვანილობის დაბალი
თვალბუდით. შავი მინის თვალი პრეპარაციისას დაიშალა.
რკალი მრგვალგანიველეთიანია. რკალის დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა
მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. XI, სურ. 16).

3. ბალთა. ბრინჯაოსი. „ნიღბისებური.“ სამი მანგავალით. სიგრძე 2 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვალობაზე (ტაბ. X, სურ. 17).
4. მშვილდსაკინძი. რკინის. ბუდემთლიანი. ძლიერ დაჭანგული. სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში (ტაბ. IX, სურ. 18).
5. აბზინდა. რკინის. ერთწილადი. ოვალურჩარჩოიანი. სიგრძე 2 სმ, სიგანე 3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. X, სურ. 19).
6. მძივები. ცილინდრული ფორმის. მომწვანო მინის 4 ც; ყვითელი მინის 58 ც; მინის ერთი მრგვალ-ბრტყელი მძივი ინკრუსტირებულია. მძივები გაბნეული იყო მიცვალებულის მკერდის არეში (ტაბ. XV, სურ. 20).
7. დანის ნატეხი. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის არეში (ტაბ. VIII, სურ. 21).
8. დანა. რკინის. ცალპირდესული. შემორჩენილი სიგრძე 7,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვლებთან (ტაბ. VIII, სურ. 22).
9. ხელადა. სამტუჩა. გოფრირებული ყელით. მხრებდა შვებული. ოვალურგანიველთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ყურზე დაძერწილი აქვს კოპი. გამომწვარია წითლად. ტანი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხეში მუქი. ხელადის ზომები: სიმაღლე 25 სმ, პირის შიდა დიამეტრი 5,5 სმ, ძირის დიამეტრი 11,5 სმ, კეცის სისქე 5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლებთან (ტაბ. XIV, სურ. 23).

სამარხი № 5 მდებარეობს № 3 სამარხის ჩრდილოეთით 1,5 მ მანძილზე (ტაბ. VI, სურ. 5). სამარხიდან შემორჩენილია

ქვის სამი ფრაგმენტი. მის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება
ითქვას, რომ წარმოადგენდა ქვის სამარხს და დამხროვნელ
იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

სამარხი № 6 მდებარეობს № 5 სამარხის ჩრდილოეთით
2,5 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 6). სამარხის კედლები
შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე
ფილებით. ძირი მოგებულია ფიქალით. დამხრობილია
აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რამდენადმე გადახრილია
ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის
აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებულის ქვები
არ შემორჩენილა. საკარაუდოდ მიცვალებული ესვენა თავით
დასავლეთით, რადგან იმ ადგილას აღმოჩნდა ვერცხლის
საკიდები. სამარხის შემორჩენილი ზომები: სიგრძე 1,4 მ, სიგანე
60 სმ, სიმაღლე 55 სმ (ტაბ. VII, სურ. 6).

სამარხში აღმოჩნდა:

1. შუბისპირი. რკინის. მასრიანი. პირზე დაუყვება ქედი. შემორჩენილი სიგრძე 35 სმ. აღმოჩნდა სამარხის სახურავზე (ტაბ. VIII, სურ. 24).
2. ბალთა. ბრინჯაოსი. შეისრულწვერიანი. ერთწილადი. ქვედა
მხარეს აქვს ორი მანჭვალი. ბალთა ნაკლულია. სიგრძე 4 სმ.
აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. X, სურ. 25).
3. საკინძი. ბრინჯაოსი. ღეროს შემორჩენილი სიგრძე 8 სმ.
აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში (ტაბ. XIII, სურ. 26).
4. მძივები. სფერული. სარდიონის 10 ც; მინის 17 ც. აღმოჩნდა
სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 27).
5. მშვილდსაკინძი. ვერცხლის. ჭვინტიანი. ბრტყელგანივევეთიანი
მშვილდი შემაღლებულია მუხლისაკენ. მუხლსასხსრიანი. მუხლს
ორივე მხრიდან ამკობს ბურთულები. ენა რკინისა პქონია. სიგრძე

4,6 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (გაბ. IX, სურ. 28).

6. საკიდები (2ც). ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია მრგვალგანივევეთიანი მავთულისაგან. შეა ნაწილი შესქელებულია. ბოლოები თანაბრად ვიწროვდება. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში (გაბ. XIII, სურ. 29).

სამარხი № 7 მდებარეობს № 6 სამარხიდან ჩრდილოეთით 1,4 მ დაშორებით (გაბ. VI, სურ. 7). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. ძირი მოგებულია ფიქალით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სამარხის შემორჩენილი ზომები: სიგრძე 1,2 მ, სიგანე 70 სმ, სიმაღლე 60 სმ (გაბ. VII, სურ. 7).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბალთის (?) ფრაგმენტი. რკინის. სიგრძე 3,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში (გაბ. XIII, სურ. 30).

სამარხი № 8 მდებარეობს № .7 სამარხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,2 მ დაშორებით (გაბ. VI, სურ. 8). მისი გერდითი კედლები შედგენილია ფიქალის ფილების ორი რიგით, თავ-ბოლო კედლები ვერტიკალურად ჩასობილი ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სამარხში შეიმჩნეოდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე 1,9 მ, სიგანე 50-60 სმ, სიმაღლე 40 სმ (გაბ. VII, სურ. 8).



სამარხი აღმოჩნდა:

1. აბზინდა. ბრინჯაოსი. მასიური. ორწილადი. ოვალური ჩარჩო და „ხორთუმისებური“ ენა შემკულია ბურცობებით. კვადრატული მოყვანილობის ფარაკი მოძრავადა მიერთებული ჩარჩოზე. სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის სავარაუდო არეში (ტაბ. X, სურ. 31).
2. მშვილდსაკინდი. რკინის. ბუდემთლიანი. მუხლსახსრიანი. სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 32).
3. დანა. რკინის. ცალპირლესული. სიგრძე 16,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის სავარაუდო არეში (ტაბ. VIII, სურ. 33).
4. საკიდი. ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია მრგვალგანივეკეთიანი მავთულისაგან. შუა ნაწილი შესქელებულია. ბოლოები თანდათან ვიწროვდება. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XIII, სურ. 34).
5. მძივები. ლურჯი მინის. სფეროსებური, 12 ც. გაბნეული იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 35).

სამარხი № 9 მდებარეობს № 8 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,8 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 9). სამარხის გვერდითი და თავ-ბოლო კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხი სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლებით ზემოდან ფარავდა №№ 10, 14 სამარხებს (ტაბ. VI, სურ. 9, 10, 14). სამარხი საოჯახოა. ორი მიცვალებულის ქვები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთ ნაწილში (მიცვალებულთა რიცხვი განისაზღვრა ქვედა ყბის ძვლების რაოდენობით). სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაეკრძალათ მესამე მიცვალებული –

ბავშვი, რომლის მხოლოდ კბილები იყო შემორჩენილი. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. სამარხში შომები; სიგრძე 1,8 სმ, სიგანე 90 სმ, სიმაღლე 60 სმ (ტაბ. VII, სურ. 9). სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი. ვერცხლის. წაკვეთილი კონუსის ფორმის თვალბუდეში ჩასმულია შავი მინის თვალი. რკალი ბრტყელგანივავეთიანია. რკალის დიამეტრი 1,2 სმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. XI, სურ. 36).
2. ბეჭედი. შავი მინის. ოდნავ დაბრტყელებული „ფარაკითა“ და მრგვალგანივავეთიანი რკალით. დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. XI, სურ. 37).
3. სამაჯური. ბრინჯაოსი. გრეხილი. დამზადებულია ორად გაკეცილი წვრილი მავთულისაგან. დეფორმირებული. აღმოჩნდა მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. X, სურ. 38).
4. საყურეები (2ც). ბრინჯაოსი. ორწილადი. პირგახსნილ რგოლზე ზემოდან დარჩილულია ბრინჯაოს ბურთულა. რგოლზე ქვემოდან მოძრავადაა მიერთებული ბრინჯაოს სამი ერთმანეთზე მირჩილული ღრუ ბურთულა. სიგრძე 5,5 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. XIII, სურ. 39).
5. დანის ნატეხი. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 4,5 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. VIII, სურ. 40).
6. მძივები. მინის, მილაკისებური, ვერცხლისფერი სარჩულით, 11 ც; მინის სხვადასხვა ფერის მძივები: ბიკონუსური 3 ც, სფეროსებური 3 ც, მოგრძო ფორმის 6 ც, დაბრტყელებული, სწორკუთხა მოყვანილობის 1 ც. ინკრუსტირებულებს შორის გვხვდება: სფეროსებური, კასრისებური, მრგვალ-ბრტყელი და მოგრძო ფორმის 10 ც. მძივები აღმოჩნდა სამარხის



ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც დაკრძალული იყო
მცირებულოვანი მიცვალებული (ტაბ. XV, სურ. 41). პლატინიუმი

სამარხი № 10 მდებარეობს № 9 სამარხის სამხრეთით
(ტაბ. VI, სურ. 10). ისე, რომ № 9 სამარხი სამხრეთ-დასავლეთი
კუთხით ზემოდან ფარავდა № 10 სამარხის ჩრდილოეთ
(გვერდით) კედელს (ტაბ. VI, სურ. 9, 10). სამარხის გვერდითი
კედლები შედგენილია ერთმანეთზე დაღებული ფიქალის
რამდენიმე ფილით. თავ-ბოლო კედლები ვერტიკალურად
ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე
ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით.
რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ - სამხრეთ-
აღმოსავლეთით. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში გაიშმინდა
მიცვალებულის პარალელურად განლაგებული ქვედა
კიდურების ძვლები. შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული
ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხში
შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე
2 მ, სიგანე 50 სმ, სიმაღლე 40 სმ (ტაბ. VII, სურ. 10).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ნივთი. რკინის. გაურკვეველი დანიშნულების. აღმოჩნდა
მიცვალებულის ბარძაყის ძვლების სავარაუდო არეში (ტაბ. XIII,
სურ. 42).
2. შუბის მასრა. რკინის. ძლიერ დაუანგული. აღმოჩნდა სამარხის
სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. VIII, სურ. 43).
3. მძივი. სარდიონის. სფერული. აღმოჩნდა მიცვალებულის
კისრის სავარაუდო არეში (ტაბ. XV, სურ. 44).

სამარხი № 11 მდებარეობს № 8 სამარხის აღმოსავლეთით
0,5 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 11). სამარხის გვერდითი
კედლები შედგენილია ქვიშაქვისა და ფიქალის ქვების

ერთმანეთზე დაღაგებული ორი-სამი რიგით. თავ-ბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადასურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხში გაიწმინდა მიცვალებულის პარალელურად განლაგებული ქვედა კიდურების ძვლები. მიცვალებულს ხელის მტკვნები დაღაგებული პქონია მუცელზე, რაზეც მიუთითებს მუცლის არეში აღმოჩენილი ორი სამაჯური და ბეჭედი. შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე 1,6 მ, სიგანე 70 სმ, სიმაღლე 35 სმ (ტაბ. VII, სურ. 11).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სამაჯური. ბრინჯაოსი. მრგვალგანივეუთიანი. თავგახსნილი. ქედშესქელებული. შემჯულია გველის თავის სტილიზებული გამოსახულებით. დიამეტრი 6,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის სავარაუდო არეში (ტაბ. X, სურ. 45).
2. სამაჯური. ანალოგიური. დიამეტრი 7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის სავარაუდო არეში (ტაბ. X, სურ. 46).
3. საკინძის თავი. ბრინჯაოსი. სფერული. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში (ტაბ. XIII, სურ. 47).
4. მშვილდსაკინძის ნატეხი. რკინის. ბუდემთლიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში (ტაბ. IX, სურ. 48).
5. დანის ნატეხი. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში (ტაბ. VIII, სურ. 49).
6. ბეჭედი. ბრინჯაოსი. წაკვეთილი კონუსის ფორმის თვალბუდეში ჩასმულია შავი მინის თვალი. რკალი

მრგვალგანივეკვეთიანია. რკალის დიამეტრი 1,8 სმ. აღმოჩნდა
მიცვალებულის მუცლის არეში (ტაბ. XI, სურ. 50).

სამარხი № 12 მდებარეობს № 1 სამარხის აღმოსავლეთი
5,5 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 12). სამარხის კედლები
შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე
ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით.
სამხრეთი კედლით ის ზემოდან ფარავდა № 15 სამარხს (ტაბ.
VI, სურ. 12, 15). სამარხში შემორჩა მიცვალებულის მარჯვენა
მკლავის ძვალი, რომელიც ირიბად იდო. სამარხის ზომები:
სიგრძე 1,2 მ, სიგანე 55 სმ, სიმაღლე 45 სმ (ტაბ. VII, სურ. 12).
სამარხში აღმოჩნდა:

1. შუბის მასრა. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 13 სმ. აღმოჩნდა
სამარხის სახურავზე (ტაბ. VIII, სურ. 51).
2. მშვილდეაკინძი. რკინის. ჭვინტიანი. მუხლსახსრიანი.
ძლიერ დაჟანგული. სიგრძე 4 სმ. აღმოჩნდა სამარხის
ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 52).
3. ბეჭედი. ბრინჯაოსი. დამზადებულია ერთმანეთზე
თავგადადებული მრგვალგანივეკვეთიანი მავთულისაგან.
რკალის დიამეტრი 1,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ
ნაწილში (ტაბ. XI, სურ. 53).
4. ძეწკვი. ბრინჯაოსი. სიგრძე 6,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის
აღმოსავლეთ ნაწილში, წვივის ძვლებთან (ტაბ. XII, სურ. 54).
5. მბივები. სარდიონის, სფერული და მოგრძო 2 ც; ლურჯი
და თეთრი მინის, სფეროსებური 4 ც; მოთეთრო მინის,
მსხლისებური მოყვანილობის 1 ც; მოთეთრო მინის, გრძივი
დარებით შემკული 1 ც. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ
ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 55).

6. ხელადის ძირისა და გვერდის ნატეხები (ვ ვ). შემკულია ამოღარული ტალღოვანი და მორგვისეული გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადა განლექილი კეცის სისქე 3 მმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XIV, სურ. 56).

სამარხი № 13 მდებარეობს № 12 სამარხის ჩრდილოეთით 1 მ დაშორებით. (ტაბ. VI, სურ. 13). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მიცვალებულის ძვლები ცუდად იყო შემონახული. თავის ქალა გაიწმინდა სამარხის დასავლეთ ნაწილში. ქვედა კიდურები გადაჯვარედინებული პქნიდა მუხლის არეში. სამარხი ეუთვალიდა მცირეწლოვან მიცვალებულს. სამარხის ზომები: სიგრძე 1,1 მ, სიგანე 52 სმ, სიმაღლე 40 სმ (ტაბ. VII, სურ. 13).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ხელადა. მრგვალპირიანი. მაღალი, ვიწრო, ცილინდრული მოყვანილობის ყელით. მხრებდაშვებული. ოვალურგანიველთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადა განლექილი. კეცი თხელია. ხელადის ზომები: სიმაღლე 21 სმ, პირის დიამეტრი 5 სმ, ძირის დიამეტრი 9 სმ, კეცის სისქე 4 მმ. აღმოჩნდა სამარხის სახურავზე (ტაბ. XIV, სურ. 57).

2. დანა. რკინის. სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. VIII, სურ. 58).

3. დანა. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 8,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. VIII, სურ. 59).

4. მშვილდსაკინძი. რკინის. ბუდემთლიანი. მუხლსახსრიანი.
სიგრძე 7 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში იმუტები
(ტაბ. IX, სურ. 60).
5. მშვილდსაკინძი. რკინის. ჭვინტიანი. მუხლსახსრიანი.
სიგრძე 5,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში
(ტაბ. IX, სურ. 61).
6. მშვილდსაკინძი. რკინის. ჭვინტიანი. ძლიერ დაჟანგული.
შემორჩენილი სიგრძე 4 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ
ნაწილში (ტაბ. IX, სურ. 62).
7. დანის ნატეხი. რკინის. სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა სამარხის
ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. VIII, სურ. 63).
8. საკიდი. ბრინჯაოსი. წარმოადგენს მარცხნივ მიმართული
მხედრის სტილიზებულ გამოსახულებას. ცენტრში
გახერეტილია. სიგრძე 3,5 სმ, სიმაღლე 2,3 სმ. აღმოჩნდა
მიცვალებულის მკერდის არეში (ტაბ. XI, სურ. 64).
9. ბეჭედი. ბრინჯაოსი. წრიული მოყვანილობის თვალბუდეში
ჩასმული იყო შავი მინის თვალი. რკალი ბრტყელგანიველიანია.
რკალის დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ
ნაწილში (ტაბ. XI, სურ. 65).
10. ეკვნები. ბრინჯაოსი (3 ც). ყუნწიანი. სფეროსებური
მოყვანილობის. ქვედა მხრიდან გაჭრილია. აღმოჩნდა
სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XII, სურ. 66).
11. ზარაკი. ბრინჯაოსი. ყუნწიანი. გუმბათისებური მოყვანილობის.
სიმაღლე 2 სმ. ძირის დიამეტრი 1,5-1,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის
ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XII, სურ. 67).
12. ზარაკი. ბრინჯაოსი. ყუნწიანი. ცილინდრული
მოყვანილობის. სიმაღლეზე ჩაჭრილი ტანით. სიმაღლე ? სმ.

ძირის დიამეტრი 0,8-1 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ
ნაწილში (გაბ. XII, სურ. 68).

13. ქამრის (?) დეტალი. ბრინჯაოსი. წარმოადგენს ბოლოში
მორკალურ ბრტყელგანივეკეთიან მავთულს. სიგრძე 1,9
სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან
(გაბ. XII, სურ. 69).

14. აბზინდა: ბრინჯაოსი. სწორკუთხა საქამრე ჩარჩოზე
უძრავადაა მიერთებული ფარაკი. ენა ჩარჩოზე გადადის.
სიგრძე 2,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის წვივის ძვალთან
(გაბ. X, სურ. 70).

15. საყურე. ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია
მრგვალგანივეკეთიანი მავთულისაგან. შუაში შესქელებულია
ბოლოები თანდათან ვიწროვდება. დიამეტრი 1,3 სმ. აღმოჩნდა
მიცვალებულის თავთან (გაბ. XIII, სურ. 71).

16. ბეჭედი. ვერცხლის. დაბალი, ოვალური თვალბუდითა
და მრგვალგანივეკეთიანი რკალით. თვალბუდები ჩასმულია
ძოწის გემა, რომელზეც ამოკვეთილია ლარნაკიდან
ამოზიდული მცენარე. თვალბუდეს რკალთან მიერთების
ადგილას, ორივე მხრიდან ამკობს ხუთ-ხუთი მცირე და ორ-
ორი მოზრდილი ბურთულა. რკალის დიამეტრი 1,8 სმ.
აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (გაბ. XI, სურ.
72).

17. მონეტა. ვერცხლის. სასანური. კავადის (488-531 წ.წ.).
მოჭრილია ხორასანში 529 წ. აღმოჩნდა მიცვალებულის
თავთან (გაბ. IX, სურ. 73).

18. მძივები. სარდიონის, სფერული 56 ც; ქარვის, არასწორი
ფორმის 16 ც; გიშრის, სწორკუთხა მოყვანილობის 4 ც;
მოყვითალო მინის, ცილინდრული 89 ც; მოთეთრო მინის,

წვეთისებური, ორწილადი 3 ც; ცისფერი მინის, წვეთისებური
16 ც; მინის, ვერცხლისფერსარჩულიანი, მილაკისებური 17 ც.
მოთეთრო მინის, სფერული და მრგვალ-ბრტყელი 3 ც; მინის
ინკრუსტირებული მძივები., სფერული და მილაკისებური 4
ც; მძივები გაბნეული იყო მიცვალებულის მკერდის არეში
(ტაბ. XV, სურ. 74).

19 სასმისი. თიხის. ფართოპირიანი, ცილინდრული
მოყვანილობის ყელით. მუცელგამობერილი. ბრტყელძირა.
ოთხგუთხაგანივავეთიანი ყური მიერთებულია მხარსა და
მუცელზე. ყელი მხრები და ყური შემკულია ნაკაწრი
ორნამენტით. მუცელზე შემოუყვება კოპები. გამომწვარია
შავად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ჭურჭლის ზომები:
სიმაღლე 8 სმ, პირის დიამეტრი 6 სმ, ძირის დიამეტრი 5 სმ,
კეცის სისქე 4 მმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში
(ტაბ. XIV, სურ. 75).

20. ხელადა. სამტუჩა. გაშლილი პირით. მომაღლო ყელით.
მხრებდაშვებული. მრგვალგანივავეთიანი ყური მიერთებულია
ყელსა და მხარზე. ტანზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები.
გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადა განლექილი. კეცი
თხელია და მკვრივი. ხელადის ზომები: 21,5 სმ, პირის დიამეტრი
6 სმ, ძირის დიამეტრი 10 სმ, კეცის სისქე 4 მმ. აღმოჩნდა
სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. XIV, სურ. 76).

21. ფიალა. ბრინჯაოსი. პირმოყრილი. სწორკალთიანი.
ოვალურძირიანი. დამზადებულია ერთიანი თხელი
ფირფიტისაგან. ფიალის ზომები: სიმაღლე 5 სმ, პირის დიამეტრი
10,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. XIV,
სურ. 77).

სამარხი № 14 მდებარეობს № 9 სამარხის ჩრდილოეთით
(ტაბ. VI, სურ. 14). უკანასკნელის ჩრდილო-აღმოსავლეთი
კუთხე ზემოდან ფარავდა № 14 სამარხის სამხრეთი კედლის
შუა ნაწილს (ტაბ. VI, სურ. 9, 14). სამარხის გვერდითი
კედლები შედგენილია ქვიშაქვისა და ფიქალის ფილების
ერთმანეთზე დალაგებული ორი რიგით. თავ-ბოლო კედლები
სიმაღლეზე ჩასობილი ფიქალის ფილებია. გადახურულია
ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან
დასავლეთით. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ
– სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებულის ძვლები არ
შემორჩენილა. სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი
მძივების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული
დაუკრძალავთ თავით დასავლეთით. სამარხში შეინიშნებოდა
ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე 1,8 მ, სიგანე 60
სმ, სიმაღლე 40 სმ (ტაბ. VII, სურ. 14).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საყურე. ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია
მრგვალგანივევეთიანი მავთულისაგან. შუაში შესქელებული.
ბოლოები თანდათან ვიწროვდება. დიამეტრი 1,5 სმ. აღმოჩნდა
სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XIII, სურ. 78).
2. ნივთი. ვერცხლის. ნახევარსფეროსებური. დიამეტრი 5-7 სმ.
აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XI, სურ. 79).
3. მშვიდდსაკინძის ნატეხი. რკინის. მუხლსახსრიანი.
შემორჩენილი სიგრძე 3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის
საგარაუდო არეში (ტაბ. IX, სურ. 80).
4. დანის ნატეხი. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 9 სმ. აღმოჩნდა
სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. VIII, სურ. 81).

5. მძივები. სარდიონის, სფეროსებური 9 ც; თეთრი მინის, ტერპენიული წვეთისებური 16 ც; ლურჯი მინის, სფეროსებური 1 ც; ჭავჭავაში წრიული მოყვანილობის, დაბრტყელებული 1 ც. მძივები გაბნეული იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 82).

სამარხი № 15 მდებარეობს № 13 სამარხის სამხრეთით 1,3 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 15). სამარხის ჩრდილოეთ გვერდს ზემოდან ფარავდა № 12 სამარხი (ტაბ. VI, სურ. 12, 15). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხში დაეკრძალათ ორი მიცვალებული. მამაკაცი ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი ედო ტანის გასწვრივ. იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელის მტევანი ედო ბარძაყის ძვლებს შორის. მკერდზე ესვენა მცირეწლოვანი ბავშვი, ზურგზე გაშოტილი, რამდენადმე ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით დამხრობილი. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე 1,4 მ, სიგანე 50 სმ, სიმაღლე 40 სმ (ტაბ. VII, სურ. 15).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დანა. რკინის. სიგრძე 15 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის მენჯის ძვალთან, მარცხენა მხარეს (ტაბ. VIII, სურ. 83).
2. დანა. რკინის. შემორჩენილი სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელის არეში (ტაბ. VIII, სურ. 84).
3. მშვილდსაკინძი. რკინის. ჭვინტიანი. მუხლსახსრიანი. სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელის არეში (ტაბ. IX, სურ. 85).
4. მშვილდსაკინძი. ბრინჯაოსი. ჭვინტიანი. მუხლსახსრიანი. მშვილდის ზურგი შემქულია ამოღარული ურთიერთგადამკვეთი

და პარალელური რელიეფური ხაზებით. სიგრძე 3 სმ. აღმოჩნდა
მამაკაცის წელის არეში (ტაბ. IX, სურ. 86).

5. მშვილდსაკინძის ნემსი. ბრინჯაოსი. სიგრძე 7,8 სმ. აღმოჩნდა
მამაკაცის წელის არეში (ტაბ. IX, სურ. 87).

6. საკიდები (2 ც). ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია
მრგვალგანივავეთიანი მავთულისაგან. შუა ნაწილი
შესქელებულია. ბოლოები თანდათან ვიწროვდება. დიამეტრი
1,9 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 88).

7. საკიდები (2 ც). ვერცხლის. ანალოგიურია № 88-ისა. აღმოჩნდა
მამაკაცის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 89).

8. ნივთი. ვერცხლის. ნახევარსფეროსებური (6 ც). დიამეტრი 5-
9 მმ. აღმოჩნდა მამაკაცის თავის ქალასთან (ტაბ. XI, სურ. 90).

9. ბალთა. ვერცხლის. „ნიღბისებური“. სიგრძე 2,5 სმ. აღმოჩნდა
მამაკაცის ბარძაყის ძვალთან (ტაბ. X, სურ. 91).

10. ბალთა. ვერცხლის. „ნიღბისებური.“ ქვედა მხრიდან
ორი მანჭვალით. სიგრძე 2,4 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელის
არეში (ტაბ. X, სურ. 92).

11. ბალთა. ვერცხლის. „ნიღბისებური.“ შუაში დაუყვება
რელიეფური ხაზი. ორგან გახვრეტილია. ქვედა მხრიდან
აქვს მანჭვალი. სიგრძე 1,5 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის ბარძაყის
ძვლებს შორის (ტაბ. X, სურ. 93).

12. საკიდი. ბრინჯაოსი. ნუშისებური მოყვანილობის. ყუნწიანი.
ინკრუსტირებულია წითელი მინის თვლით. სიგრძე 2,3 სმ.
აღმოჩნდა მამაკაცის წელის არეში (ტაბ. XII, სურ. 94).

13. ბალთა. ვერცხლის. სამყურა ბალახის ფორმის. ცენტრი
შემცულია კოპით. ქვედა მხარეს აქვს ორი მანჭვალი. აღმოჩნდა
მამაკაცის მკერდის არეში (ტაბ. X, სურ. 95).

14. „დიადექა“. ბრინჯაოსი. შედგენილია 13 ც ნუშისებური და 9 ც წრიული მოყვანილობის ფირფიტისაგან. ნუშისებური ფირფიტები კუნწიანია. სიგრძე 3 სმ. წრიული ფირფიტები ორგან გახვრეტილია. დიამეტრი 1,5 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XII, სურ. 96-97).
15. ფირფიტა. ვერცხლის. ფრინველის სტილიზებული გამოსახულება. შემკულია ამოღარული წრეებით. ფეხთან აქვს ნახვრეტი. სიგრძე 4 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XII, სურ. 98).
16. ფირფიტები (2 ც). ვერცხლის. დისკოსებური. ცენტრში თვალბუდით, რომელშიც ჩასმულია მოთეთრო გაუმჯვირვალე მინის თვალი. ზედაპირი შემკულია ქვემოდან ამოზნექილი რელიეფური ორნამენტით. დიამეტრი 2,9 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XII, სურ. 99).
17. საკინძი. რკინის. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 5 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 100).
18. საკინძი. ბრინჯაოსი. მოლიანადსხმული. ოვალურთავიანი. კუნწთან შემოუყვება ორი რელიეფური სარტყელი. სიგრძე 12,2 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 101).
19. საკინძი. ბრინჯაოსი. მოლიანადსხმული. ოვალურთავიანი. კუნწთან შემოუყვება ორი რელიეფური სარტყელი. სიგრძე 11,1 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 102).
20. საკინძი. ბრინჯაოსი. ანალოგიური. სიგრძე 11,7 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 103).
21. საკინძი. ბრინჯაოსი. ანალოგიური. სიგრძე 7,7 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 104).

22. საკინძი. ბრინჯაოსი. თავი წარმოადგენს ვერცხლის ფუქა ბურთულას. სიგრძე 9 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქანკლასთან (ტაბ. XIII, სურ. 105).
23. საკინძი. ბრინჯაოსი. დაბრტყელებულთავიანი. სიგრძე 11,6 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 106).
24. საკინძი. ბრინჯაოსი. დაზიანებული თავით. სიგრძე 12 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 107).
25. საკინძი. ბრინჯაოსი. შემკული სფერული მოყვანილობის ძოვის მძივით. სიგრძე 10,5 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 108).
26. ქამარი. ბრინჯაოსი. შედგება 14 სწორკუთხა ფირფიტისაგან, რომელთაც თავსა და ბოლოში აქვთ ოთხ-ოთხი მანჭვალი. ქამრის ერთი ფირფიტა ბოლოვდება მასზე მოძრავად მიერთებული ნახევარწრიულჩარჩოიანი აბზინდით, რომლის ენა ჩარჩოს სიგანეზე დიდია. ფირფიტები მანჭვალებით დამაგრებული იყო ტყავის თასმაზე. ფირფიტების საერთო სიგრძე 17 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელზე (ტაბ. X, სურ. 109).
27. აბზინდა. ბრინჯაოსი. ორწილადი. ოვალურ ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფირფიტა სამი მანჭვალით. აბზინდის ენა ჩარჩოს სიგანის ტოლია. სიგრძე 6,5 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელის არეში (ტაბ. X, სურ. 110).
28. აბზინდა. ვერცხლის. B-ს მაგვარი. საქამრე ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული მოგრძო, ბოლოგახვრეტილი ფარაქ. აბზინდის ენა ჩარჩოზე რამდენადმე გრძელია. სიგრძე 4 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის წელის არეში (ტაბ. X, სურ. 111).
29. ქამრის დეტალები (2 ც). ბრინჯაოსი. წარმოადგენს რგოლზე ორად გაკეცილ ბოლოგახვრეტილ ვიწრო და გრძელ ფირფიტას. სიგრძე 6,3 სმ. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. XII, სურ. 112).

30. ქამრის დეტალები (3 ც). ბრინჯაოსი. წარმოადგენს მოგრძელებულ ბრტყელ ღეროს. სიგრძე 4,6 სმ; 3,6 სმ; 1,8 სმ. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. XII, სურ. 113).
31. ქამრის დეტალები. ბრინჯაოსი (3 ც) და ვერცხლის (1 ც). წარმოადგენს სხვადასხვაგვარად გაღუნულ ბრტყელ ღერაკებს. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. XIII, სურ. 114).
32. ქამრის დეტალები (2 ც). ვერცხლის. წარმოადგენს ბოლომომრგვალებულ ფირფიტას, რომელსაც ერთ მხარეს აქვს ნახვრეტი. სიგრძე 4,8 სმ. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. XII, სურ. 115).
33. ნივთი. ბრინჯაოსი. ბიკონუსური მოყვანილობის, ღრუ. სიმაღლე 3,5 სმ, დიამეტრი 6 სმ. ტყავის თასმით მიმაგრებული იყო ქამარზე (ტაბ. XII, სურ. 116).
34. ფიბულის ფარაკი (?). დარახტული ცხენის გამოსახულება. ბრინჯაოსი. ქვემოდან შეზნექილი. სიმაღლე 7 სმ. ტყავის თასმით მიმაგრებული იყო ქამარზე (ტაბ. XI, სურ. 117).
35. სარკე. ბრინჯაოსი. შემკულია რელიეფური ორნამენტით. ცენტრში აქვს მცირე ზომის ყუნწი. დიამეტრი 6,5 სმ. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. XII, სურ. 118).
36. მშვილდსაკინძი. ვერცხლის. მასიური. დამზადებულია ერთიანი ფირფიტისაგან. შუა ნაწილი შემკულია რელიეფური წერტილებით. ორ ადგილას გახვრეტილია. სიგრძე 10,5 სმ. აღმოჩნდა ქამართან (ტაბ. IX, სურ. 119).
37. გემა. მოთეთრო მინის. წრიული მოყვანილობის. მასზე ამოკვეთილია ხარირემის გამოსახულება. დიამეტრი 0,9 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XI, სურ. 120).
38. ბეჭედი. ვერცხლის. თვალბუდე, რომელიც პრეპარაციისას დაიშალა, შემკული იყო შავი მინის თვლით. რკალი


- მრგვალგანივევეთიანია. დიამეტრი 2 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის ბარძაყის ძვალთან (ტაბ. XI, სურ. 121).
39. ბეჭედი. ბრინჯაოსი. ოვალური ფარაკით. რკალი მრგვალგანივევეთიანია. დიამეტრი 1,9 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის მენჯის არეში (ტაბ. XI, სურ. 122).
40. ბეჭედი. ბრინჯაოსი. წრიული თვალბუდით, რომელსაც გარედან შემოუყვება სალტე. შავი მინის თვალზე „შტრიხული მანერით“ ამოკვეთილია გაურკვეველი გამოსახულება. რკალი მრგვალგანივევეთიანია. თვალბუდის დიამეტრი 1-1,2 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის ბარძაყის ძვლებს შორის (ტაბ. XI, სურ. 123).
41. ბეჭედი. ვერცხლის. მასიური. ოვალური მოყვანილობის მაღალ თვალბუდეში ჩასმულია სარდერის გემა, რომელზეც ამოკვეთილია მარცხნივ მიმართული ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. გამოსახულებას თავზე შემოუყვება ფალაური წარწერა-, სამართლიანობა.“ რკალი მრგვალგანივევეთიანია. თვალბუდის სიმაღლე 6 მმ, დიამეტრი 1,1-1,4 სმ, რკალის შიდა დიამეტრი 2,1 სმ. აღმოჩნდა მამაკაცის მენჯის ძვალთან (ტაბ. XI, სურ. 124).
42. მძივები. სარდიონის, სფერული 99 ც; ქარვის, არაწესიერი ფორმის 80 ც; მთის ბროლის, ოვალური 12 ც; მოთეთრო და ლურჯი მინის, წვეთისებური 34 ც; ცისფერი მინის რვა და ათწახნაგა 5 ც; ინკრუსტირებული წვეთისებური მძივი 1 ც; ცისფერი და თეთრი მინის ოვალური და ცილინდრული ფორმის 103 ც; ნიჟარა „კაური“ 3 ც. ნიჟარები პრეპარაციისას დაიშალა. მძივები გაბნეული იყო სამარხის დასავლეთ დაცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XV, სურ. 125).

სამარხი № 16 მდებარეობს № 13 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 1 მ დაშორებით (ტაბ. VI, სურ. 16). სამარხის

გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვისა და ფიქალის
ფილების ორი რიგით. თავ-ბოლო კედლები ვერტიკალურად მდგრადად გვალებული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე
ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით.
მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით
დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. მიცვალებულს
მარჯვენა ფეხის კიდური გაჭიმული ჰქონდა, მარცხენა –
მენჯის არეში მოხრილი. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის
კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე 1,8 მ, სიგანე 60 სმ, სიმაღლე
35 სმ (ტაბ. VII, სურ. 16).

სამარხში აღმოჩნდა:

1. „დიადემა“ ბრინჯაოსი. შედგენილი 31 ნუშისებური და 13
წრიული მოყვანილობის ფირფიტისაგან. ნუშისებური
ფირფიტები ყუნწიანია. სიგრძე 3 სმ. წრიული ფირფიტები ორ
ადგილას გახვრეტილია. დიამეტრი 1,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის
სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ნივთი ჩაგდებული იყო
მიცვალებულის ბარძაყის ძვლებთან (ტაბ. XII, სურ. 126-127).
2. მილაკები (2 ც). ბრინჯაოსი. ფირფიტის საშუალებით
შეტყუპებული. სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა „დიადემასთან“ (ტაბ.
XII, სურ. 128).
3. ქამრის დეტალები (3 ც). ბრინჯაოსი. წარმოადგენენ
სხვადასხვაგვარად დაგრეხილ ბრტყელ და ვიწრო ფირფიტებს.
აღმოჩნდა „დიადემასთან“ (ტაბ. XII, სურ. 129).
4. საკინძი. ბრინჯაოსი. მთლიანად სხმული. ყუნწზე შემოუყვება
ორი რელიეფური სარტყელი. შემოჩენილი სიგრძე 3,3 სმ.
აღმოჩნდა „დიადემასთან“ (ტაბ. XIII, სურ. 130).



5. აბზინდის ენა. ბრინჯაოსი. მრგვალგანივეკვეთიანი. მოხრილი წვერით. სიგრძე 3,5 სმ. აღმოჩნდა „დიჭყმაშითან“ (ტაბ. XIII, სურ. 131).
6. ქამარი. ბრინჯაოსი. შედგება ჯ-ს მაგვარი 19 ფირფიტისაგან, რომლებიც შემკულია ამოკაწრული „თევზიფხური“ ორნამენტით. ფირფიტებს აქვთ ტყავზე დასამაგრებელი ორორი მანქვალი. ქამარი იკვრებოდა ორწილადი აბზინდით, რომლის ოვალური მოყვანილობის ჩარჩო მოძრავადაა მიერთებული ორად გაკეცილ სწორკუთხა ფარაგზე. აბზინდის ენა მასიური და გრძელია. ქამრის სიგრძე 77 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიცვალებულის წვივის ძვლებთან (ტაბ. X, სურ. 132).
7. საკიდები (4 ც). ვერცხლის. მორკალური. დამზადებულია მრგვალგანივეკვეთიანი მავთულისაგან. შუა ნაწილი შესქელებულია. ბოლოები თანაბრად ვიწროვდება. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან (ტაბ. XIII, სურ. 133).
8. ნახევარსფეროები (9 ც). ვერცხლის. დიამეტრი 6-7 მმ. აღმოჩნდა საკიდებთან ერთად (ტაბ. XI, სურ. 134).
9. მშვილდსაკინძი. ვერცხლის. ბუდეაბმული. მუხლსახსრიანი. მშვილდის ზურგი ორნამენტირებულია. ენა რკინისა ჰქონია. სიგრძე 8 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ძვალთან (ტაბ. IX, სურ 135).
10. ბეჭედი. ვერცხლის. წრიული მოყვანილობის თვალბუდეში ჩასმულ სარდიონის გემაზე „შტრიხული მანერით“ ამოკვეთილია მწოლიარე ჩლიქოსანი ცხოველის გამოსახულება. რკალი მრგვალგანივეკვეთიანია. თვალბუდის სიმაღლე 0,5 სმ, დიამეტრი 1,1 სმ, რკალის დიამეტრი 1,9 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ძვალთან (ტაბ. XI, სურ. 136).

11. მბივები. სარდიონის, სფერული 18 ც; მოყვითალო მინის, ცილინდრული 15 ც; ქალცედონის, მრგვალ-ბრტყელი, მჟავურული 1 ც; ნიჟარა „კაური“ 2 ც. ნიჟარები პრეპარაციისას დაზიშადა: აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიცვალებულის ფეხებთან (ტაბ. XV, სურ. 137).

ცალკეულ სამარხებში გამოვლენილი ნივთების გარდა სამაროვანზე აღმოჩნდა წითლად გამომწვარი, სამტუჩა, გოფრირებულყელიანი ხელადა. ოვალურგანიგვეთიანი ყური მიერთებული აქვს ყელსა და მხარზე. თიხა წვრილმარცვლოვანია. კაცი გადანატებში მუქი. ხელადის ზომები: სიმაღლე 23,5 სმ, პირის დიამეტრი 4 სმ, ძირის დიამეტრი 10,5 სმ, კეცის სისქე 4 მმ (ტაბ. XIV, სურ. 138). ხელადა მომდინარეობს ერთ-ერთი დანგრეული სამარხიდან.

§ 2. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი. შესწავლილი 16 სამარხიდან ყველა ქვის სამარხია. სამარხთა აღნიშნული სახე ტიპიურია აღრე შუა სუკუნების აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ქვის სამარხები გვხვდება: დარიალის ციხეზე [წითლანაძე 1977:99], მისგან ჩრდილოეთით ორიოდე ქმ-ზე მდებარე „გიგიას სათიბის“ სამაროვანზე [რამიშვილი . . . 1973:75], ფშავში [რჩეულიშვილი 1990:26], ქინვალში [წიხლაძე 1977:96], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982:44], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988:45], სამთავროში [ტყეშელაშვილი 1956:256], არმაზისხევში [აფაქიძე . . . 1989:135], სანგრისხევში [თაკაშვილი 1904:81], ტუაქოჩორაზე [ნიკოლაიშვილი 1978:157], დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1985:92], ბეთანიაში [კაკიძე ჭილაშვილი 1961:115], მატანში [რამიშვილი 1969:118-121], რუსთავში [ჭილაშვილი 1958:57] და სხვ. ქვის სამარხები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ქავკასიაშიც [Виноградов 1970:246-249; Салихов 1985:167, 168].

კატაკომბებისაგან განსხვავებით მკვლევარები მათ ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქთონური მოსახლეობის კუთხისწლუბაზე მიიჩნევენ [Виноградов 1970:251; Гмиря 1988:53].

სამარხების გასამართავად გამოყენებულია ფიქალის ფილები, რომლებიც ხევში უხვად მოიპოვება და თითქმის ბოლო დრომდე ძირითად სამშენებლო მასალას წარმოადგენდა როგორც სამარხების, ისე საცხოვრებელი შენობების ასაგებად. შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული ქვიშაქვის ქვები. სამარხები მიცვალებულის ასაკის შესაბამისად სხვადასხვა ზომისაა. მცირეწლოვანთა სამარხების სიგრძე მერყეობს 1,1-1,4 მ შორის. მოზრდილთა სამარხების საშუალო სიგრძე 1,8-2,5 მ. სამარხების ზომების მიხედვით მათ ასაგებად გამოყენებული ქვების რაოდენობაც სხვადასხვაა. თავ-ბოლო კედლების შესაკრავად ძირითადად თითო ვერტიკალურად ჩადგმული ქვაა გამოყენებული. იმ შემთხვევაში თუ თავ-ბოლო ქვების ზომები სამარხის სიმაღლეზე ან სიგანეზე ნაკლები იყო, მათ ზემოდან ან გვერდიდან თითო ქვა ემატებოდა (სამ. №№ 1, 15, 16). გვერდითი კედლების შესადგენად გამოჟენებული ქვების რაოდენობაც სამარხების ზომების მიხედვით სხვადასხვაა და მერყეობს ერთიდან ხუთ ქვამდე. თუ გვერდითი კედლების ქვები სამარხის საჭირო სიმაღლეზე დაბალი იყო, მას ზემოდან ეწყობოდა ფილების ერთი ან ორი რიგი (სამ. №№ 8, 10, 11, 15, 16). სამარხების სიგანე დამოკიდებული იყო მიცვალებულის ასაკზე. მოზრდილი მიცვალებულების სამარხების სიგანე მერყეობს 50-70 სმ შორის. მცირეწლოვანი მიცვალებულების სამარხების სიგანეა 40-50 სმ. თუმცა, არის შემთხვევაც, როცა მოზრდილი მიცვალებულის სამარხი საკმაოდ ვიწროა – 45 სმ (სამ. № 4). განივი ზომებით (სიგანე

90 სმ) სხვა სამარხებს შორის გამოირჩევა № 9 სამარხი, რომელშიც თავის დროზე ორი მიცვალებული ესვენა. შემდგომ მუსტაფა ბაშავა და უკრძალავთ. გვხვდება ისეთი სამარხიც (№ 15), რომელშიც ორი მიცვალებული ესვენა, მაგრამ სიგანით (50 სმ) ეს სამარხი ინდივიდუალური სამარხებისაგან არ გამოირჩევა.

სამარხების სიმაღლე არაა დამოკიდებული მის სიგრძე-სიგანეზე. ეს განზომილება ნებისმიერია და მერყეობს 35-60 სმ შორის. სამარხები გადახურულია ქვის ფილებით, რომელთა რაოდენობა მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია სამარხი. გადახურვის ფილებსა და გვერდით კედლებს შორის დარჩენილი ღიობები შევსებულია წვრილი ფილებით ან გამოლესილია თიხით. სამარხებს თავ-ბოლო და გვერდითი კედლების გასამაგრებლად გარედან, ძირზე შემოუყვება წვრილი ქვები. სამარხების ძირი მოტკეპნილია. ზოგჯერ მოგებულია ფიქალის ფილებით (სამ. №№ 1, 4, 6, 7).

ყველა სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რამდენიმე ოდნავ გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით (სამ. №№ 6, 7, 8, 10, 11, 14). ამგვარი გადახრები მკვეთრი არაა და დაკავშირებულია მიცვალებულის წელიწელის სხვადასხვა დროს დაკრძალვასთან. ასეთი გადახრები ჩვეულებრივია შუა საუკუნეების სამაროვნებისათვის [აფხაზავა 1988:46].

ზოგიერთ სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. ანალოგიური სიტუაცია დასტურდება „გიგიას სათიბის“ სამარვანზე [Рамишвили... 1973:75], ხევსურეთში, ხახმატის სამარვანზე [რჩეულიშვილი 1990:77] და სხვ. სამარხებში ნახშირის აღმოჩენის ფაქტები მრავლად გვხვდება ჩრდილოეთ ქავკასიაშიც [Абрамова 1986:61; Виноградов, Мамаев 1985:5,15,17;

Габуев 1985:199; Марковин 1981:97; Минаева 1960:199; Рунич 1969:110; Семёнов 1952:118]. სამარხებში ნახშირის უძველეს გამოვლენა საფლავის ცეცხლით განწმენდის უძველეს ტრადიციასთანაა დაკავშირებული. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნიშნული წესი ემყარებოდა უძველეს რწმენას ცეცხლზე, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო და უწმინდურობისაგან განწმენდ ძალაზე [ბარდაველიძე 1941:82; გორგაძე 1987:24; რჩეულიშვილი 1990:77].

სამაროვანზე გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო სამარხები. ინდივიდუალურ სამარხთა ჯგუფს მიეკუთვნება 12 სამარხი (№№ 1, 2, 4, 6, 8, 10-14, 16). სამი მიცვალებულია დაკრძალული № 9 სამარხში, № 15-ში – ორი. ვერაფერი ითქმის № 5 სამარხზე რომლისგან მხოლოდ რამდენიმე ქვაა შემორჩენილი. სამარხებიდან სამი ბავშვისაა (№№ 2, 12, 13). ბავშვებია დაკრძალული მოზრდილებთან ერთად №№ 9, 15 სამარხში.

სამარხთა უმრავლესობაში ჩნდებოდა საკმაოდ ნაზი ქსოვილის ნაშთები, რომლებიც სუდარის ფრაგმენტები უნდა ყოფილიყო. ეტყობა მიცვალებულს სუდარაში ახვევდნენ ან სამარხში ჩასვენების შემდეგ სუდარას ზემოდან აფარებდნენ. მხოლოდ №13 სამარხში აღმოჩნდა უხეშად ნაქსოვი ქსოვილის, საფიქრებელია, სელის ნაშთი.

როგორც აღვნიშნეთ, სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მცირეოდენი გადახრებით. მიუხედავად იმისა, შემორჩენილია ოუ არა სამარხში ძვლები, ერთი რამ ცხადია, უველა მიცვალებული დასვენებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით დასავლეთით. იმ სამარხებში, სადაც ძვლები არ იყო შემორჩენილი, თავსამკაული, მიცვალებულის კბილები ოუ თავის ქალის მცირე ფრაგმენტები მხოლოდ სამარხის

დასავლეთ ნაწილში ჩნდებოდა. სხვა საქმეა მიცვალებულთა
პოზის კონკრეტული დეტალების დადგენა, რაც მასალის სიტყვაში მოიხსენიერება.
გამო შეუძლებელია 9 სამარხის (№№ 2, 3, 5-9, 12, 14) მიხედვით.

№ 4 სამარხში მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი,
თავით დასავლეთით. ქვედა კიდურები გადაჯვარედინებული
ჰქონდა მუხლის არეში (ტაბ. VII, სურ. 4). ამგვარადაა დაკრძალული
მიცვალებული № 13 სამარხში (ტაბ. VII, სურ. 13). მიცვალებულის
ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვის წესი იშვიათად, მაგრამ
მაინც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა
საუკუნეების სამარხებში. თანაც მათ ფეხები
გადაჯვარედინებული აქვთ არა მუხლის, არამედ ტერფის არეში
[აფხაზავა 1988:47; ტყეშელაშვილი 1956:260]. ამ პერიოდის
სამაროვნებისათვის ძირითადად დამახასიათებელია
მიცვალებულის ზურგზე გაშოტვა. აგრეთვე მარჯვენა ან
მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი დაკრძალვა.
მიცვალებულის მუხლის არეში ფეხებგადაჯვარედინებული
დაკრძალვა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ
ქავკასიის სამაროვნებზე [Виноградов, Рунич 1969:118; Кузнецов
1962:14,17, 26; Рунич 1969:110; Смирнов 1952:89].
ფეხებგადაჯვარედინებულ დაკრძალვას სარმატულ-ალანურ
ეთნიკურ სამყაროს უკავშირებენ [Ковалевская 1984:79], მაგრამ
როგორც ირკვევა, დაკრძალვის ამგვარი წესის ეთნიკურ
ერთეულთან დაკავშირება არამართებულია, რადგან დაკრძალვის
ქს წესი პროცენტულად უფრო მეტად გვხვდება ჩრდილოეთ
ქავკასიის ავტოქთონური მოსახლეობის სამარხებში, ვიდრე
სარმატულ-ალანურ სამაროვნებზე [Ковалевская 1984:79]. ამრიგად,
მიცვალებულის ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვა
ჩრდილოეთ ქავკასიის ადგილობრივი მოსახლეობისთვისაცაა

დამახასიათებელი და მისი შიხედვით მიცვალებულის
ეთნიკური ვინაობის, განსაზღვრა ნაკლებ დამაკავშირებულის

თუ ზოგიერთ სამარხში დაკრძალვის პოზის დეტალების
დადგენა ჭირს. დაბეჯითებით 'შეიძლება ითქვას, რომ №№ 1, 10,
11, 15, 16 სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყო
ქრისტიანული წესით. № 1 სამარხში მიცვალებული ესვენა
ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა
ტანის გასწვრივ (ტაბ. VII, სურ. 1). № 10 სამარხში გამოვლინდა
მიცვალებულის პარალელურად განლაგებული ქვედა
კიდურები და ჰქვს არ იწვევს, რომ მიცვალებული ესვენა
ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. VII, სურ. 10).
სამარხეული ინვენტარის განლაგებით ამგვარი სურათი ჩანს
№ 11 სამარხშიც (ტაბ. VII, სურ. 11). სავსებით გარკვეულია
ვითარება №№ 15, 16 სამარხებში, სადაც კარგად დგინდება
დაკრძალვის ქრისტიანული წესი (ტაბ. VII, სურ. 15, 16).

დაკრძალვის ამგვარი პოზა: ზურგზე გაშოტილი, თავით
დასავლეთით, ხელები ტანის გასწვრივ, ჩრდილოეთ კავკასიის
თანადროულ სამაროვნებზეც საკმაოდ მრავლად გვხვდება
[Виноградов 1978:204]. თუმცა, იმ პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში
ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ (ან ძალზე ნაკლებად) იყო
გავრცელებული. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი აღმოსავლეთ
საქართველოს მთიანეთის აღრე შუა საუკუნეების სამაროვნებზე
გამოვლენილ დაკრძალვის ამგვარ წესს ჩრდილოკავკასიურ
გავლენად მიიჩნევს და ქრისტიანობას ნაკლებად უკავშირებს
[Виноградов 1978:204]. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე
დაკრძალვის ეს წესი მართლაც ხშირად გვხვდება, მაგრამ არც
თუ იშვიათად, ჩრდილოეთ კავკასიის კატაკომბებსა და ქის
სამარხებში დაკრძალული ზურგზე გაშოტილი მიცვალებულები

ქოველთვის დასავლეთით არ არიან ორიენტირებული. რაც შეეხება გველეთის სამაროვანს, აქ ყვალა სამარხე კორომითი მიმართულებითა და მიმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხთა დამხრობა და მიცვალებულთა დასავლეთით ორიენტირება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, რაც ძნელია ქრისტიანობის გავლენას არ დავუკავშიროთ. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის ქართლში ოფიციალურად გამოცხადებული ქრისტიანული სარწმუნოება ჟავე რამდენიმე საუკუნეს ითვლიდა. ხოლო მთაში ახალი სარწმუნოების დანერგვას პირველი ქრისტიანი მეფეები თავიდანვე აქტიურად ცდილობდნენ. ქართლის სამეფოს მესვეურთათვის მთის მოქცევა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც სამეფოს მთისა და ბარის პოლიტიკური დეოლოგიური ერთიანობის საფუძველი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანების პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების დროს, როცა მირიან მეფის ინიციატივით წოდენში მისული წმიდა ნინოსა და მისი თანმხლები ერისთავის წინაშე მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დათმო ძველი კერპები [ქვ I:125,126; რამიშვილი 1996:17,18]. ვახტანგ გორგასალის მიერ კავკასიონის მთიანეთის დამორჩილებისათვის ბრძოლას, მთაში (მათ შორის ხევში) ქრისტიანობის ახალი ტალღის გავრცელება უნდა მოჰყოლოდა [რამიშვილი 1996:18]. მართალია, ჯუანშერის თხზულების ჩანართი მხოლოდ ვახტანგ გორგასალის მიერ ხევში საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობის შესახებ

მიგვითოთებს [ქც I:156, 19-22], მაგრამ ძნელი საფიქრობალოა, რომ ქართული ეკლესიის ორი მეფეს უკურნადებით დაეტოვებინა ხევის მოსახლეობის სარწმუნოებრივი პრობლემები. საეკლესიო ტრადიციის თანახმად VI ს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობას ქადაგებს ისე წილკნელი [ქსd 1970:558], რომლის მოღვაწეობას უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ბუნებრივია, რომ ხევი, როგორც ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი „ქვეყანა“, ამ პროცესების მიღმა ვერ დარჩებოდა. რა თქმა უნდა, იმ პერიოდის ქართლის ბარსა და მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბები რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ VII-VIII ს. ხევის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია, ამაზე მეტყველებს გველეთის სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვა ქრისტიანული წესით.

გველეთის სამაროვანზე თვალში საცემია სამარხების უხვინვენტარიანობა, რაც სამაროვანს თითქოს უფრო წარმართულ იქნა ადლევს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ბართან შედარებით მთაში მიცვალებულისათვის ნივთების ჩატანების ადათი შემორჩა საკმაოდ დიდხანს, ვიდრე ქრისტიანულმა რელიგიამ იქ საბოლოოდ და მტკიცედ არ მოიკიდა ფეხი. თუმცა, ქრისტიანობამ მაინც ვერ შეძლო ბოლომდე აღმოეფხვრა ეს ტრადიცია. მთელ რიგ ძეგლებზე მიცვალებულისათვის ნივთების ჩატანების წესი შემდგომშიც შემორჩა (რუსთავი, გავაზი, უნგალი, ხახმატი და სხვ). ასე, რომ სამარხთა უხვინვენტარიანობა ყოველთვის ვერ წყვეტს საკითხს მასში დაკრძალულთა სარწმუნოებრივი კუთვნილების შესახებ.

სამარხებში გამოვლენილი ნახშირის კვალიც თითქოს უფრო დაკრძალულთა წარმართულ სარწმუნოებაზე მიგვანიშნებს, მაგრამ საფლავის განწმენდის ეს უძველესი წესი შეა საუკუნეებშიც დიდხანსაა შემორჩენილი. მაგ. სოფ. ტყარშეტის ეკლესიებთან გათხრილ სამარხებში, რომლებიც უეჭველად ქრისტიან მიცვალებულებს ექუთვნოდათ, აღმოჩნდა ნახშირის კვალი [რამიშვილი . . . 1974:72,73]. ჩანს, მიცვალებულთა რელიგიური მრწამსის განსაზღვრისათვის არც სამარხებში ნახშირის კვალის გამოვლენას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

რამდენიმე სამარხში შეინიშნება მიცვალებულისათვის შეგნებულად დაზიანებული ნივთების ჩატანება. №№ 4, 9, 11 სამარხებში აღმოჩნდილი დანები წინასწარ გატეხილია და მათი მხოლოდ ფრაგმენტებია მიკვლეული. მიცვალებულისათვის დაზიანებული ნივთების ჩატანება უფრო ადრეულ ხანებშიც შეიმჩნევა (ვარსიმაანთკარის, ბაზალეთისა და სხვ. სამაროვნები) [წითლანაძე 1983:65]. ქრისტიანულ სამაროვნებზე დაფიქსირებული მსგავსი ფაქტები „წარმართობის“ გამოვლენადაა მიჩნეული [აფხაზავა 1988:51].

საინტერესოა, რომ მიცვალებულისათვის ნივთების საქუთრივ სამარხში ჩატანების გარდა, წესად პქონიათ საიქო ცხოვრებაში გასატანებელი ნივთების სამარხის სახურავზე დალაგებაც. მაგ. №№ 6, 12 სამარხების სახურავზე აღმოჩნდა რკინის შუბები, № 13 სამარხზე – ხელადა.

§ 3. ნივთიერი მასალა. სამაროვნის ნივთიერი მასალა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მასალის უდიდესი ნაწილი სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. გარდა ამისა, სამარხებში გვხვდება: საბრძოლო იარაღი,

საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (დანები), კერამიკული ნაწარმი, ლითონის ჭურჭელი, მონეტა და სხვ. 10

შუბისპირები. საბრძოლო იარაღი წამოღვენილია რკინის სამი ცალი შუბისპირით (გაბ. VIII, სურ. 24, სამ. №6; სურ. 43, სამ. №10; სურ. 51, სამ. №12). ორი იმდენად დაჟანგულია, რომ მათი მხოლოდ მასრებია შემორჩენილი. შედარებით უკეთაა დაცული ერთი ეგზემპლარი, რომელიც ხასიათდება მოკლე ფრთებით, დაბალი ქედითა და გრძელი მასრით (გაბ. VIII, სურ. 24). საკუთრივ სამარხში ერთი შუბია გამოვლენილი (გაბ. VIII, სურ. 43). დანარჩენები აღმოჩნდა სამარხის სახურავზე. მიცვალებულისათვის შუბის ჩატანების ფაქტები ხშირია ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე [Абрамова 1986: სურ. 55; Виноградов 1970: სურ. 3, 16; Салихов 1985: სურ. IV, 4]. ამ მხრივ გამონაკლისი არც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აღრე შუა საუკუნეების სამაროვნებია [ჩიხლაძე 1999: 12].

დანები. სამაროვანზე აღმოჩნდა რკინის 12 დანა და დანის ფრაგმენტი (გაბ. VIII, სურ. 1, სამ. № 1; სურ. 21, 22, სამ. № 4; სურ. 33, სამ. № 8; სურ. 40, სამ. № 9; სურ. 49, სამ. № 11; სურ. 58, 59, 63, სამ. № 13; სურ. 81, სამ. № 14; სურ. 83, 84, სამ. № 15). ისინი ძირითადად გამოვლინდა მიცვალებულების წელის არეში. დანები სწორტანიანია, ხის ტარებით. რაზეც მეტყველებს სატარეზე შემორჩენილი ხის ნაშთები. გვხვდება როგორც ცალპირლესული, ისე ორპირლესული ეგზემპლარები. ზოგიერთ სამარხში ორი სამი დანაა აღმოჩენილი (სამ. №№ 4, 13, 15). დანების სიგრძე მერყეობს 8-16,5 სმ შორის. მიცვალებულისათვის დანის ჩატანების წესი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის აღრე შუა საუკუნეების სამაროვნებზე [აფხაზავა 1979: გაბ. XXX, 39, 57, XXXI, 19; ჯორბენაძე 1982: 61; Абрамова

1986:სურ.1,20; Багаев, Виноградов 1972:სურ.1,25; Mamaev
1986:სურ.7,2-4].

მონეტა. სამაროვანზე გამოვლინდა ვერცხლის ერთი
სასანური მონეტა, მოჭრილი ხორასანში 529 წ. კავადის (488-
531 წ.წ.) სახელით (ტაბ. IX, სურ. 73, სამ. №13). ჩვენში
აღმოჩენილი სასანური მონეტების დიდი უმრავლესობა
კავადისაა და ოოგორც ფიქრობენ, იძერია-ირანის ინტენსიური
სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სწორედ კავადის
ზეობის დროს უნდა დაწყებულიყო [Джалагания 1979:29].⁴ ხევი
მასზე გამავალი მაგისტრალის წყალობით, რომელზეც VI ს.
30-იანი წლებიდან ირანელები ამყარებენ კონტროლს [მოქცევაი
1963:95], აქტიურად უნდა ჩაბმულიყო ამ ურთიერთობაში, რასაც
მონეტასთან ერთად ადასტურებს იქ აღმოჩენილი ირანული
წარმოშობის სხვა ნივთებიც (გემები).

მშვილდსაკინძები. მათში ოთხი ტიპი გამოიყოფა. 17
ქრისტულიდან 13 რკინისაა, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოსი.

I. ვერცხლის მშვილდსაკინძი, რომლის ზურგიც შედგება ერთი
ნახუარწრიული და მეორე მოგრძო ფირფიტისაგან. მოგრძო
ფირფიტას აქვს ნემსის დასამაგრებელი ორი ნახვრეტი (ტაბ. IX,
სურ. 119, სამ. № 15). მშვილდსაკინძს დაკარგული ჰქონდა
თავდაპირველი დანიშნულება. ის ტყავის თასმით მიმაგრებული
ყო ბრინჯაოს ქამარზე, როგორც საკიდი ამულეტი. მსგავსი
ორფიორფიტიანი მშვილდსაკინძები ჩრდილოეთ კავკასიაში
შევე IV ს. მიწურულიდან ჩნდება და ოთქმის VII ს. ბოლო
- VIII ს. დასაწყისამდე არსებობენ [Амброз 1966:76-96;
Ковалевская 1981:ტაბ.62,16,48,49,93; MAK 1888:ტაბ.XIII,13;
1900:ტაბ.LXXXI,5,10; Рунич 1976:266; Смирнов 1951:155]. მსგავსი

⁴ მონეტა განსაზღვრა ისტ. მეცნ. დოქტორშია ირ. ჯალაღალიაშ.

მშვილდსაკინძები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ევროპაში [ამბროზ 1966:82; 1971:სურ.3,1,2]. ჟღმუსტავჭავთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის ამგვარი ნივთები არაა დამახასიათებელი. გველეთის მშვილდსაკინძი დარიალის ხეობაში ჩრდილოკავკასიის გზით უნდა იყოს მოხვედრილი. თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით ის შეიძლება დათარიღდეს VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით.

II. ბუდეაბმული მუხლსახსრიანი ბიმეტალური მშვილდსაკინძი. ვერცხლის ფართო მშვილდი ბუდის ასაბმელთან ჩახრილია. მშვილდის ზურგი ორნამენტირებულია. ბუდის ბოლო მშვილდზე ხვითაა დამაგრებული. მუხლთან აქვს გრძელი ლერძი, რომელზეც ხვიების იმიტაციაა წარმოდგენილი. ნემსი რკინისა ჰქონია (ტაბ. IX, სურ. 135, სამ. № 16). ქართლში ბუდეაბმული მშვილდსაკინძები მრავლადაა აღმოჩენილი [აფხაზავა 1979:8-18], მაგრამ გველეთის ეგზემპლარს მათში მეტნაკლებად მსგავსი პარალელი არ ეძებნება. აბმული ბუდის მიხედვით გველეთის მშვილდსაკინძი შესაძლოა რამდენადმე ადრეულ ნიმუშად ჩაგვეთვალა, მაგრამ თანმხლები სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძი (ტაბ. XIII, სურ. 130); გემა, რომლის გამოსახულება შესრულებულია „შტრიხული მანერით“ (ტაბ. XI, სურ. 136) მშვილდსაკინძს VI-VII ს.ს. ათარიღებს. უფრო კონკრეტულად, მშვილდსაკინძის სამარხში მოხვედრის თარიღად VI ს. მიწურული ან VII. ს დასაწყისი მიგვაჩნია.

III. ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები 7 ერთეულია. მათგან 5 რკინისაა (ტაბ. IX, სურ. 11, სამ. № 3; სურ. 52, სამ. № 12; სურ. 61, 62, სამ. № 13; სურ. 85, სამ. № 15), 1 ვერცხლის (ტაბ.

IX, სურ. 28, სამ. № 6), 1 ბრინჯაოსი (გაძ. IX, სურ. 86, სამ. № 15). ყველა მათგანის მშვილდი დაბალი და საშუალო სიმაღლესა კინძის შედარებით მაღალია № 15 სამარხის რკინის მშვილდსაკინძის მშვილდი (გაძ. IX, სურ. 85). მშვილდსაკინძები მუხლსახსრიანია. ვერცხლის ჭვინტიან მშვილდსაკინძის ნემსი რკინისა პქონია (გაძ. IX, სურ. 28). ჭვინტი ყოველთვის გამოსახულია ბუდის აპრეხილი წვერით (ბურთულწვერიანი ეგზემპლარები არ აღმოჩენილა). ორნამენტირებული მხოლოდ ბრინჯაოს მშვილდსაკინძია, რომლის მშვილდის ზურგზე გამოყვანილია ამოღარული ურთიერთგადამკეთი და პარალელური რელიეფური ხაზები (გაძ. IX, სურ. 86). ჭვინტიანი მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძები ძირითადად VI-VII ს. მიჯნაზე გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიოდან ქართლში და აქ მაღე დაუწყიათ კეოება მათი მუხლსახსრიანი ვარიანტისა, რომელიც თავის მხრივ ძირითადად ქართლისათვის ჩანს დამახასიათებელი [აფხაზავა 1979:21]. ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ჭვინტიანი მშვილდსაკინძების გარკვეული სახეობა (6. აფხაზავას კლასიფიკაციით II ჯგუფის, II სერიის, I-II ვარიანტი) აღმოსავლურ ქართული „ექსპორტის“ საგანი უნდა იყოს [აფხაზავა 1979:25]. გეგლეთის ჭვინტიანი მშვილდსაკინძები თარიღდება VI ს. მიწურული - VII ს.

IV. ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები რკინისაა (გაძ. IX, სურ. 3, 4, სამ. № 1; სურ. 18, სამ. № 4; სურ. 32, სამ. № 8; სურ. 48, სამ. № 11; სურ. 60, სამ. № 13). მუხლსახსრიანებია №№ 2, 14 სამარხებში აღმოჩენილი რკინის მშვილდსაკინძები (გაძ. IX, სურ. 7; სურ. 80), მაგრამ ფრაგმენტულობის გამო ძნელია მათი მიკუთვნება ჭვინტიანი ან ბუდემთლიანი ეგზემპლარისადმი. № 13 სამარხში ერთად გამოვლინდა ჭვინტიანი (გაძ. IX, სურ. 61,

62) და ბუდემთლიანი (ტაბ. IX, სურ. 60) მშვილდსაკინძები ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები ცხომილი სამთავროდან, ქვემო ალევიდან და სხვ. [აფხაზავა 1979:ტაბ.XXIII,16-19,44,45; 1988:60]. სამარხეული ინვენტარის მიხედვით (ბრინჯაოს აბზინდა, ტაბ. X, სურ. 70) № 13 სამარხის ბუდემთლიანი -მშვილდსაკინძი VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება. თანმხლები მასალები (B-ს მაგვარი აბზინდა, სამ. № 1, ტაბ. X, სურ. 5; რომბისებურთვალბუდიანი ბჟევდი, სამ. № 4, ტაბ. XI, სურ. 16; „ნილბისებური“ ბალთა, სამ. № 4, ტაბ. X, სურ. 17; ბრინჯაოს მასიური აბზინდა, სამ. № 8, ტაბ. X, სურ. 31; ქადშესქელებული სამაჯურები, სამ. № 11, ტაბ. X, სურ. 45, 46) №№ 1, 4, 8, 11 სამარხებიდან მომდინარე რეინის ბუდემთლიან მუხლსახსრიან მშვილდსაკინძებს მიაკუთვნებს VII ს.

აბზინდები. სამაროვანზე აღმოჩენილია 9 აბზინდა. მათში ხუთი ტიპი გამოიყოფა. აბზინდებიდან 1 რკინისაა, დანარჩენი ბრინჯაოსი. ორი გამოვლენილია ქამართან ერთად (ტაბ. X, სურ. 109; სურ. 132). გვხვდება როგორც ერთწილადი, ისე ორწილადი აბზინდები. № 16 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ერთ-ერთი აბზინდის მხოლოდ ენაა შემორჩენილი და მისი მიკუთვნება რომელიმე ჯგუფისადმი ჭირს (ტაბ. XIII, სურ. 131).

I. ბრინჯაოს აბზინდის სწორკუთხა ჩარჩოზე უძრავადა მიერთებული ფარაკი. ენა ჩარჩოზე გადადის (ტაბ. X, სურ. 70, სამ. № 13). ანალოგიური ფორმის აბზინდები აღმოჩენილია: ურბნისში, სანთაში, სამთავროზე [აფხაზავა 1979:47], ჩმიში [Деопик 1963:129, სურ. 1, 19]. მსგავსი აბზინდები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიოდან, ყირიმიდან და ევრაზიის სხვა ოლქებიდან [Ковалевская 1979:45, ტაბ.XXI; Минаева 1960:201; Рунич 1968:სურ.3,15; 1975:სურ.323]. „მოკრაია ბალკას“ (ქ. კისლოვოდსკთან)

სამაროვნის მასალების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის აბზინდები VI ს. მეორე ნახევრითა, და VII ს. მიწურულით თარიღდება [Афанасьев 1980:50, სურ3, 5-8]. ჩმიში აღმოჩენილი ამგვარი აბზინდები მიეკუთვნება VI ს. მიწურულსა და VII ს. დასაწყისს [Деопик 1963:129]. ძირითადად ასეთი თარიღია გაზიარებული აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებში გამოვლენილი ანალოგიური აბზინდებისათვის [აფხაზავა 1979:47].

II. ბრინჯაოს მრგვალგანივაკვეთიან, ნახევარწრიულჩარჩოიან აბზინდაზე მოძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფარაკი. ენა ჩარჩოზე დიდია. აბზინდა წარმოდგენილია ქამრით. ქამარი შედგება ბრინჯაოს 14 სწორკუთხა ფირფიტისაგან, რომელსაც თავსა და ბოლოში აქვს ტყავის თასმაზე მისამაგრებელი ოთხოთხი მანქვალი. ფირფიტები ცენტრში გახვრეტილია (ტაბ. X, სურ. 109, სამ. № 15). ორ მათგანზე შემორჩენილია ქვემოდან მიმაგრებული ბრინჯაოს რგოლები.⁵ მსგავსი ფორმის აბზინდები ჩვენში უკვე IV ს. ბოლოდან კრცელდება [აფხაზავა 1979:45]. წრდილოვან კაგასიაში ამგვარ აბზინდებს VI ს. მეორე ნახევარსა და VII ს. დასაწყისს მიაკუთვნებენ [Афанасьев 1980:150]. გვალეთის ქამრიანი აბზინდისათვის ეს თარიღი მისაღები ჩანს. უფრო მართებული იქნებოდა იგი VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით დაგვეთარიღებინა. მსგავსი ფორმის საქამრე ფირფიტა აღმოჩენილია ნეძიხის (ფშავის არაგვის ხეობა) სამაროვანზე⁶ გვალეთის ქამარი უნდა დავუკავშიროთ იმ წრის ნივთებს, რომელთაც ქართულ სამყაროში, უფრო კონკრეტულად

⁵ რგოლებზე ტყავის თასმით ჩამოკიდებული იყო სხვადასხვა ნივთები: ბრინჯაოს ბიკონუსური ნივთი (ტაბ. XII, სურ. 116), ბრინჯაოს ცხენი (ტაბ. XI, სურ. 117), ვერცხლის ფიბულა (ტაბ. IX, სურ. 119).

⁶ ნეძიხის მასალების შესახებ თავის დროზე ცნობა მოგვაწოდა არქოლოგმა ც. რობაქიძემ.

არაგვი-თერგის ხეობის რომელიმე საწარმოო ცენტრში ამზადებდნენ. ამ აზრს ის გარემოებაც ადასტურებს ჩრდილობური აბზინდის, ისე საქამრე ფირფიტების ფორმა ქართლში ადრიდანვე (IV ს.) იყო ცნობილი [ჩიხლაძე 1999:16], ხოლო ამგვარ საქამრე ფირფიტებს ჩრდილოეთ კავკასიის VI-VII ს.ს. კომპლექსებში პარალელი არ მოეძებნება.

III. ოვალურჩარჩოიანი აბზინდები რკინისა და ბრინჯაოსია. რკინის აბზინდა ერთწილადია. ჩარჩოს ოვალის მიმართულების მიხედვით იგი განივოვალურჩარჩოიანია. ჩარჩო მრგვალგანივევთიანია. ენა ჩარჩოზე გადადის (ტაბ. X, სურ. 19, სამ. №4). ორი აბზინდა ბრინჯაოსია. ისინი გრძივოვალურჩარჩოიანებია, ორწილადი. მრგვალგანივევთიან ოვალურ ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული სწორკუთხა ფარაკი სამი მანქვალით. აბზინდის ენა ჩარჩოს სიგანის ტოლია (ტაბ. X, სურ. 110, სამ. № 15). მეორე აბზინდის მრგვალგანივევთიან, ოვალურ ჩარჩოზე მოძრავადაა მიერთებული ორად გაკეცილი სწორკუთხა ფარაკი. აბზინდის ენა მასიური და გრძელია. აბზინდა ქამრითაა წარმოდგენილი. ქამარი შედგება ჯ-ს მაგვარი 19 ფირფიტისაგან, რომლებიც შემკულია ამოღარული „ოვეზიფხური“ ორნამენტით. ფირფიტებს აქვთ ტყავის თასმაზე დასამაგრებელი ორ-ორი მანქვალი (ტაბ. X, სურ. 132, სამ. № 16). ჩვენში ოვალურჩარჩოიანი აბზინდები საკმაოდ ადრე ჩნდება და ისინი გვხვდება VII ს. სამარხეულ კომპლექსებშიც [აფხაზავა 1979:54] ოვალურჩარჩოიანი აბზინდები მრავლადაა ცნობილი ჩრდილოეთ კავკასიის VI-VII ს.ს. სამაროვნებიდანაც. ისინი იქ გვიანობამდე აგრძელებენ არსებობას და VIII-IX ს.ს. სამარხებშიც იჩენენ თავს [Афанасьев 1980:141; Деопик 1963:125]. რკინის აბზინდა ზოგადად

VII ს., ბრინჯაოს აბზინდები და ქამარი კი უფრო VI ს.
მიწურულსა და VII ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს
ინტერესს იწვევს № 16 სამარხის ქამარი (ტაბ. X, სურ. 132).
ანალოგიური საქამრე ფირფიტა აღმოჩენილია არაგვის
ხეობაში, სოფ. ჩინთის VI-VIII ს.ს. ქვის სამარხში [რამიშვილი..
. 1987:88]. ამგვარი ფირფიტებით შედგენილი ბრინჯაოს ორი
ქამარი გამოვლინდა ნეძიხის VI ს. ქვის სამარხებში. იმავე
სამაროვნის დანგრეული სამარხებიდან მომდინარეობს ბრინჯაოს
5 ცალი საქამრე ფირფიტა. ანალოგიური საქამრე ფირფიტები
ჩმის სამარვანზე აღმოჩენილია XII კატაკომბაში ხოსრო I-ის
(531-579 წ.წ.) მონეტასთან ერთად [ამброз 1980:16]. დაახლოებით
მსგავსი ფორმის ფირფიტები ცნობილია ჩრდილოეთის შორეული
ოლქებიდანაც (ურალი, კამისპირეთი), სადაც ისინი ძირითადად
VII-VIII ს.ს. თარიღდება [ამброз 1980:16; გენინგ 1979:101; გოლდინა
1979:83; საველევა 1979:96]. ა. ამბროზი ბირსკისა და ჩმის მასალების
შედარებისას მართებულად შენიშნავდა, რომ ამგვარი საქამრე
ფირფიტების ჩრდილოური ვარიანტები მნიშვნელოვნად
განსხვავდება სამხრეთულებისაგან. უკანასკნელი გაცილებით
ფართო და ბრტყელებია [ამброз 1980:16]. უკველია, რომ ჯ-ს
მაგვარი საქამრე ფირფიტების სამხრეთული ვარიანტები სხვა
საწარმოო ცენტრში (თუ ცენტრებში) მზადდებოდა. არაგვი-
თერგის ხეობაში (ჩინთი, ნეძიხი, გველეთი, ჩმი) აღმოჩენილი
ამგვარი ფირფიტების სიმრავლე მიუთითებს, რომ მათი წარმოების
შრო-ერთი ცენტრი სწორედ არაგვი-თერგის ხეობაშია საძებნი.
IV. ბრინჯაოს ორ აბზინდას აქვს B-ს მაგვარი საქამრე ჩარჩო.
ერთი მათგანის ჩარჩოზე მოძრავადა მიერთებული მოგრძო და
ვიწრო ბოლოგახვრეტილი ფარაკი (ტაბ. X, სურ. 111, სამ. № 15).
მეორეს სწორკუთხა ფირფიტა უძრავად ებმის ჩარჩოს. ენა

ინკრუსტირებულია წითელი ფერის მინის თვლით (ტაბ. X, სურ. 5, სამ. № 1). B-ს მაგვარი აბზინდები აღმოსავლეთ ხაქიანის გეოლოგიურ და მის ფარგლებს გარეთ უკვე IV-V ს.ს. ცნობილი [აფხაზავა 1979:45; დეოპიკ 1963:129]. განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ისინი VI-VII ს.ს. ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში, კამისპირეთსა და დასავლეთ ევროპაში [დეოპიკ 1963:129]. B-ს მაგვარი აბზინდები აღმოსავლეთ საქართველოს VI-VII ს.ს. სამარხეულ კომპლექსებშიცაა აღმოჩენილი [აფხაზავა 1979:48]. განსხვავება ადრეულ (IV-V ს.ს.) და მოგვიანო ხანის (VI-VII ს.ს.) საქამრე ჩარჩოებს შორის ისაა, რომ ადრეულებს აქვთ ბრტყელი ჩარჩოები, VI-VII ს.ს. საქამრე ჩარჩოები კი რელიეფურია [აფხაზავა 1979:45]. გველეთის B-ს მაგვარი აბზინდებისთვისაც რელიეფური ჩარჩოებია დამახასიათებელი. № 15 სამარხის აბზინდა უფრო VI ს. მიწურულსა და VII ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს (ტაბ. X, სურ. III). № 1 სამარხის ინკრუსტირებული აბზინდა კი VII ს. შეიძლება დათარიღდეს (ტაბ. X, სურ. 5).

V. ბრინჯაოს ორწილადი მასიური აბზინდის მრგვალგანივევეთიანი ოვალური ჩარჩო და ენა შემკულია ბურცობებით. კვადრატული მოყვანილობის ორნამენტირებული ფარაკი მოძრავადა მიერთებული ჩარჩოზე (ტაბ. X, სურ. 31, სამ. №8). გველეთის აბზინდის მსგავსია სოფ. იარაჯულების ადრე შეა საუკუნეების დანგრეული სამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს აბზინდის ფრაგმენტი [ჯორბენაძე 1982:ტაბ.XX,2174]. გველეთის აბზინდა თითქმის ზედმიწევნით იმეორებს არმაზისხევში „ტყის უბანზე“ აღმოჩენილ აბზინდას, რომელიც VII ს. თარიღდება [აფხაზავა 1979:55]. ამავე პერიოდს მიეკუთვნება გველეთის ეგზემპლარიც.

ბალთები. მათში ოთხი ტიპი გამოიყოფა. 7 ბალთიდან 3
ბრინჯაოსია, 4 ვერცხლის. ქვედა მხრიდან ყველაზე უძველესი
მანქვალები.

I. „ნიღბისებური“ ბალთებიდან 3 ვერცხლისაა, 1 ბრინჯაოსი.
ისინი განეკუთვნება ნახევარწრიული ფორმის ბალთებს. 3
მათგანი თითქმის იმეორებს ერთმანეთს. განსხვავება
მხოლოდ ზომებსა და მასალაშია (ტაბ. X, სურ. 17, სამ. № 4;
სურ. 91, 92, სამ. № 15). ანალოგიური ბალთები ცნობილია
სამთავროდან, ურბნისიდან, ქვემო ალევიდან [აფხაზავა
1979:49; 1988:ტაბ.XIII,3]. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი
ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში [ამბროზ
1971:სურ.5,46,47; დმიტრიევ 1982:სურ.12,37; კოვალევსკაя
1981:სურ.61,1,2,3; რუნიჩ 1975:სურ.4,55].

„ნიღბისებური“ ბალთების გენეზისის შესახებ არსებობს
სხვადასხვა აზრი. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისინი
VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში გაჩნდნენ კავკასიასა
და ყირიმში. აქედან კი სწრაფად გავრცელდნენ ვოლგაზე,
ბაშკირეთში, დნეპრზე და დონზე. სხვები მათ VII ს.
დასაწყისში დუნაიზე, ბიზანტიური პროვინციების მახლობლად
გაჩენილად მიიჩნევენ [აფხაზავა 1979:50; ლიტ. იხ. იქვე-
ჩვენში აღმოჩენილი ამგვარი ბალთები VI ს. მიწურულითა
და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1979:127;
1988:125]. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექვევა გველეთის
„ნიღბისებური“ ბალთებიც.

„ნიღბისებურ“ ბალთებში ცალკე შეიძლება გამოიყოს ვერცხლის
ბალთა, რომელიც ორი ნახევრებითა და ქვემოდან ამოზნექილი
რელიეფური ხაზითაა შემკული (ტაბ. X, სურ. 93, სამ. № 15). იგი

ვერცხლის ორ დანარჩენ „ნიღბისებურ“ ბალთასთანაა აღმოჩენილი
და მათი თანადროულია.

II. სამყურა ბალახის ფორმის ვერცხლის ბალთა. (ტაბ. X, სურ. 95, სამ. № 15). დაახლოებით მსგავსი ფორმის ბალთები ცნობილია შიდა ქართლიდან [აფხაზავა 1979:ტაბ.XXIX,3], ჩრდილოეთ კავკასიოდან [მამაევ 1986:სურ.5,31; რუнич 1975:სურ.4,7]. ბალთა აღმოჩნდა № 15 სამარხში VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ვერცხლის „ნიღბისებურ“ ბალთებთან ერთად.

III. ასომთავრული „Ó“-ს მაგვარი ბრინჯაოს ბალთა (ტაბ. X, სურ. 9, სამ. № 3). ანალოგიური ბალთები ცნობილია: სამთავროდან, არმაზის ხევიდან, ქვემო ალ ევიდან [აფხაზავა 1979:ტაბ.XXVIII,10,XXXII,46; 1988:ტაბ.XIII,2], ნოქალაქევიდან [ლეკვინაძე, ხვედელიძე 1981:145]. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში [ამბროვ 1971:სურ.5,15,22,31,38,41; დმიტრიევ 1982:სურ.12,30,39,41; მამაევ 1986:სურ.61].

IV. „შეისრულწვერიანი“ ბრინჯაოს ბალთა (ტაბ. X, სურ. 25, სამ. № 6). მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ორნამენტირებული ბალთები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიოდან [რუнич 1975:სურ.4,8]. ბალთა აღმოჩნდა ვერცხლის ჭვინტიან მშვილდსაკინძთან (ტაბ. IX, სურ. 28), ბრინჯაოს საკინძთან (ტაბ. XIII, სურ. 26), და ვერცხლის საკიდებთან (ტაბ. IX, სურ. 29) ერთად, რომლებიც უფრო VII ს. თარიღდება. იმავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს IV ტიპის ბალთაც ბეჭდები. ბეჭდებიდან, რომლებიც 14 ტიპითაა წარმოდგენილი, 6 ბრინჯაოსია, 8 ვერცხლის, 1 მინის. მათგან 5 გემიანია. ლითონის ბეჭდებიდან მხოლოდ ერთია ფარაკიანი. მეორე

დამზადებულია ერთმანეთზე გადადებული თავშესქელებული
მავთულისაგან. დანარჩენები თვალბულიანია.

I. ბრინჯაოს ოვალურფარაკიანი ბეჭედი მრგვალგანივავოთანი
რკალით (ტაბ. XI, სურ. 122, სამ. № 15). მსგავსი ფორმის ბეჭდები
მრავლადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა
საუკუნეების სამარხებიდან (სამთავრო, ვაშლიჯვარი, ქვემო ალეჭი)
და ძირითადად VI ს. მიწურულით ან VII ს. თარიღდება [აფხაზავა
1979:ტაბ.XXII,20,XXIV,4,XXXI,40; 1988:ტაბ.VII,11,IX,30,X,38;
ნიკოლაიშვილი 1978ა:ტაბ. XVI,22]. დაახლოებით ამავე ხანებით,
უფრო კი VII ს. პირველი ნახევრით შეიძლება განისაზღვროს
ბეჭდეთის ფარაკიანი ბეჭდის თარიღიც.⁷

II. ბრინჯაოს ბეჭედი დამზადებულია ერთმანეთზე გადადებული
თავშესქელებული მავთულისაგან (ტაბ. XI, სურ. 53, სამ. № 12).
ანალოგიური ფორმის ბეჭდები ცნობილია ვაშლიჯვარის
სამაროვნიდან და მათ VI-VII ს.ს. მიაკუთვნებენ [ნიკოლაიშვილი
1978ა:74]. ცნობილია ისინი ჩრდილოეთ კავკასიის სამარხეული
კომპლექსებიდანაც [MAK 1900:ტაბ.LIV,6,LV,7]. ჩრდილოეთ
კავკასიაში აღმოჩენილ ამგვარ ბეჭდებს VII ს. პირველი ნახევრით
ან ამ საუკუნის შუა ხანებით ათარიღებენ [Мамаев 1986:63].
ბეჭდეთის ბეჭედი უფრო VII ს. მეორე ნახევარს უნდა
მიჰყუთვნოს. სამარხი № 12, სადაც ბეჭედი აღმოჩნდა, ზემოდან
იუ გამართული № 15 სამარხზე, რომელიც ინვენტარის მიხედვით
VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.
ამდენად, უფრო რეალურია II ტიპის ბეჭდის თარიღად VII ს.
მეორე ნახევარი ან მიწურული მივიჩნიოთ.

⁷ ურაგმენტულობის გამო ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას არ
შევმდებარება ვერცხლის ბეჭედი (ტაბ. XI, სურ. 121, სამ. № 15). ის I
ტიპის ბეჭდთანაა აღმოჩენილი და VII ს. პირველი ნახევრით
შეიძლება დათარიღდეს.

III. ბრინჯაოს წრიულთვალბუდიანი გეგმები მდგრადი ბრტყელგანივცეთიანი რკალით (ტაბ. XI, სურ. 45, ხაშ. № 13). ბეჭედს VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით ათარიღებს ბრინჯაოს ფარაკიანი აბზინდა (ტაბ. X, სურ. 70). თარიღს გარკვეულად მხარს უჭერს სამარხში აღმოჩენილი კავადის (488-531 წ.წ.) სახელით 529 წ. მოჭრილი ვერცხლის მონეტაც (ტაბ. IX, სურ. 73).

IV. ბრინჯაოს ბეჭდის წაკვეთილი კონუსის ფორმის თვალბუდეში ჩასმულია შავი მინის თვალი. რკალი მრგვალგანივცეთიანია (ტაბ. XI, სურ. 50, სამ. № 11). მსგავსი ფორმის ბეჭდები ცნობილია კაჭრეთის VI-VIII ს.ს. სამარხიდან [უგრელიძე 1955:116], აგრეთვე სამთავროს სამაროვნიდან, სადაც ისინი ძირითადად VII ს. მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1979:127,128]. ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს გველეთის სამაროვნის IV ტიპის ბეჭედიც.

V. ვერცხლის ბეჭდის რომბისებური მოყვანილობის დაბალი თვალბუდე შემკულია შავი მინის თვლით. რკალი მრგვალგანივცეთიანია (ტაბ. XI, სურ. 16, სამ. № 4). ანალოგიური ბეჭდები გვხვდება ვაშლიჯვარის VI-VII ს.ს. სამარხებში [ნიკოლაიშვილი 1978:74]. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი სამთავროს სამაროვნის VII ს. მეორე ნახევრის სამარხებში [აფხაზავა 1979:ტაბ.XX,6,8,XXII,1,XXIV,22,XL,23, XLII,29,XLIII,38]. იმავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს V ტიპის ბეჭედიც. მათი სიმრავლე მცხეთაში შესაძლოა იმის დასტური იყოს, რომ გველეთის ბეჭედი დარიალის ხეობაში სულაც მცხეთიდანაა მოხვედრილი.

VI. ვერცხლის ბეჭდის, დაბალი, ოვალური თვალბუდე შემკულია შავი მინის თვლით. რკალი მრგვალგანივცეთიანია

(ტაბ. XI, სურ. 15, სამ. № 4). ქვემო აღნიშვნის სამაროვანზე აღმოჩენილი ამგვარი ბეჭდები VI ს. მიეკუთვნება [აფხაზების 1988:106]. ანალოგიური ბეჭდები ცნობილია ერწო-თიანეთიდან [ჯორბენაძე 1982:სურ. 9, 207]. VI-VII ს.ს. თარიღდება ვაშლიჯვარის სამაროვნიდან მომდინარე მსგავსი ბეჭდები [ნიკოლაიშვილი 1978:73]. V და VI ტიპის ბეჭდები ერთ სამარხშია აღმოჩენილი და ეს უკანასკნელიც VII ს. უნდა დათარიღდეს.

VII. ვერცხლის ბეჭედი, დაბალი, წრიული მოყვანილობის ოვალბუდითა და მრგვალგანივეკვეთიანი რკალით (ტაბ. XI, სურ. 2, სამ. № 1). ანალოგიური ბეჭდები არაერთია ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების სამარხებიდან. ისინი ძირითადად VII, უფრო კი VII ს. მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1979:126-128].

VIII. ვერცხლის ბეჭდის ოვალური მოყვანილობის მაღალ ოვალბუდეს ამკობს შავი მინის თვალი. რკალი ოვალურგანივეკვეთიანია (ტაბ. XI, სურ. 36, სამ. № 9). მსგავსი უორმის ბეჭდები აღმოჩენილია კართანას (ფშავის არაგვის ხეობა) სამაროვანზე და თარიღდება VI-VIII ს.ს. [რჩეულიშვილი 1990:31]. აღმოსავლეთ საქართველოს VI ს. სამარხეულ კომპლექსებში ამგვარი ბეჭდები არ გვხვდება. შესაძლოა ისინი რამდენადმე გვიან, უფრო VII ს. მეორე ნახევრისათვის ჩნდება. ამ მოსაზრებას ადასტურებს ბეჭდების სამაროვნის მასალებიც. VI ს. მიწურულისა და VII ს. პირველი ნახევრის სამარხებში VIII ტიპის ბეჭდები არ აღმოჩენილა. ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ ყველაზე გვიანდელ № 9 სამარხში, რომელიც სტრატიგრაფიული

მონაცემების მიხედვით VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

IX. შავი მინის ბეჭედი, ოდნავ დაბრტყელებული „ფარაკითა“ და მრგვალგანიველეთიანი რკალით (ტაბ. XI, სურ. 37, სამ. № 9). ბეჭდის ანალოგები ცნობილია: ურბისიდან, ქვემო ალევიდან, ჟინვალიდან, კასპიდან, სამთავროდან, რუსთავიდან [აფხაზავა 1979:97; 1988:108], კართანას სამაროვნიდან [რჩეულიშვილი 1990:ტაბ.III,5,7,8,16,17,21,36]. ამ ფორმის მინის ბეჭდები თარიღდება VII ს. მეორე ნახევრითა და VIII ს. დასაწყისით [აფხაზავა 1988:108]. გველეთის მინის ბეჭდისათვის ეს თარიღი მისაღები ჩანს. თარიღს ამაგრებს სტრატიგრაფიული მონაცემებიც ბეჭედი აღმოჩნდა ყველაზე გვიანდელ, VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით დათარიღდებულ № 9 სამარხში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაგვის ხეობაში, კურძოდ, ჟინვალში აღმოჩნდილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მინის ბეჭდები შესაძლოა აღგილობრივი ნაწარმი იყოს [ჩიხლაძე 1990:6]. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ სავსებით დასაშვებია, რომ გველეთის მინის ბეჭედი, რომელიც ფორმით ძალზე ახლო დგას არაგვის ხეობის ბეჭდებთან, ხევში ჟინვალიდან იყოს შეტანილი.

სამაროვანზე გამოვლინდა 6 გემა. ისინი სასანურია.⁸ გემებიდან 5 ბეჭედში იყო ჩასმული. ერთი აღმოჩნდა ბეჭდის გარეშე X. ბრინჯაოს ბეჭედი. ბრტყელგანიველეთიან რკალში ჩასმულია წრიული მოყვანილობის გამჭვირვალე მინის თვალი, რომელზეც ჩამოსხმით გამოყვანილია S-ის მაგვარი ნიშანი. შესაძლოა გამოსახულება მონოგრამა იყოს (ტაბ. XI, სურ. 12, სამ. № 3). VII ს. დათარიღდებული მსგავსი ფორმის ბეჭდები ცნობილია.

⁸ გემები განსაზღვრა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ქ. რამიშვილმა.

სამთავროს სამართლიდან, ქვემო აღევიდან [აფხაზავა 1979:ტაბXXIV,20; 1988:104]. სამარხში აღმოჩენილი ასომთავრული „ტ“-ს მაგვარი ბალთაც ბეჭედს VII ს. ათარიდებს.

XI. ვერცხლის ბეჭდის ოვალური ფორმის დაბალ, თხელკედლიან ბუდეში ჩასმულია ძოწის გემა. თვალბუდეს რკალთან მირჩილვის ადგილას ორივე მხრიდან ამკობს ხუთ-ხუთი მცირე და ორ-ორი მოზრდილი კოპი. ქვა კარგადაა გათლილი, ფონი გაპრიალებულია. ქვის ცენტრში დაბალი კვეთით გამოყვანილია ლარნაკიდან ამოზიდული მცენარის რტო, რომლის ღერო ერთი გრძივი, ხოლო ტოტები აქეთ-იქიდან მიერთებული ხაზებითაა გადმოცემული (ტაბ. XI, სურ. 72, სამ. № 13). ბურთულებით შემკული თვალბუდიანი ბეჭდები საქმიანობის გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს აღრე შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებზე და VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით ან VII ს. თარიდება [აფხაზავა 1979:ტაბ.XXVII,51,XXXI,21; 1988:ტაბ.XXXV,11,12]. ბეჭედი აღმოჩნდა III ტიპის ბრინჯაოს ბეჭედთან და ის VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიდება.


XII. ბრინჯაოს ბეჭდის წრიული მოყვანილობის სალტეშემოვლებულ თვალბუდეში ჩასმულია მოშავო ფერის მინის გემა, რომელზეც დაბალი კვეთით ე. წ. „შტრიხული მანერით“ შესრულებულია გაურკვეველი გამოსახულება. რტანი მრგვალგანივევეთიანია (ტაბ. XI, სურ. 123, სამ. № 15). სასანური გემები, რომელთა გამოსახულება „შტრიხული მანერითაა“ შესრულებული, VI-VII ს.ს. ირანიდან მასიურად ზრცელდებოდა მეზობელ ქვეყნებში [Борисов, Луконин 1963:30]. რაც შეეხება საკუთრივ ბეჭედს, მსგავსი ფორმის ბეჭდები

კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს აღწერაში შემატებული საუკუნეების სამარხებიდან [აფხაზავა 1988:106].

XIII. ვერცხლის ბეჭდის ოვალური მოყვანილობის მაღალ თვალბუდეში ჩასმულია სარდერის გემა, რომელზეც ამოკვეთილია მარცხნივ მიმართული ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან (ვეფხვი?), თავით პროფილში. თათები ნაბიჯის პოზაშია. კუდი გრძელია. ცხოველის ბეწვი გამოხატულია ვერტიკალური პარალელური ხაზებით (ტაბ. XI, სურ. 124, სამ. № 15). მაღალი ოსტატობითაა შესრულებული მტაცებლის ძლიერი ტანი და კიდურები. კვეთა საშუალო სიღრმისაა. ცხოველის გამოსახულებას თავზე შემოუყვება ფალაური წარწერა: 'stuhy' - „სამართლიანობა.“ ქვა კარგადაა გათლილი, ფონი გაპრიალებულია. ბეჭდის რკალი მრგვალგანივარეთიანია. იმავე სამარხშია აღმოჩენილი მოთეთრო ფერის დისკოსებური მოყვანილობის მინის გემა, რომელზეც დაბალი კვეთით შესრულებულია მარცხნივ მიმართული ხარირების გამოსახულება (ტაბ. XI, სურ. 120). გამოსახულებას მრავალი პარალელი მოებენება სასანურ გლი პტიკაში, მაგრამ კვეთის განსხვავებული მანერის მიხედვით გამორიცხული არაა, რომ გემა ადგილობრივი ნაწარმი იყოს. სამარხში გამოვლენილი რკინისა და ბრინჯაოს ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვიდდსაკინძების (ტაბ. IX, სურ. 85, 86), ვერცხლის „ნიღბისებური“ ბალთებისა (ტაბ. X, სურ. 91, 92) და ბრინჯაოს B-ს მაგვარი აბზინდის (ტაბ. X, სურ. 111) მიხედვით, № 15 სამარხის გემიანი ბეჭდები (XII, XIII ტიპები) და ირმის გამოსახულებიანი გემა VII ს., უფრო კი ამ საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

XIV. ვერცხლის ბეჭედი. მრგვალგანივევეთიან რკალზე
მირჩილულია ნახევარსფეროსებური მოყვანილობების
სქელკედლიანი თვალბუდე, რომელშიც ჩასმულია სარდიონის
გემა. ქვაზე „შტრიხული მანერით“, დაბალი კვეთით
შესრულებულია მარცხნივ მიმართული მწოლიარე ჩლიქოსანი
ცხოველის გამოსახულება (ტაბ. XI, სურ. 136, სამ. № 16). აღწერილი
ნივთი ფორმით სასანური ბეჭდების ჯგუფს განეკუთვნება. № 15
და № 16 სამარხების ზოგიერთი იდენტური ნივთები (ბრინჯაოს
მთლიანადსხმული საკინძები და „დიადემები“) ორივე სამარხის
თანადროულობაზე მეტყველებს. ამდენად, № 16 სამარხის გემიანი
ბეჭდიც VII ს. პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

გემები საქართველოში მრავლადაა აღმოჩენილი და
სპეციალისტების მიერ სათანადოდ შესწავლილი [რამიშვილი
1979:4-15]. ბოლო დრომდე დარიალის ხეობიდან სასანური
ბლიპტიკის ნიმუშები ნაკლებად იყო ცნობილი [აბრამოვა
1986:70]. გველეთის სამაროვანმა ეს ხარვეზი რამდენადმე
შეავსო [მინდორაშვილი 1997:16-22]. გემების მასალად
გამოყენებულია: მინა (3 ც), ძოწი (1 ც), სარდიონი (1 ც), სარდერი
(1 ც). ქვის ფორმები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით.
გვხდება წაკვეთილი კონუსის ფორმის ქვა, რომელსაც
ოვალური მოყვანილობის პირი მცირე მხარეს აქვს (ტაბ. XI,
სურ. 72). ასეთივე ფორმისაა 2 გემა იმ განსხვავებით, რომ
მათი გამოსახულება მოცემულია ქვის დიდ მხარეზე (ტაბ.
XI, სურ. 120, 124). დანარჩენი ქვები ბრტყელი, წრიული
ფირფიტებია (ტაბ. XI, სურ. 12, 123, 136). კვეთა ყველა გემაზე
დაბალია. საშუალო სიღრმის კვეთითაა შესრულებული
ცხოველის გამოსახულება ფალაურწარწერიან ბეჭდზე-
თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით გემები

თარიღდება VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით (XI ტიპი) ან VII ს. (X, XII, XIII, XIV ტიპები). 

გემებზე წარმოდგენილი სიუჟეტები კარგადაა ცნობილი სასანურ გლიპტიკაში. ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში მრავლადაა აღმოჩენილი მონოგრამიანი გემები. მცენარეული მოტივიც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სასანური ხელოვნებისა და ხშირად გვხვდება გლიპტიკურ ძეგლებზე მსგავს გამოსახულებებს ჩვეულებრივ ქალღმერთ ანაჰიტას უკავშირებენ [Борисов, Луконин 1963:34]. ხარირემის გამოხატვაც ერთობ გავრცელებული მოტივია სასანურ გემებზე. მათზე ხშირად ვხვდებით მტაცებელ ცხოველთა გამოხატულებებსაც არაერთი გემაა ცნობილი, რომელზეც ამოკვეთილია ჩლიქოსანი ცხოველის გამოსახულება. ყველა ეს გამოსახულება დაკავშირებული იყო რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან [რამიშვილი 1979:35,36].

ორ გემაზე გამოსახულება შესრულებულია ე.წ. „შტრიხული მანერით“ (ტაბ. XI, სურ. 123, 136). მსგავსი გემების ფართოდ გავრცელების ხანად VI-VII ს.ს. მიჩნეული [Борисов, Луконин 1963:27]. რადგან ეს გემები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე სტილისტური თვალსაზრისით საოცარ ერთიანობას ამჟღავნებენ, მათი დამზადების ცენტრი ერთ ადგილასაა საძებნი, კერძოდ ირანში. იქიდან „შტრიხული მანერით“ შესრულებული გემები მასობრივად გადიოდა მეზობელ ქვეყნებში [Борисов, Луконин 1963:30].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს № 15 სამარხში აღმოჩენილი გემის წარწერა - „სამართლიანობა.“ მსგავსი შინაარსის წარწერები მრავლად გვხვდება სასანურ გემებზე აღნიშნული წარწერები იკვეთებოდა ისეთ ბეჭდებზე, რომლებიც

ძირითადად სასამართლო საქმეებში გამოიყენებოდა [Борисов, Луконин 1963:11]. ფალაურწარწერიანი გემები ჩვენში კულტურული რამდენიმეა აღმოჩენილი. ამგვარი წარწერის მქონე გემა კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე უცნობი იყო [წოწელია, მინდორაშვილი 1999:67]. სასანურ ირანში გემაზე ამოკვეთილ გამოსახულებებსა და წარწერებს მკაცრად შეზღუდული დანიშნულება პქონდათ. სხვადასხვა ხასიათის საბუთების დასაბეჭდად სხვადასხვა გემა გამოიყენებოდა, მაგრამ ირანის ფარგლებს გარეთ გემები კარგავდნენ თავის განსაკუთრებულ შინაარსს. ქართულ სამყაროში მოსახლეობის ფართო ფენა გემა-საბეჭდავებს ძირითადად იყენებდა ოოგორც ავგაროზებს, ავი თვალისაგან დამცველებს, ბედნიერების მომტანებს და სხვ. რა თქმა უნდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გემებს თავისი პირდაპირი დანიშნულებითაც (პირადი ქონებისა და დოკუმენტების დაბეჭდვა) იყენებდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც უფლისციხესა და ურბნისში აღმოჩენილი ბულები, მაგრამ ოოგორც ჩანს, ქართულ მოსახლეობაში ირანელებისაგან განსხვავებით, საბეჭდავების შეძენა ხდებოდა პირადი გემოვნებით და არა წინასწარ განსაზღვრული წესით [რამიშვილი 1979:49-51].⁹

სამაჯურები. სამაროვანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს 3 სამაჯური. ორი მათგანი ქედშესქელებულია. გახსნილი თავები შემკულია ბეჭდის თავის გამოსახულებით (ტაბ. X, სურ. 45, 46, სამ. № 11). ქედშესქელებული სამაჯურები ფართოდაა ცნობილი მთელს

⁹ VI ს. 30-იანი წლებიდან ირანელები დარიალის გასასვლელს უშალოდ აკონტროლებდნენ და იმხანად ხევში ირანული ეთნიკური კლემენტის გარკვეული ოდენობით არსებობაც საგულისხმებელია. ამიტომ, არა გამორიცხული, რომ ზოგიერთ გემას იქ თავისი პირდაპირი დანიშნულებითაც იყენებდნენ.

აღმოსავლეთ კავკასიაში [აფხაზავა 1979:82]. საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი სამაჯურები, რომლებიც დორიფიზაზ VII ს. თარიღდება, გენეზისით აღმოსავლეთ კავკასიაში გავრცელებულ სამაჯურებს უკავშირდება [აფხაზავა 1979:82]. სამაჯურების ზუსტი ანალოგები ცნობილია მთიანი ჩაჩნეთის სოფ. ხარახოის VII-VIII ს.ს. სამაროვნიდან, მაგრამ ჩაჩნეთისთვისაც ქედშესქელებული სამაჯურების გველისთავიანი ვარიანტები იშვიათობას წარმოადგენს. ძეგლის გამოხრელებს მიაჩნიათ, რომ გველისთავიანი სამაჯურების წარმოშობა-განვითარების საწყისები ყობანის ადრერკინის კულტურის წიაღშია საძებნი [Багаев, Виноградов 1972:83,84]. ქედშესქელებული სამაჯურების გველისთავიანი ვარიანტები არც აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. გველეთის ქედშესქელებული სამაჯურები უფრო VII ს. მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

მესამე სამაჯური წარმოადგენს ორ ერთმანეთზე გადახვეულ ბრინჯაოს წვრილ მავთულს (ტაბ. X, სურ. 38, სამ. № 9). მსგავსი სამაჯურები ცნობილია თერგის ხეობის, კერძოდ ჩმისა და ბალთის სამაროვნებიდან და მათ VIII-IX ს.ს. მიაკუთვნებენ [Деопик 1963:131]. გველეთის გრეხილი სამაჯური სტრატიგრაფიული მონაცემებისა და თანმხლები ინვენტარის (მინის შავი ბეჭედი, ტაბ. XI, სურ. 37; ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი, ტაბ. XI, სურ. 36) მიხედვით უფრო VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

საკინძები. 12 საკინძიდან 1 წარმოდგენილია რკინის ღეროს ფრაგმენტით (ტაბ. XIII, სურ. 100, სამ. № 15). დანარჩენი ბრინჯაოსია. საკინძები მთლიანად სხმულია. ზოგიერთს ოვალურთავიან ღეროზე შემოუყვება წყვილი წიბო (ტაბ.

XIII, სურ. 101-104, სამ. № 15; სურ. 130, სამ. № 16). მთლიანად სხმული საკინძების ჯგუფს მიეკუთვნიშვნილია დაბრტყელებულთავიანი საკინძი (ტაბ. XIII, სურ. 106, სამ. № 15). 4 საკინძი დაზიანებულია (ტაბ. XIII, სურ. 26, სამ. № 6; სურ. 47, სამ. № 11; სურ. 107, სამ. № 15; სურ. 130, სამ. № 16). სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული საკინძი ორია. ერთი მათგანის თავი ვერცხლის ღრუ ბურთულია, დერო ბრინჯაოსია (ტაბ. XIII, სურ. 105, სამ. № 15). მეორე საკინძის ბრინჯაოს დეროს ამკობს სფერული მოყვანილობის ძოწის მძივი და კოპებით შედგენილი ვარდულები (ტაბ. XIII, სურ. 108, სამ. № 15). საკინძები ადრე შეა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური ქულტურის დამახასიათებელი ნივთებია [აფხაზავა 1979:85]. ოვალურთავიანი, წიბოებით შემკული მთლიანად სხმული ბრინჯაოს საკინძები მრავლადაა აღმოჩენილი სამთავროში [აფხაზავა 1979:ტაბ.XXIV,32], წიწამურში [ნიორაძე 1940:სურ.12], ცხვარიჭამიაში [აფხაზავა 1984:159-161], ერწო-თიანეთში [ჯორბენაძე 1982:სურ.14], უინგალში [რამიშვილი . . . 1984:62], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988:ტაბ.XXI,12,8,9], ჩმიში [MAK 1900:ტაბ.LVIII,9] და სხვ. ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებიდან ასევე მრავლადაა ცნობილი მძივით თავშემკული ბრინჯაოს საკინძები [აფხაზავა 1979:ტაბ.XVIII,28,XXI,8,XXX,52,XXXV,30,31; 1988:ტაბ.XXXII,40,41]. ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ამგვარი საკინძები საქართველოდანაა გავრცელებული [Смирнов 1952:სურ.39,3]. ბეჭდების საკინძების უმრავლესობა, როგორც მთლიანად სხმულები, ისე ვერცხლის ბურთულითა და მძივით თავშემკულები აღმოჩენილია № 15 სამარხში, რომელიც ზემოთ განხილული სამარხეული ინვენტარის მიხედვით (აბზინდები,

ბალთები, ბეჭდები და სხვ.) VI ს. მიწურულითა და VII ს.
შეიძლება დათარიღდეს.

საყურეები. ისინი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი.
ტიპოლოგიურად იყოფიან ერთწილად და ორწილად საყურეებად.
ერთწილადი საყურეები გერცხლისაა. დამზადებულია შუა
ნაწილში შესქელებული ერთი მრგვალგანივავეთიანი
მავთულისაგან, რომლის თავები თანდათან ვიწროვდება და
ერთმანეთთან ახლოსაა მიტანილი (ტაბ. XIII, სურ. 71, სამ. №
13; სურ. 78, სამ. № 14). თანმხლები მასალის მიხედვით
გველეთის ერთწილადი საყურეები თარიღდება VI ს.
მიწურულითა და VII ს.

ცალკე ტიპს ქმნიან ორწილადი საყურეები. თავგახსნილ
რგოლზე მოძრავადაა მიერთებული ბრინჯაოს სამი
ერთმანეთზე მირჩილული ღრუ ბურთულა (ტაბ. XIII, სურ. 39,
სამ. № 9). თერგის ხეობაში სოფ. ჩმიში ამგვარი საყურეები
აღმოჩენილია როგორც VII-VIII, ისე VIII-IX ს.ს. დათარიღებულ
კატაკომბებში [Деопик 1963:131]. VIII-IX ს.ს. მიეკუთვნება ჩაჩნეთ-
ინგუშეთის სამაროვნებიდან მომდინარე მსგავსი საყურეები
[Виноградов, Мамаев 1985:75-77]. № 9 სამარხი, სადაც ორწილადი
საყურეები გამოვლინდა, გამართული იყო №№ 10, 14 სამარხების
ზემოთ და სტრატიგრაფიულად ყველა სხვა სამარხებთან
შედარებით გვიანდელია. საყურეებთან აღმოჩნდა მინის შავი
ბეჭედი (ტაბ. XI, სურ. 37), რომელიც პარალელური მასალების
მიხედვით VII ს. მეორე ნახევრითა და VIII ს. დასაწყისით
თარიღდება. დაახლოებით ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში
ექცევა საყურეებთან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის
თვალბუდიანი ბეჭედიც (ტაბ. XI, სურ. 36). ასე, რომ ბრინჯაოს
ორწილადი საყურეები უფრო VII ს. მიწურულითა და VIII ს.

დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს და ქრონოლოგიურად
დაუახლოვდეს ჩმის №2 კატაკომბის საყურებებს, რომლებიც
VII-VIII ს.ს. მიეკუთვნება [Деопик 1963:132].

საკიდები. ვერცხლის საკიდები ფორმით იმეორებენ ერთწილად
საყურებებს, მაგრამ ახასიათებთ უფრო გახსნილი თავები და
მასიური ღერო, რაც გამორიცხავს ამგვარი ნივთების საყურებად
გამოყენებას. საკიდებიდან ორი აღმოჩნდა № 6, ერთი № 8, ოთხ-
ოთხი №№ 15, 16 სამარხებში (ტაბ. XIII, სურ. 29, 34, 88, 89, 133).
ამგვარი ფორმის საკიდები მრავლადაა ცნობილი როგორც
აღმოსავლეთ საქართველოს აღრე შუა საუკუნეების, ისე
ჩრდილოეთ კავკასიის, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის,
ცენტრალური და დასავლეთ ევროპის „პუნების ეპოქის“
სამაროვნებიდან [Кузнецов 1962:79; Mamaev 1986:სურ.5,12; Минаева
1960:204; Рунич 1969:ტაბ.III,9]. გველეთის სამაროვნის ვერცხლის
საკიდები თანმხლები მასალების მიხედვით თარიღდება VI ს.
მიწურულითა და VII ს.

თავსამკაული. ამ ჯგუფის ნივთებს მიეკუთვნება ბრინჯაოს
ნუშისებური და დისკოსებური მოყვანილობის ფირფიტებისაგან
შედგენილი „დიადემები“ (ტაბ. XII, სურ. 96, 97, სამ. № 15; სურ.
126, 127, სამ. № 16). № 15 სამარხეში კარგად ჩანდა, რომ ფირფიტები
ერთმანეთის მონაცვლეობით ასხმული იყო ტყავის თასმაზე
და ის მიცვალებულს შუბლზე პქონდა შემოკრული.
ბეჭდეთურის მსგავსი „დიადემები“ მრავლადაა აღმოჩენილი
ნებისის სამაროვანზე. იქ ისინი უკვე IV-V ს.ს. სამარხეულ
კომპლექსებში ჩანან და შემდგომშიც განაგრძობენ არსებობას.
ნებისის ერთ-ერთი „დიადემა“ აღმოჩენილია № 132 ქვის
სამარხეში, რომელსაც ძეგლის გამთხრელი ც. რობაქიძე VII
ს. ათარიღებდა. არაგვი-ოერგის ხეობაში ამგვარი ნივთების

სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ მათი წარმოების ცენტრი აღნიშნულ რეგიონშია საძიებელი.

თავსამკაულს წარმოადგენს № 15 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ორი თვალბუდიანი დისკოსებური ფირფიტა (ტაბ. XII, სურ. 99) და ვერცხლის ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით (ტაბ. XII, სურ. 98). დისკოსებური თვალბუდიანი ფირფიტები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე [აფხაზავა 1988:ტაბ.XXIII,7,XXXVII,9; MAK 1900:ტაბ.CI,5; Минаева 1956: სურ.7,1]. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე ხშირად ჩნდება გველეთურის მსგავსი VI ს. შუა ხანებითა და VII ს. დათარიღებული ფრინველის გამოსახულებიანი ფირფიტები [Ковалевская 1981:სურ.64]. ერთი ამგვარი ფირფიტა აღმოჩენილია სტირფაზის სამაროვანზეც [Техов 1987:სურ.63,6]. გველეთის ფრინველის გამოსახულებიანი ფირფიტა წარმომავლობით ჩრდილოკავკასიური ნივთია.

ზოგიერთ სამარხში მიცვალებულის თავის ქალასთან გამოვლინდა ვერცხლის მცირე ზომის ნახევარსფეროები (ტაბ. XI, სურ. 79, სამ. № 14; სურ. 90, სამ. № 15; სურ. 134, სამ. № 16). უკველია ისინი თავსაბურავის შესამკიბი ნივთებია. თუმცა, ამ ნივთებზე ნახვრეტების ან მანჭვლების უქონლობის გამო ძნელი სათქმელია როგორ იყვნენ ისინი დაკავშირებული თავსაბურავთან. ვერცხლის ნახევარსფეროები აღმოჩენილია ქვემო ალევის ადრე შუა საუკუნეების სამაროვანზეც [აფხაზავა 1988:ტაბ.XXXIX,30,34].

გულსაკიდი ნივთები. № 15 სამარხში მიცვალებულის მკერდის არეში აღმოჩენდა მინის წითელი თვლით ინკუსტირებული, ნუშისებური მოყვანილობის ბრინჯაოს ყუნწიანი საკიდი (ტაბ.

XII, სურ. 94). მსგავსი საკიდები ცნობილია აღმოსავლეთ
საქართველოს აღრე შეა საუცუნების სამარხებილან [აფხაზები რომელი
1979:ტაბ.V,12]. მრავლადაა ისინი გამოვლენილი ჩრდილოეთ
კავკასიაშიც, სადაც მათი თარიღი განისაზღვრება VI ს. შეა
ხანებითა და VII ს. [Ковалевская 1981:სურ.64,7,20; MAK 1900:
ტაბ.CXXIII,20; Рунич 1975:სურ.4,38]. გველეთის საკიდი შეიძლება
დათარიღდეს VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით.

ცხენისა და მხედრის გამოსახულებიანი ნივთები.
ამგვარი ნივთები გველეთის სამაროვანზე ორია აღმოჩენილი.
№ 15 სამარხის მიცვალებულის ქამარზე ტყავის თასმით
მიმაგრებული იყო ბრინჯაოს დარახტული ცხენი.
გამოსახულება ქვემოდან ამოზნექილია (ტაბ. XI, სურ. 117).
ცხენის აღკაზმულობა გადმოცემულია რელიეფური ხაზებით.
როგორც ჩანს, ცხენი თავის დროზე წარმოადგენდა ფიბულას,
თუმცა მას ნემსი უკვე აღარ ჰქონდა შემორჩენილი. ის
გარემოება, რომ პირდაპირი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ
ცხენის გამოსახულება კი არ მოიშორეს, არამედ იგი საკიდ-
ამულებად გამოიყენეს, იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი
ფიბულები თავის დროზე პრაქტიკული დანიშნულების გარდა
რელიგიურ-მაგიურ სიმბოლოსაც განასახიერებდა.¹⁰ გველეოურ
ცხენს პარალელი ეძებნება ფშავის არაგვის ხეობაში, ნეძინის
ორმოსამარხებში აღმოჩენილი III-IV ს.ს. დათარიღებული
ცხენის გამოსახულებიანი ფიბულის სახით [Рамишвили . .

¹⁰ იგივე უნდა ითქვას იმავე ქამარზე მიბმულ ვერცხლის
ფიბულაზე (ტაბ. X, სურ. 119), ბრინჯაოს სარკეზე (ტაბ. XIII, სურ.
118) და ბიკონუსურ ნივთზე (ტაბ. XII, სურ. 116). ქამრის სხვადასხვა
საკიდ-ამულებებით შემკობის ფაქტი ჩრდილოეთ კავკასიის VIII-
IX ს.ს. დათარიღებული ერთ-ერთი კატაკომბიდანაცაა ცნობილი
[Кузнецов 1984:187, სურ.27].

.1991:92; რამიშვილი 2000:ტაბ.I,1,3]. აღვირისა თუ ცხენის
მოსართავის დეტალებით, ცხოველის მოხრილი წრეზე უშემო
კისრის კოპებით შემკობითა და სხვა ნიშნების მიხედვით,
მათი სტილისტური ერთიანობა უაჭველია. მსგავსების
მიუხედავად, ნებისურ ფიბულებთან შედარებით, გველეთის
ბრინჯაოს ცხენი უფრო „უხეშია“, „ტლანქია“ და მაინცადამაინც
დახვეწილი ნიმუშის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. გველეთური
ცხენი ნებისური ცხენის გამოსახულებიანი ფიბულების
გვიანდელი რეპლიკა. ცხენის გამოსახულება თანმხლები
სამარხეული ინვენტარის მიხედვით (ბრინჯაოს „ნიღბისებური“
ბალთები, ტაბ. X, სურ. 91, 92; ჭვინტიანი მშვილდსაკინძები,
ტაბ. IX, სურ. 85, 86; მთლიანადსხმული საკინძები, ტაბ. XIII,
სურ. 104-107 და სხვ) თარიღდება VI ს. მიწურულითა და
VII ს. პირველი ნახევრით.

№ 13 სამარხის ბრინჯაოს მხედრის გამოსახულება ერთობ
სტილიზებულია, ქვემოდან შეზნექილი და შუაში გახვრეტილი
(ტაბ. XI, სურ. 64). ცხენოსნის მხატვრული სახე საკმაოდ
ადრე ჩნდება კაგასიის უძველეს სახვით ხელოვნებაში. ამ
კომპოზიციამ განვითარების გრძელი გზა განვლო და ასახვა
პპოვა ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე
[დოლაბერიძე 1986:108; რამიშვილი 2000:68]. ცხენისა და
მხედრის გამოსახულებიანი საკიდები აღმოჩენილია: თუ შეთში
[დოლაბერიძე 1986:106], სვანეთში [ჩართოლანი 1977:93].
ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე VIII-IX ს.ს.
დათარიღებული მსგავსი საკიდები მიჩნეულია ალანური
კულტურის დამახასიათებელ ნივთებად [Ковалевская
1978:119,120]. მიუხედავად ჩრდილოურ მასალებთან გარკვეული
მსგავსებისა, გველეთის მხედრის გამოსახულებიან საკიდე

ალანურ საკიდებს ვერ დაგუკავშირებთ იმ მიზეზის გამო, რომ ჩრდილოკავკასიური საკიდები ყველა გვიანდელია და **VIII-IX** ს. განექუთვნებიან [Ковалевская 1978:119,120]. გველეთის საკიდი კი თანმხელები მასალების მიხედვით კარგად თარიღდება VI ს. დასასრულითა და VII ს. დასაწყისით. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ცხენოსნის მხატვრული სახე კავკასიის სახვით ხელოვნებაში საქმაოდ ადრე ჩნდება სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე და სავსებით შესაძლებელია, რომ გველეთის ბრინჯაოს მხედარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რომელიმე პუნქტში იყოს დამზადებული (ადრე შუა საუკუნეების ბარის ძეგლებისათვის ამგვარი გამოსახულებები ნაკლებ დამახასიათებელია). არც ისაა გამორიცხული, რომ ალანური კულტურის მატარებელ ტომებს ამგვარი საკიდების ფორმა ქართული სამყაროდან შეეთვისებინათ, რადგან იქ VIII ს. ადრინდელი ნიმუშები თითქოს არ ჩანს. გველეთის სამარვანზე კი მხედრის გამოსახულებიანი საკიდი უკვე VI ს. მიწურულიდან დასტურდება.

სხვადასხვა ნივთები. ბრინჯაოს სარკე შემქულია რელიეფური გეომეტრიული ორნამენტით. ცენტრში აქვს ყური და ნახვრეტი (ტაბ. XII, სურ. 118, სამ. № 15). ბრინჯაოს სარკეები იშვიათია აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების სამარხებში [აფაქიძე . . . 1989:17; რჩეულიშვილი 1998:26; ჭილაშვილი 1964:81]. ერთობ დამახასიათებელია ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებისათვის და მკვლევარები მათ ალანური კულტურის სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნევენ [Ковалевская 1984:161]. სარკე ტყავის თასმით მიმაგრებული იყო მიცვალებულის ქამარზე.

იმავე ქამარზე ტყავის თასმით იყო მიმაგრებული ბრინჯაოს ბიკონუსური მოყვანილობის ღრუ ნივთი (ტაბ. XII, სურ. 116).

ჩვენში ამგვარი ნივთები საერთოდ არ ჩანს. მსგავსი ფორმის
ნივთები საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჩრდილოეთ კავკაზიუმზე.
ისინი ცნობილია ნოვოროსიისკთან და კისლოვოდსკთან ახლოს
გათხრილი ადრე შუა საუკუნეების სამარხებიდან [Дмитриев
1982:სურ.15; Рунич 1969:გაძ.VII,24]. ნივთის ფუნქცია გაურკვეველია.
ალბათ ისიც საკიდი-ამულეტი იყო.

ბრინჯაოს ძეწევის ფრაგმენტი აღმოჩნდა № 12 სამარხის
მიცვალებულის წვივის ძვლებთან (ტაბ. XII, სურ. 54). ძეწევის
არაერთია ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოსა და
ჩრდილოეთ კავკასიის ადრე შუა საუკუნეების სამაროვნებიდან,
ამდენად მასზე აღარ შევჩერდებით.

ევნები (3 ც) და ზარაკები (2 ც) მხოლოდ VI ს. მიწურულითა
და VII ს. დასაწყისით დათარიღებულ № 13 სამარხშია
აღმოჩენილი (ტაბ. XII, სურ. 66-68). ანალოგიური ნივთები ადრე
შუა საუკუნეების აღმოსავლეთ კავკასიის სამარხეული
ინვენტარის დამახასიათებელი ნივთებია. ნ. აფხაზავას მიაჩნია,
რომ ევნები ჩვენში VII ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება და VIII
ს. შუა ხანებამდე არსებობენ [აფხაზავა 1979:78]. გველეთის № 13
სამარხის მასალების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ
აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ, განაპირა მხარეში ისინი
რამდენადმე ადრე, უკვე VII ს. პირველი ნახევრიდან ვრცელდება.

ლითონის ჭურჭელი. სამაროვანზე აღმოჩნდა ლითონის
ერთადერთი ჭურჭელი. ესაა № 13 სამარხის ბრინჯაოს ოდნავ
პირმოყრილი, ოვალურძირიანი, ლითონის ერთიანი
ფურცლისაგან დამზადებული ფიალა (ტაბ. XIV, სურ. 77). მას
ზუსტი ანალოგი უძებნება ნემიხის დანგრეული ქვის სამარხიდან
მომდინარე ბრინჯაოს ფიალის სახით, რომელიც ძეგლის
გამოხვრელის ც. რობაქიძის ცნობით, VI ს. უნდა მიეკუთვნოს.

ლითონის ფიალა პირ-კალთის მოყვანილობით წააგავს ადრე შეა საუკუნეებში ჩვენში ფართოდ გავრცელებულ პიროვნეული მარტინიუს მხრებმორგვალებულ, წერნაქით შედებილ-ნაპრიალებ V-VIII ს.ს. დათარილებულ თიხის ჯამებს, რომლებიც აღმოჩენილია: თელავში, რუსთავში, თბილისში [ჩიკოიძე 1979:28] და სხვ. ლითონისა და თიხის ჭურჭლების ფორმათა თანხვედრა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ლითონის ფიალები თიხის ჯამების მიბაძვითაა დამზადებული. უდავოა, გველეთის ბრინჯაოს ფიალა ადგილობრივი (ქართული) ნაწარმია. თანმხლები სამარხეული ნივთები (რკინის ჭვინტიანი მშვილდსაკინძები, ტაბ. IX, სურ. 70; კავადის მონეტა, სურ. 73 და სხვ.) ფიალას ათარიღებს VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით.

მძივები. სამაროვანზე გამოვლინდა 804 მძივი: მინის - 489 ქრონული (მათ შორის მრავლადაა ინკრუსტირებული), სარდიონის - 196 ერთეული, ქარვის - 97 ერთეული, მთის ბროლის - 12 ერთეული, ნიჟარა „ქაური“ 5 ერთეული (ნიჟარები პრეპარაციისას დაიშალა), გიშრის - 4 ერთეული, ქალცედონის - 1 ერთეული. მძივები აღმოჩნდა №№ 3, 4, 6, 8-10, 12-16 სამარხებში (ტაბ. XV, სურ. 13, 20, 27, 35, 41, 44, 55, 74, 82, 125, 137). ფორმების მიხედვით მძივები საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან. ყველაზე მრავალრიცხოვანია სფერული მოყვანილობის მძივები. ისინი მირითადად სარდიონის, მომწვანო, ლურჯი, თეთრი და ყვითელი შერის მინისაა. ამ ფორმის მინის მძივების ერთი ნაწილი ინკრუსტირებულია. მრგვალ-ბრტყელი მძივები მოთეთრო მინისაა. მათგან ზოგიერთი ინკრუსტირებულია. ცილინდრული ფორმის მძივებშიც გვხვდება მომწვანო, ყვითელი და თეთრი მინის მძივები. ოვალური ფორმის მძივები მთის ბროლის, ცისფერი და თეთრი მინისაა. მსხლისებური მოყვანილობის მძივები დამზადებულია

მოთეთრო და ლურჯი მინისაგან. ერთი მათგანი
ინკრუსტირებულია. წვეთისებური ფორმის მძივები თვეზე,
ცისფერი და ლურჯი მინისაა. ისინი ორწილადებია. მცირე
რაოდენობითაა რვა და ათწახნაგა ცისფერი მინის მოგრძო
მძივები. შეტყუპებული მილაკისებური და სფეროს ფორმის
ინკრუსტირებული მინის მძივი თითო ცალია აღმოჩენილი.
არაწესიერი ფორმის მძივები მხოლოდ ქარვისაა. მათგან ერთი
წრიული მოყვანილობისაა, დაბრტყელებული. სწორკუთხა ფორმის
მძივები გიშრისაა. გვხვდება მილაკისებური ფორმის
ვერცხლისფერსარჩულიანი მინის მძივებიც. მრგვალ-ბრტყელი
მოყვანილობისაა ქალცედონის ერთი მასიური მძივი.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების მძივები
სპეციალური შესწავლის საგნად ჯერჯერობით არავის
გაუხდია, რაც ერთობ ამნელებს მძივების დეტალურ კვლევას.
თუმცა, ამ მხრივ გარკვეული ძვრები მაინც შეინიშნება
[აფხაზავა 1979:99]. შედარებით უკეთესადაა შესწავლილი
ჩრდილოეთ კავკასიისა და თერგი-ჯარიახის ხეობის ზოგიერთ
ძეგლზე აღმოჩენილი მძივები [Деопик 1959:49,64; 1963:135-147].
ჩმის, ბალთისა და გოუსტის მასალების გათვალისწინებით,
ადრე შუა საუკუნეების თერგის ხეობაში სავარაუდო
მომწვანო, გამჭვირვალე მინის მძივების ადგილობრივი
წარმოება [Деопик 1963:146]. გველეთის სამარხებშიც ამგვარი
მძივები საკმაოდ ბლომად გვხვდება. ამდენად, ეს მოსაზრება
მთლად უსაფუძვლოდ არ გამოიყერება. ჩრდილოეთ კავკასიაში
აღმოჩენილი სარდიონის მძივების ერთი ნაწილი ინდურ
ირანული იმპორტია [Деопик 1963:135]. თუმცა, მიაჩნიათ, რომ
იქ VI-VII ს.ს. სარდიონის მძივების ადგილობრივი წარმოებაც
უნდა არსებულიყო. ადგილობრივი ნიმუშები როგორც ქვის

ხარისხით, ისე დამუშავების ტექნიკით საკმაოდ
ჩამოუვარდება იმპორტულებს [Деопик 1963:146].

საქართველოში ამ ბოლო ხანებში ჩატარებულმა
გეოარქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სარდიონის
მძივების დასამზადებელი მასალა ჩოქრაქულ ნალექებში
არსებული კვარც-აქატ-ქალცედონის მინერალების სახით
უწყვეტადაა გავრცელებული მთელ საქართველოში.
დადასტურდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ
მინერალების გამოყენება სასამკაულე მასალად საკმაოდ
აღრე იწყება [მგელიაშვილი 1991:100]. ხევში
გეოარქეოლოგიური გამოკვლევები არ ჩატარებულა. თუმცა,
ამ რეგიონში კვარციტული მინერალების დიდი რაოდენობით
არ სებობა აღრეცაა შენიშნული [ПРГС 1959:250].
ხევის სასამკაულე ქვებთან დაკავშირებით საინტერესოა
ერთი ცნობა. ვახუშტი ბაგრატიონი ხევის აღწერისას წერდა:
„ჰყოია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა და სცვივა
ქლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო
- არს შიგ წითელი ბროლი“ [ქვ IV:356,21-24]. ვახუშტი
ბაგრატიონის მიერ ნახსენებ „წითელ ბროლში“ ხომ არ
არის საგულისხმებელი კვარც-აქატ-ქალცედონის მინერალები?
თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ, მოსაზრებას თერგის ხეობაში
სარდიონის მძივების ადგილობრივი წარმოების შესახებ უფრო
მყარი საყრდენი ექმნება. თუმცა, დღეისათვის ეს საკითხი
ბოლომდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება და ის უთუოდ
მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას.

შესაძლოა თერგის ხეობაში მზადდებოდა ბროლის მძივები.
საამისო ნედლეული იქ უხვად მოიპოვება. რაც შეეხება
გიშრის მძივებს, მათი საბადოები ცნობილია როგორც

დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (გელათისა და ძიროვანის საბადოები, გორის, თიანეთის, გომბორის დუშტის რაიონები) [ქსე 1978:173; ПРГС 1959:60]. ძველ საქართველოში გიშრის მოპოვება-დამუშავების მაღალ კულტურაზე მეტყველებს მთელი რიგი ეთნოგრაფიული და ტერმინოლოგიური მონაცემებიც [დოლაბერიძე 1985:92], მაგრამ გველეთური გიშრის მმივების წარმომავლობის გასარკვევად მხოლოდ ეს მონაცემები არ კმარა ამდენად, გიშრის მმივების წარმომავლობის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

იმპორტულია ქარვის მმივები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისინი ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპიდან [Деопик 1959:49]. ნიუარა „კაურები“ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ადრე შუა საუკუნეების სამარხებში არაერთია ცნობილი და პარალელების მოტანას ადარ შევედგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „კაურები“ უფრო ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპირო ქვეყნებიდანაა გავრცელებული კავკასიაში [Рунич 1975:150].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წვეთისებური მინის მმივები, რომელთაც ერთი მხარე ბრტყელი, მეორე კი ამობურცული აქვთ, ჩვენში უკვე VI-VII ს. მიჯნით ან VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში ჩნდება [აფხაზავა 1988:ტაბ.IX,15,X,16]. თარიღს მხარს უჭერს № 13 სამარხის წვეთისებური მმივები. თანმხლები მასალების მიხედვით ისინი მიეკუთვნება VI ს. მიწურულსა და VII ს. დასაწყისს.

კერამიკა. სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს კერამიკა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონების თანადროულ სამარხებში კერამიკული მასალა იშვიათობაა. მთაში მიცვალებულისათვის

თიხის ჭურჭლის ჩატანების უძველესი ტრადიცია დიდხანს
შემორჩა. კერამიკის უმრავლესობა ხელადებია.

ქციის ფაქტურის მიხედვით სამაროვანზე მოპოვებულ
კერამიკაში გამოიყოფა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში
ერთიანდება მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი კერამიკა,
რომელიც თავის მხრივ სამ ტიპად იყოფა.

I ტიპს მიეკუთვნება მოჩალისფროდ გამომწვარი
მრგვალპირიანი ხელადა (ტაბ. XIV, სურ. 57), რომელიც № 13
სამარხის სახურავზე გამოვლინდა. იგი საკუთრივ სამარხეული
ინვენტარის თანადროული (VI ს. მიწურული - VII ს.
დასაწყისი) უნდა იყოს. ანალოგიური ხელადა ცნობილია
VII ს. დათარიღებულ ნების № 132 ქვის სამარხიდან.
ბეჭლეთური ხელადის მსგავსი ჭურჭლები აღმოჩენილია
აღმოსავლეთ საქართველოს აღრე შუა საუკუნეების სხვა
ძეგლებზეც. ისინი გვხვდება: მცხეთაში [აფხაზავა
1979:ტაბ.XXII,25], უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990:40], ერწო-
თიანეთში [ჯორბენაძე 1982:41] და სხვ.

II ტიპს მიეკუთვნება სამტუჩა ხელადები. ერთი მათგანი
ურაგმენტის სახითაა აღმოჩენილი № 1 სამარხში (ტაბ. XIV,
სურ. 6). მეორე გამოვლინდა № 13 სამარხში (ტაბ. XIV, სურ.
76). უკანასკნელის ფორმა მთლიანადაა შემორჩენილი.
მოჩალისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელადები ფართოდაა
ბავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს აღრე შუა
საუკუნეების ძეგლებზე. ისინი ცნობილია: მცხეთიდან,
ურბნისიდან, ბერბუკიდან [აფაქიძე . . . 1989:157; აფხაზავა
1979:ტაბ.XXIX,5; ჭილაშვილი 1964:13]. სამარხეული ინვენტარის
მიხედვით, გველეთის სამტუჩა ხელადები VI ს. მიწურულითა
და VII ს. უნდა დათარიღდეს.

III ტიპად გამოიყოფა სამტუჩა, გოფრირებულყელიანი, მხრებდაშვებული ხელადა. ყურზე დაძერწილი აქვს საკუთრივი გამომწვარია წითლად. ტანი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. XIV, სურ. 23). ხელადა აღმოჩნდა № 4 სამარხში და თანმხლები ინვენტარის მიხედვით თარიღდება VII ს. ანალოგიური ხელადა მომდინარეობს ერთ-ერთი დანგრეული სამარხიდან (ტაბ. XIV, სურ. 138). II ტიპის სამტუჩა ხელადებისაგან ისინი განსხვავდება რამდენადმე დაგრძელებული ტუჩით, ყელის გოფრირებით, წითელპრიალა ზედაპირითა და გადანატებში მუქი კეცით. დარიალის ციხეზე აღმოჩნდა ორი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლებიც ზუსტი ანალოგია III ტიპის ხელადებისა (ტაბ. XXVI, სურ. 62, 232). საინტერესოა, რომ ანალოგიური ფორმის გოფრირებულყელიანი, ოღონდ მრგვალპირიანი ხელადა გამოვლენილია სოფ. ბოდორნაში გათხრილ ერთ-ერთ ადრეულ (IV ს.) სამარხში (09-IX-75-137). ამდენად, გვაქვს საფუძველი, მსგავსი ფორმის ხელადების წარმოშობის არეალად აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთის ან ბარის რეგიონი ვიგულისხმოთ.

მეორე ჯგუფში ერთიანდება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი ჭურჭელი. აღნიშნული ჯგუფის ჭურჭელი სამ სამარხშია გამოვლენილი (ტაბ. XIV, სურ. 8, სამ. № 2; სურ. 14, სამ. № 3; სურ. 75, სამ. № 13). მათგან ორი ფრაგმენტის სახითაა აღმოჩნილი №№ 2, 3, სამარხში. საინტერესო № 13 სამარხის შავად გამომწვარი ზოომორფულყურიანი, კოპებითა და ამოღარული ორნამენტით შემკული სასმისი (ტაბ. XIV, სურ. 75). თითქმის ანალოგიური ჭურჭელია აღმოჩნილი სტირფაზის ადრე შუა საუკუნეების სამარხშიც [Texob

1987:სურ.156, ქ. მსგავსი ფორმის სასმისები მრავლადაა ცნობილი ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც ისინი მიჩნეულია IV-VII საზოგადოებაში ალანური კერამიკის ერთ-ერთ ადრეულ და მეტად დამახასიათებელ ფორმად [Кузнецов 1962:სურ3ა, 1, 2, 24ა, 6, 7]. თუმცა, აქეთ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკის ეს ფორმა გენეზისით უკავშირდება ადგილობრივ გვიანყობანურ კულტურას და მხოლოდ შემდგომაა იგი შეთვისებული ჩრდილოეთ კავკასიაში მოსული ალანების მიერ [Кузнецов 1973:67].

თიხნარი ნიადაგებით დარიბ ხევში ადგილობრივი კერამიკული წარმოება არ არსებობდა [წითლანაძე 1977:99]. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ მოხევეებს კერამიკული ნაწარმი მთიულეთ-გუდამაყრიდან, ქართლიდან ან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჰქონდათ [ჯალაბაძე 1961:210]. განათხარი მასალის მიხედვითაც დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს ხევში ადრე შუა საუკუნეებისთვისაც. სამაროვანზე აღმოჩენილი პირველი ჯგუფის I-II ტიპის მოჩალისფროდ გამომწვარი კერამიკა ხევში ქართლის მთისწინა ან ბარის რაიონებიდანაა მოხვედრილი. რაც შეეხება შავად და ნაცრისფრად გამომწვარ კერამიკას (II ჯგუფი), ამგვარი ჭურჭელი არაა დამახასიათებელი შუა საუკუნეების საქართველოს სამეთუნეო წარმოებისათვის და ისინი აშკარად ჩრდილოკავკასიური იმპორტია, ხევში სავაჭრო-ეკონომიკური ქავშირურთიერთობების შედეგად მოხვედრილი.

ბეჭედეთის სამაროვნის ნივთიერი მასალა მრავალრიცხოვანი პარალელების გათვალისწინებით ძირითადად VI ს. მიწურულითა და VII ს. თარიღდება. სტრატიგრაფიული მონაცემებითა და სამარხეული ინვენტარით ადრეულ სამარხთა ჯგუფს (VI ს. მიწურული – VII ს. პირველი

ნახევარი) მიუკუთვნება №№ 10, 13-16 სამარხები. №№ 1-8, 11 სამარხების თარიღი VII ს. ფარგლებში :ქცევა. № 12 სამარხო ზემოდან იყო გამართული № 15 სამარხზე, რომელიც VI ს. მიწურულითა და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ამდენად, № 12 სამარხის თარიღი უფრო VII ს. მეორე ნახევრით ან მიწურულით უნდა განისაზღვროს. ყველაზე გვიანდელია № 9 სამარხი, რომელიც №№ 10, 14 სამარხებზე ზემოდან გაემართათ. მასში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარიც მოგვიანო იერისაა და VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით თარიღდება.

დღეისათვის ბოლომდე არაა გარკვეული სამაროვნისა და მისგან სამხრეთით, დაახლოებით 1 კმ დაშორებული ციხის ურთიერთობა. ციხის ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი ფერდის ძირას შენიშვნული სამარხები გვაფიქრებინებს, რომ ციხეს შესაძლოა სხვა სამაროვანი პქონდა, გათხრილი სამარხები კი სხვა სამოსახლოს ეკუთვნოდა. გაურკვეველია ისიც, რა ბედი ეწია მოსახლეობას VIII ს. დასაწყისის შემდეგ (ყველაზე გვიანდელი № 9 სამარხი თარიღდება VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით). შესაძლოა სამოსახლო შეეწირა VIII ს. დაწყებულ არაბ-ხაზართა გამუდმებულ და სასტიკ ბრძოლებს. საომარი ოპერაციების დროს ორივე მხარე ხშირად იყენებდა დარიალის გასასვლელს და აღვილი წარმოსადგენია რა პირობები შეექმნებოდა ამ მიდამოებში მცხოვრებთ. არც ისაა გამორიცხული, რომ შექმნილ რთულ კითარებაში VIII ს. დასაწყისიდან მოსახლეობამ გადაინაცვლა ციხის ტერიტორიაზე, სადაც თავს უკეთ დაიცავდა.

სამარხეული ინვენტარის ძირითად ნაწილს თავისთავად ადგილობრივი (ქართული) მასალა შეადგენს. ზოგჯერ

თითქმის შეუძლებელია ადგილობრივი და იმპორტული
მასალის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან რიგი ნივთებისა
რომლებიც გენეზისით „არაქართულია, შემდგომში ჩვენშიც
მზადდებოდა. ადგილობრივი წარმოების ნიმუშებს შეიძლება
მიეკუთვნოს რკინის შუბისპირები (ტაბ. VIII, სურ. 24, 43, 51),
დანები (ტაბ. VIII, სურ. 1, 21, 22, 33, 40, 49, 58, 59, 63, 81, 83, 84), რკინის,
ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი
მშვილდსაკინძები (ტაბ. IX, სურ. 11, 28, 52, 61, 62, 85, 86), რკინის
ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. IX,
სურ. 3, 4, 18, 32, 48, 60). არაგვი-თერგის ხეობის რომელიმე
საწარმოო ცენტრშია დამზადებული ბრინჯაოს სწორკუთხა
და ჯ-ს მაგვარი ფირფიტებით შედგენილი ქამრები (ტაბ. X,
სურ. 109, 132). ჩვენში ფართოდაა გაგრცელებული ისეთი
ფორმის ბეჭდები, რომლებიც გველეთის სამაროვანზეა
გამოვლენილი (ტაბ. XI, სურ. 2, 15, 36, 50, 53, 65, 122) შესაძლოა
V ტიპის ვერცხლის რომბისებურთვალბუდიანი ბეჭდები (ტაბ.
XI, სურ. 16) მცხეთიდანაა შეტანილი დარიალის ხეობაში.
ხოლო № 9 სამარხში აღმოჩენილი შავი მინის ბეჭდები (ტაბ.
XI, სურ. 37) ეგებ სულაც ჟინვალშია დამზადებული. არც
იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ კვეთის თავისებური
მანერის მიხედვით, ხარირების გამოსახულებით შემკული
გემა (ტაბ. XI, სურ. 120) ქართულ სამყაროში შექმნილ ნივთად
მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია ბრინჯაოს მთლიანადსხმული
და მძივით შემკული საკინძები (ტაბ. XIII, სურ. 26, 47, 101-108,
130) აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების
მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნივთებია.
მრავლადაა ჩვენში აღმოჩენილი ვერცხლის ერთწილადი
საყურებები (ტაბ. XIII, სურ. 71, 78). უთუოდ არაგვი-თერგის

ხეობის რომელიმე საწარმოო ცენტრშია დამზადებული
ბრინჯაოს ნუშისებური და დისკოსებური კურატორი
შედგენილი „დიადემები“ (ტაბ. XII, სურ. 96-97, 126-127), აგრეთვ
ბრინჯაოს ცხენისა და მხედრის გამოსახულებები (ტაბ. XI,
სურ. 64, 117). არაგვი-თერგის ხეობებშია საძებნი ის სახელოსნო,
სადაც გველეთის ბრინჯაოს ფიალაა დამზადებული (ტაბ.
XIV, სურ. 77). ადგილობრივი ნაწარმის ჯგუფს შეიძლება
მიეკუთვნოს მძივების ერთი ნაწილი, კერძოდ: მომწვანო ფერის
მინის მძივები, სარდიონის მძივების გარკვეული რაოდენობა
და მთის ბროლის მძივები.

სამაროვანზე გამოვლენილია სხვადასხვა ჯგუფის ნივთები:
ბრინჯაოს აბზინდა (ტაბ. X, სურ. 70), B-ს მაგვარი აბზინდები
(ტაბ. X, სურ. 5, 111), „ნიღბისებური“ ბალთები (ტაბ. X, სურ. 17,
91, 92, 93), ასომთავრული „Ó“-ს მაგვარი ბალთა (ტაბ. X, სურ.
9), ვერცხლის საკიდები (ტაბ. XIII, სურ. 29, 34, 88, 89, 133),
ბრინჯაოს ეპნები, ზარაკები (ტაბ. XII, სურ. 66-68) და სხვ. ისინი
ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს,
ჩრდილოეთ კავკასიისა და უვრაზიის მთელ რიგ ოლქებში.
საფიქრებელია, რომ ამ ნივთების ფართოდ გავრცელების
ქვალობაზე ცალკეულ რეგიონებში მათ ზოგიერთ სახეობას
ადგილობრივაც აწარმოებდნენ. მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური
თვალსაზრისით ამგვარი ნივთების დამზადება მაინცადამაინც
დიდ სირთულეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სამაროვანზე აღმოჩენილი იმპორტული ნივთების დიდი
ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოდიოდა, რაც სავსებით
ბუნებრივია, ვინაიდან ხევი უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთ
კავკასიას, რომელთანაც რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა.
ეკონომიკური კავშირების შედეგადაა მოხვედრილი დარიალის

ხეობაში № 15 სამარხის ვერცხლის მშვილდსაკინძი (ტაბ. IX, სურ. 119), ვერცხლის ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (ტაბ. IX, სურ. 135), ბრინჯაოს სარკე (ტაბ. XII, სურ. 118), ბრინჯაოს ბიკონუსური ნივთი (ტაბ. XII, სურ. 116), ვერცხლის ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით (ტაბ. XII, სურ. 98), ზოომორფულყურიანი, კოპქბით შემკული შავპრიალა სასმისი (ტაბ. XIV, სურ. 75), შავი და ნაცრისფერკეციანი კერამიკა (ტაბ. XIV, სურ. 8, 14). ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩანს შემოსული აღმოსავლეთ ევროპული წარმომავლობის ქარვის მძივები და ხელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან მომდინარე ნიუარა „ქაურები“. თუ წერილობითი წყაროები ადრე შუა საუკუნეების ქართლისა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობებს ძირითადად სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტში განიხილავენ, გველეთის სამროვნის განათხარი მასალებით კარგად წარმოჩინდება ამ ურთიერთობათა კულტურულ-ეკონომიკური მხარე.

სასანური ნივთები სამაროვანზე შედარებით ნაკლებია. ესენია: კავადის (488-531 წ.წ.) ვერცხლის მონეტა (ტაბ. IX, სურ. 73) და გემები (ტაბ. XI, სურ. 12, 72, 123, 124, 136). ქართლის სამეფოს სასანურ ირანთან ურთიერთობის ნიშნები III-IV ს.ს. შეინიშნება, მაგრამ იბერიაში სასანური მონეტებისა თუ გემების მასიური შემოსვლა V ს. მეორე ნახევრიდან იწყება [რამიშვილი 1979:55; დჯალაგანია 1979:13]. ქართლში სასანური ნივთები კიდევ უფრო ინტენსიურად ვრცელება მას შემდეგ, რაც 523 წ. ირანელებმა აქ მეფობა გააუქმეს. მათ ხელო იგდეს დარიალის მაგისტრალი, რომელსაც უშუალოდ აკონტროლებდნენ [მოქცევაი 1963:95]. გზის ხელში ჩაგდებით ირანელებმა პოლიტიკური მიზნების გარდა, მაგისტრალი საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებსაც დაუქვემდებარეს. ეს

გითარება გარემოულად აისახა კიდევ გველეთის სამარხებში
აღმოჩენილი სასანური ნივთების სახით. გადაწყვეტილი

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი
მაგისტრალი საშუალებას აძლევდა ხევის მოსახლეობას
ფართო კულტურულ-ეკონომიკური კავშირი პქონდა
ჩრდილოეთ კავკასიასთან, ქართლ-კახეთის მთისწინეთსა და
ბართან, სასანურ ირანთან და სხვ. ზოგიერთ სამარხეში ნათლად
აისახა ეს მრავალმხრივი კავშირები. მაგალითისათვის მარტო
№№ 13, 15 სამარხების დასახელებაც კმარა, სადაც ერთადაა
თავმოყრილი როგორც ქართული, ისე ჩრდილოკავკასიური
და ირანული წარმოშობის ნივთები.

გველეთის სამაროვანზე მოსახლეობის სოციალურ-
ეკონომიკური დიფერენციაცია მკვეთრად არაა გამოხატული.
სამაროვანი ექუთვნის ერთ სოციალურ ფენას, მაგრამ რამდენიმე
სამარხის (№№ 13, 15, 16) ინვენტარის სიუხვე, მაშინ, როცა ზოგიერთ
სამარხეში (№ 10) სულ ორიოდე ნივთია აღმოჩენილი, მიუთითებს,
რომ თემური ტრადიციების სიმტკიცის მიუხედავად, აღრეული
შუა საუკუნეების ხევის ტერიტორიაზე ეკონომიკური და ალბათ
სოციალური დიფერენციაციაც უკვე შეინიშნება.

სოციალურ საკითხთან დაკავშირებით გველეთის
სამაროვანზე ყურადღებას ერთი გარემოებაც იმსახურებს.
ცნობილია, რომ ქამარს შუა საუკუნეებში სრულიად
გარკვეული აზრობრივი დატვირთვა პქონდა. ქამარი იყო
მისი მფლობელის სამხედრო-აღმინისტრაციულ სისტემაში
ადგილის განმსაზღვრელი ნიშანი [აფხაზავა 1986:92].
აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების
სამაროვნების მასალების გათვალისწინებით ფიქრობენ, რომ
მიცვალებულები, რომელთაც ქამარი პქონდათ ჩატანებული,

საზოგადოებრივად უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ისინი, რომელთაც ამგვარი ქამრები არ ახლდათ. შესაძლოდა ისინი წვრილი მოხელეები ან დაბალი სამხედრო ჩინოსნები იყვნენ [აფხაზავა 1979:93]. VI-VII ს.ს. აღმოსავლეთ ევროპისა და ციმბირის პრიმიტიული საზოგადოებრივი სტრუქტურის ხალხებს შორის გავრცელებული ტრადიციით ყველა ზრდადასრულებულ მამაკაცს სამარხში ქამარი ახლავს [Распопова 1965:78]. ქართლის თანადროულ სამაროვნებზე მამაკაცთა სამარხებში ქამრები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, რაც ქართლის საზოგადოების როულ სტრუქტურაზე უნდა მიუთითებდეს [აფხაზავა 1986:92]. ფიქრობენ, რომ ქვემო აღვეის № 23 სამარხში დაკრძალული მამაკაცი უთუოდ გარკვეული რანგის პირია და მას პირობითად „მეომარი“ თუ „მხედარი“ შეიძლება ვუწოდოთ. ამის დასტურია ის ქამარი, რომელიც მიცვალებულს ახლდა [აფხაზავა 1986:93]. აღრე შეა საუკუნეების ქართლში ქამრები ხელისუფლების ნიშნადაა ქცეული. მას ატარებენ როგორც საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლები (ქობულ სტრატილატის რელიეფი მცხეთის ჯვარზე), ისე უფრო დაბალი ფენების, მაგრამ გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის პირები [აფხაზავა 1986:96]. გველეთის სამაროვანზე ქამრები ორ (№№ 15, 16) სამარხშია გამოვლენილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სხვა სამარხებთან შედარებით ისინი უფრო „მდიდრულია.“ ეს განსაკუთრებით ითქმის № 15 სამარხზე, რომელიც გამოირჩევა ყველაზე უხვი ინვენტარით. აშკარაა, მიცვალებული თავის დროზე მეთემჟთა შორის ქონებრივად შედარებით დაწინაურებული პიროვნება იყო, მაგრამ ისიც ქარგად შეინიშნება, რომ თემისაგან იგი არაა მოწყვეტილი

(მიცვალებული რიგით მეთემეთა შორისაა დაკრძალული). ის ეკონომიკურად და უგებ გარევეულწილად სოციალურად პირველობს თემში, თემის ფარგლებში, მაგრამ იმდენად რამდენადაც ეს თემისათვის მოსაომენია. ხევის ფეოდალიზაციის პროცესის სწრაფ განვითარებას აფერხებდა მთის შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები. თუმცა, ხევში ეს პროცესი (ძირითადად ბარის ზეწოლის შედეგად) ნელა, თანდათან, მაგრამ მაინც ვითარდებოდა და XIV ს. უკავი იურიდიულ დოკუმენტშიც აისახა [შარაშიძე 1954:256; ითონიშვილი 1960:87]. რა თქმა უნდა სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის დონით მთა მკვეთრად ჩამორჩებოდა ბარს [მელიქიშვილი 1979:19], მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებს შორის ხევი მაინც ყველაზე უფრო (ცხრაზმისხევის ფეოდალიზირებული ერთეულის შემდეგ) დაწინაურებული და განვითარებული კუთხე ჩანს. ამის მიზეზად პირველ რიგში უნდა დასახელდეს ხევის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა და მასზე გამავალი მაგისტრალი, რომლითაც ხევი მჭიდროდ უკავშირდებოდა ფეოდალურ ბარს [თოფჩიშვილი 1998:3]. ხევში საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესის განვითარება საბოლოოდ „საყდრიშვილები“-სა და „მოკიდებული“-ის ინსტიტუტის გაფორმებით დასრულდა [შარაშიძე 1954:246-248].

ადრე შუა საუკუნეების ხევის მოსახლეობის – წანარების განსახლების, განსაკუთრებით კი ეთნოგენეზის საკითხი დიდ ხანია არაერთი მკვლევარის ყურადღებას იქცევს. მიუხედავად ცალკეულ მკვლევართა (მ. ბროსვე, ივ. ჯავახიშვილი, ი. მარკვარტი, ს. კაკაბაძე, ს. ერემიანი, ჯ. გვასალია, გ. რჩეულიშვილი, ვაჲ ითონიშვილი) მიერ წანართა განსახლების არგალის საზღვრების დადგენაში განსხვავებული შეხედულებებისა, წანართა ტომის



სამოსახლო ადგილად ძირითადად მაინც თერგის ხეობის უკრძალვი რაიონია მიწნეული [პაპუაშვილი 1982:31]. წანართა გაძლიერებული დაწინაურებასთან ერთად, მათი გავლენის სფეროში თანდათან უკვე სხვა ტერიტორიებიც მქონება.

თუ წანართა განსახლების არეალის საკითხი ასე თუ ისე გარევეულია, მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. უცხოელ მკვლევართა მიერ წანარები მიწნეულია ჩრდილო დაღესტნურ ან ვეინახურ ტომად [Худуд აլ-აлем 1930:33; Генко 1930:706; Минорски 1963:210,211; Мкртумян 1972:213]. თუმცა, ამ აზრის დასამტკიცებლად ისინი სერიოზულ საბუთს ვერ იშველიებენ.

ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი წანარებს სვანურ ტომად მიიჩნევდნენ [Mapp 1913S:32; 1916:1397,1398; Kakabadze 1928:111]. ჯ. გვასალიას აზრით წანარები გენეტიკურად სვანური ტომია, რომელიც შუა საუკუნეებში უკვე ძლიერ ქართიზირებული იყო [გვასალია 1970:753-755; 1997:46]. რ. რამიშვილი მათ სვანურ-კოლხურ სამყაროს უკავშირებს [რამიშვილი 1981:130,133]. თ. პაპუაშვილმა და ბ. სილაგაძემ წანარები მიიჩნია ზანურ//ჭანურ ტომად [პაპუაშვილი 1982:39-42; სილაგაძე 1991:133]. რ. თოფჩიშვილის აზრით, წანარები სვანურენოვანი ტომი იყო, იმ განსხვავებით, რომ შესაძლოა წანარები დღევანდელ სვანთა სრულიად იდენტური კი არ უვნენ, არამედ სვანებთან ახლოს მდგომი ქართველური ტომი [თოფჩიშვილი 1998:95]. უცხოელ ავტორთაგან განსხვავებით, ქართველ მკვლევართა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ წანარები ქართული (დასავლურ ქართული) მოდგმის ტომია. ბეჭედეთის სამაროვნის მასალაზე დაყრდნობით შესაძლოა გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება წანართა ეთნოგენეზის

შესახებ. გველეთის სამაროვნის მასალა გარეულა
ჩრდილოკავკასიური და ირანული იმპორტისა უსწოდებ
იდენტურია არაგვი-ქსნის ხეობებისა და ქართლის ბარის
რაიონებიდან მომდინარე სინქრონული არქეოლოგიური მასალისა.
გათხრების შედეგად გამოვლენილი აღრე შეა საუცნების
ხევის მატერიალური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოს
მთიანეთის, მთისწინეთისა და ბარის მატერიალური კულტურის
ერთიანი და ორგანული ნაწილია. ხევში არაქართული ეთნიკური
ჯგუფის არსებობის პირობებში ამგვარი ერთიანობა რაღაც
ფორმით აუცილებლად იქნებოდა დარღვეული, მაგრამ ეს
ერთიანობა იმდენად მყარი და თვალსაჩინოა, რომ თერგის ხეობაში
არაქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დაშვება სრულიად
უსაფუძვლოა [მინდორაშვილი 2001ა:32].

ასე, რომ გველეთის სამაროვნის განათხარი მასალა კიდევ
ერთხელ ცხადყოფს ზოგიერთი მკვლევარის მიერ წანართა
არაქართული წარმომავლობის შესახებ გამოთქმული
მოსაზრების უსაფუძვლობას.

როგორც ვნახეთ, გველეთის სამაროვანი მრავალმხრივ
საყურადღებო ძეგლია. ცალკეული მცირეინვენტარიანი
სამარხების გარდა ხევის ტერიტორიიდან დღემდე უცნობი
იყო VI ს. მიწურული – VIII ს. დასაწყისით დათარიღებული
სამაროვანი თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი
ინვენტარით, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა იმ პერიოდის
ხევის მოსახლეობის – წანარების სოციალურეკონომიკური
თუ კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების
გასარკვევად. სამაროვნის მასალები საინტერესოა ხევში
ქრისტიანობის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით. მას
არანაკლები მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს



ადრე შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის ქრონოლოგია-
პერიოდიზაციის პრობლემასთან მიმართებაში. მით უმეტეს უკურნელებელი
რომ ზოგ შემთხვევაში სამაროვანზე სტრატიგრაფიული
სურათიც კარგადაა გამოკვეთილი. სამაროვნის მასალები
საინტერესოა წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხის
გასარკვევად. სამარხეული ინვენტარი გარკვეულ წარმოდგენას
გვიქმნის ადრე შუა საუკუნეების ხევის კავშირ-ურთიერთობის
შესახებ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ
რეგიონებთან, ისე გარე სამყაროსთან.

სამაროვანი ბოლომდე არაა შესწავლილი. გათხრილი
სამარხების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი
ინვენტარი კი იმის მანიშნებელია, რომ შესასწავლი
სამარხებიც შეიცავენ საინტერესო მასალებს, რომლებიც უფრო
მეტ ნათელს მოჰყენენ ადრე შუა საუკუნეების ხევის ისტორიის
მოელ რიგ პრობლემებს.

თავი III

აკლდამები

1988-1991 წ.წ. ექსპედიცია გათხრების პარალელურად
აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოებსაც. ექსპედიციამ ხევში
მოინახულა როგორც მანამდე კარგად ცნობილი, ისე უცნობი
ძეგლები, მათ შორის მიწისქვეშა აკლდამები, რომლებიც
უართოდაა გავრცელებული ხევის მთელ ტერიტორიაზე.
აღნიშნულ წლებში ვერ მოხერხდა მათი არქეოლოგიური
შესწავლა, მაგრამ რადგან გვაქვს საშუალება, გვინდა

გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება ხევის აკლდამებთან
დაკავშირებით.

რამდენიმე აკლდამა სოფ. გერგეტში, გარბანში, სიონში,
ახალციხეში, ტყარშეტში, არშის ციხეზე, თავის დროზე
გათხარა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ.
რ. რამიშვილი, რაზმის უფროსი გ. ლამბაშიძე) და მათ
ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად მიიჩნია IX-X ს.ს. [რამიშვილი
... 1973:76; რამიშვილი . . . 1974:73].

ხევის აკლდამები ძირითადად ერთი ტიპისაა. გეგმაში ისინი
სწორკუთხაა. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით,
მცირეოდენი გადახრებით. ნაგებია მეტ-ნაკლებად
დამუშავებული ფიქალის, ქვიშაქვის ან ანდეზიტ-ბაზალტის
კვადრებით. წყობა მშრალია. ზოგჯერ წყობაში დუღაბიცაა
გამოყენებული. სამარხი გადახურულია განივად გადებული
ფიქალის ფილებით. სახურავის დასავლეთ ნაწილში
მოწყობილია ოთხკუთხა ჩასასვლელი. ხევისათვის სწორებ
ამგვარი აკლდამებია დამახასიათებელი [რამიშვილი . . .
1974:73]. ცალკეული დეტალების მიხედვით აკლდამები
რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ. გვხვდება I.
ვერტიკალურკედლებიანი აკლდამები, რომელთაც ზოგჯერ
დასავლეთ კედელთან აქვთ საფეხურები, კედლიდან
გამოშვერილი ფილების სახით (ტაბ. XVII, სურ. 1, 2); II.
ვერტიკალურკედლებიანი აკლდამები, რომელთა ჩრდილოეთ
და სამხრეთ კედლებში ჩაშენებულია მიცვალებულის
დასასვენებელი ფიქალის თაროები (ტაბ. XVII, სურ. 3); III.
აკლდამები, რომელთა კედლები შიგნითაა გადაწეული,
ქვემოდან ზემოთ თანდათან ვიწროვდება და ქმნის ცრც
თაღს (ტაბ. XVII, სურ. 4).

აკლდამები საოჯახო-საგვარეულო სამარხებია. მათში ქვლები უმეტეს შემთხვევაში ცუდადაა შემორჩენილი აკლდამები ერთმანეთშია არეულ-მიმოფანტული. საერთოდ კი, აკლდამებში მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით. აკლდამების ზომები მერყეობს: სიგრძე 1,9-3,45 მ, სიგანე 1-1,8 მ, სიღრმე 1,4-2,5 მ, შორის. ჩასასვლელის ზომებია: 35X50 სმ, 50X55 სმ. ყველა აკლდამა გაძარცულია, რის გამოც მათი თარიღის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მათი აღნაგობის მიხედვით გვიხდება.

I-II სახეობის აკლდამები უფრო ადრეულები ჩანს. აღნაგობით ისინი იმეორებენ ფშავის არაგვის ხეობაში სოფ. ნებისმი და ქართანას სამაროვანზე შესწავლილ VI-VIII ს.ს. აკლდამებს [რჩეულიშვილი 1990:27,33]. რაც შეეხება III სახეობის ცრუთაღოვან აკლდამებს (ტაბ. XVII, სურ. 4), მათი ანალოგები უართოდაა ცნობილი არაგვის აუზიდან, სადაც ისინი ძირითადად XI-XIV ს.ს. დათარიღებული [რჩეულიშვილი 1990:76; ჯორბენაძე 1992:3].¹¹

I-II სახეობის აკლდამების კარგად დათარიღებული ანალოგები ფშავის არაგვის ხეობიდან გვაფიქრებინებს, რომ ხევის აკლდამების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (IX-X ს.ს.) დასაძველებელია. ჩანს, აკლდამები იქ გაცილებით ადრე შრცელდება. IX-X ს.ს. წანარეთის ხევში აკლდამები უკვე მასიურადაა გავრცელებული, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ბარის ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ, მთაში ¹¹ ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ XVII ტაბულაზე წარმოდგენილი ახალციხისა და გარბანის ვერტიკალურკედლებიანი აკლდამები (სურ. 1-3) უნდა დათარიღდეს VI-VIII სს-ით. ამ კონკრეტული აკლდამების თარიღი სწორადაა განსაზღვრული [რაშიშვილი . . . 1974:73]. შესრულებულის ხმობთ, რომ საერთოდ ამგვარი აღნაგობის აკლდამებს ხევში IX-X სს-ზე ადრე, კერძოდ VI-VIII სს-შიც უნდა ეარსებათ.

ქრისტიანობაშ საბოლოოდ და მყარად მოიკიდა ფეხი. ეს ის დროა, როცა კახეთის სამთავროს ხელისუფალთა მნიშვნელობა ხევში იწყება ფართო საეკლესიო მშენებლობა. იმ ხანებშია ხევში აგებული გარბანის, სიონის, ახალციხის კლესიები [დოლიძე, შმერლინგ 1956:41,43,51].

ხევის აკლდამები რამდენადმე განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის რეგიონების შუა საუკუნეების „კლასიკური“ სახის აკლდამებისაგან (ყოღოთო, წილკანი, ივრის სიონი, ჟინვალის თაღოვანი აკლდამა, მარტყოფი).

ხევის აკლდამები გარკვეულ წილად გადამუშავებული, ადგილობრივი პირობების, სამშენებლო ტრადიციების, სამშენებლო მასალებისა თუ სხვა მოთხოვნილებების გათვალისწინებით შექმნილი სამარხი ნაგებობებია, რომლებიც გარეგნულად უქმნება და შორებულია თავისი წინამორბედებისაგან. თუმცა, ხევის აკლდამები გენეზისით სწორედ მათ უკავშირდება და ხევში აკლდამების მასიური გამოჩენა ბარიდან მთაში ქრისტიანობის ფართო გავრცელებას უნდა მიეწეროს.¹² ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მოხევეები და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები დღესაც ამ სამარხ ნაგებობებს აკლდამებს უწოდებენ. ხოლო „აკლდამა“ (კომპოზიტია „ჰაკელ“, „ველი“, „დაზ“, „სისხლი“) ანუ „ველი სისხლისა“ ა. წ. დასაწყისში არამულ სამყაროში შექმნილი სიტყვაა და ქრისტეს სახელთან, ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული [გოცაძე 1986:79]. ნიშანდობლივია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სამარხი ნაგებობის გარკვეული ტიპის აღმნიშვნელი ტერმინი „აკლდამა“, სწორედ პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის შვილების რევისა და ბაქარის სახელებთან მიმართებაში ჩნდება:

¹² ხევი შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოში. წილკნის ეპისკოპოსს ქმორჩილებოდა ორი ქორვპისკოპოსი, რომელთაგან ერთი ბოდორნაში, მეორე ხევის სიონში იჯდა.

„და მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა
 მოკუდა ძე მისი რევ . . . და დაფლეს აკლდამასვე, რომელი
 თვით მასვე რევს აღეშენა“ [ქც I:129,5-8]. ამავე აკლდამაში
 დაუსაფლავებიათ რევის ძმა, მეფე ბაქარი: „მოკუდა (ბაქარ) და
 დაუფლა ძმასავე თვისსა თანა“ [ქც I:131,10,11]. მაშასადამე,
 ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების
 პირველივე ხანებიდან სამარხის განსხვავებული ტიპი - აკლდამა,
 მკვიდრდება როგორც ქრისტიანების დასაკრძალავად
 განკუთვნილი სამარხი ნაგებობა. თუმცა, რა თქმა უნდა,
 მორწმუნები ჩვეულებრივ ქვის სამარხებშიც იმარხებოდნენ.
 ხევში აკლდამების მასიური მშენებლობა როგორც ზემოთაც
 აღვნიშნეთ, უნდა დავუკავშიროთ ამ რეგიონში ქრისტიანობის
 ჰქონ ფართოდ გავრცელებასა და საბოლოოდ განმტკიცებას.
 ქვის სამარხების მსგავსად აკლდამები ხევში გვიან შუა
 საუკუნეებშიც განაგრძობენ არსებობას. მიწისზედა და
 ნახვრადმიწური აკლდამები, რომლებიც ასე მრავლად გვხვდება
 ჩრდილოეთ კავკასიაში: ყაბარდობალყარეთში, ოსეთში, ინგუშეთში,
 ჩაჩნეთში [Кузнецов 1962:43-48, 103-108], სრულიად უცხოა ხევისათვის.

თავი IV

დარიალის ციხე

§ 1. თავდაცვითი სისტემა და საცხოვრებელი
 ნაგებობები. დარიალის ციხე მდებარეობს გველეთის ციხიდან
 ჩრდილოეთით, ორიოდე კმ-ის დაშორებით, ხეობის ერთ-ერთ
 შენაძე ვიწრო ადგილას, მდინარეების თერგისა და ხდეს
 შესართავთან, თერგის მარცხენა ნაპირის მაღალ კლდეზე,

რომელიც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სრულიად
მიუდგომელია. ციხე აგებულია კლდის ზედა ნაწილზე შემორჩენილია დასავლეთ ფერდობზე და ფერდობის ძირზე. ზედა ციხეს რომლის ფართობი 1 ჰას აღწევს, შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის ზღვედის კედლები, ზურგიანი და ოთხკუთხა გვერდის მქონე კოშკები; აგრეთვე კოშკი კუთხეებში ნახევარწრიული კონტრფორსებითა და სხვა ნაგებობათა ნაშთები (ტაბ. XVIII, სურ. 1, 2; ტაბ. XIX; ტაბ. XX; ტაბ. XXI სურ. 1, 2; ტაბ. XXII, სურ. 1, 2). ციხის დასავლეთ ფერდობს ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან დაუყვება 2,6 მ სისქის ე. წ. „იზოდომურ“ წყობით ნაშენი მძლავრი სასიმაგრო კედელი.¹³ ციხის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი გზა გაივლიდა კლდეებს შორის არსებულ კარიბჭეს (ამჟამად კარიბჭის კედლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, ტაბ. XXI, სურ. 2), რომელსაც აღმოსავლეთიდან ოთხკუთხა, დასავლეთიდან კი ზურგიანი კოშკი დაჲყურებს (ტაბ. XXIII, სურ. 1). გზა გადიოდა ციხის დასავლეთი ფერდობის ძირზე სადაც ცალკეული ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი (ტაბ. XXIV, სურ. 1). ზღვედის სამხრეთ კედელში არსებული კარის შემდეგ გზა უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩადიოდა თერგის პირას. ციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა დასავლეთით მდებარე კლდოვანი ფერდობიდან, რაზედაც

¹³ იზოდომური წყობითა ნაგები უჯარმის კლდეების ძირითადი ნაწილი. კედლის წყობისათვის დამახასიათებელია წესიერი ქვათლილები. ქვების გარეპირი მოსწორებულია და ნაპირები წათლილი, რაც მათ სწორკუთხოვან ფორმას აძლევს. ქვები დაწყობილია ზუსტ პორიზონტალურ რიგებად დუღაბის თხელ ფენაზე. ქვები წყობაში გულდასმითაა გადაბმული [ციციშვილი 1982:16,17]. თავის დროზე შლომთათიძემ ამგვარი სამშენებლო წყობის აღსანიშნავად ტერმინი „გორგასლური“ ან „უჯარმული“ შემოგვთავაზა [ლომთათიძე 1989:120].

შეტყველებს როგორც წერილობითი წყაროები, ისე ზღუდის მიღები ჩამნებული აქა-იქ შემორჩენილი წყალსაჭერების მიღები [Сведения . . . 1908:53; Круглов 1937:247]. ციხის სამხრეთით მდებარე ვრცელი ველი უკავია სამაროვანს.

ზედა ციხის დასავლეთ კიდეზე შემორჩენილია საკმაოდ დანგრეული ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკი, ორი ნახევარწრიული კონტრფორსით, რომელთაგან ერთი უკვე მოლიანად ჩამოშლილია. კოშკი გვიანი შუა საუკუნეებისაა (ტაბ. XXII, სურ. I). მეორე ოთხკუთხა კოშკი ციხის ჩრდილოეთ ჭიშკარს აღმოსავლეთი მხრიდან დაჰყურებს. კოშკი „იზოდომური“ წყობით ნაგები ზღუდის კედელში მოგვიანებით, აღბათ, განვითარებულ შუა საუკუნეებში ჩააშენეს. კოშკის აღმოსავლეთი კედლის ძირის გაყოლებით შეიმჩნევა ჩამონგრეული თაღი. ჩანს, კოშკის ქვედა სართულს თაღოვანი ბაღახურვა ჰქონდა. ოთხკუთხა კოშკები ნაგებია საშუალო და მცირე ზომის ქვიშაქვის ქვებით. აქა-იქ შეიმჩნევა ფიქალის ფილებიც. დუღაბი წყობაში ჭარბადაა გამოყენებული.

ზურგიანი კოშკი ციხის ჩრდილოეთ ჭიშკარს დასავლეთით მდებარე მაღალი კლდიდან დაჰყურებს. კოშკის ბრტყელი ქვედი მიქცეულია ჩრდილოეთით. ნაგებობის სიმაღლე 2 მ-და შემორჩენილი. კოშკი აგებულია მცირე ზომის ქვიშაქვის ქვებით დუღაბზე (ტაბ. XXIII, სურ. I). კოშკი განვითარებული შუა საუკუნეების უნდა იყოს.

ციხის სხვადასხვა პერიოდის ზღუდის კედლებს შორის შემდაზე საფუძვლიანად თარიღდება ე. წ. „იზოდომური“ წყობით ნაშენი კედლები, რომლებიც სამშენებლო ხელოვნების ოვალსაზრისით თითქმის ზუსტად იმეორებენ უჯარმის V-VI ს. ს. დათარიღდებული კედლების წყობას [Мелитаври 1972:9] ამგარად

ნაგები კედლები შემორჩენილია დარიალის ზედა ციხეზე და ციხის დასავლეთი ფერდის ჩაყოლებაზე (ტაბ. XX; გამ. XXXV; ტაბ. XXI, სურ. 1, 2). განვითარებული შეა საუკუნეების უნდა იყოს ზედა ციხის ზოგიერთი კედელი.

ჩრდილოეთ ჭიშკართან „იზოდომური“ წყობით ნაშენი ზღუდის ქვეშ 1988, 1989 წ.-წ. გაითხარა 6 მ სისქის მშრალი წყობით ნაგები კედელი, რომლის პერანგი ამოყვანილია დიდ დაუმუშავებელი ქვებით. შიდა სივრცე შევსებულია წვრილი ქვით - ჭყორით (ტაბ. XXIII, სურ. 1). კედლის გაწმენდა მოხერხდა მხოლოდ 10 მ სიგრძეზე და 5 მ სიმაღლეზე. გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ მისი აგება (თუ უფრო ადრეულ პერიოდს არა) შესაძლოა მევე მირვანის (ძვ. წ. II ს.) სამშენებლო საქმიანობას უკავშირდებოდეს. ამ ადგილას ასეთი გრანდიოზული სასიმაგრო კედლის აგება კიდევ ერთი დასტურად დარიალის ციხის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობისა. ¹⁴ V ს. დასასრულსა თუ VI ს. დასაწყისში მასზე დაუშენებიათ „იზოდომური“ წყობით ნაგები კედელი.

ამგვარად, დარიალის ციხეზე ოთხი ძირითადი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: 1) ძვ. წ. I ათასწ. დასასრულის, 2) V ს. დასასრულისა და VI ს. დასაწყისის, 3) განვითარებული შეა საუკუნეებისა და 4) გვიანი შეა საუკუნეების.

ციხის ჩრდილოეთით, 800-ოდე მ დაშორებით, ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, თერგის მარცხენა ნაპირზე, მდინარესა და მაღალ კლდეებს შორის არსებულ მთის განივი განშტოების

¹⁴ დღეისათვის ეს კედელი ყველაზე ძველია ციხის სასიმაგრო კედლებს შორის. მისი მყარად დათარიღებისათვის მასალა ნაკლებად მოგვიპოვება, მაგრამ გამომდინარე იქნიდან, რომ ციხის ტერიტორია, იქ აღმოჩენილი ნივთების მიხედვით, უკვე ძვ. წ. I ათასწ. შეა ხანგბში ჩანს ათვისებული, იქნებ შესაძლებელიც კი იყოს კედლის თარიღის რამდენადმე დაძველება.

შედარებით ადგილად მისადგომ ადგილებზე აგებულია ხეობის უკრაინული ხატები სასიმაგრო კედელი (კარი), რომელიც აშენებულია ქვებით კირსსნარზე (ტაბ. XXV, სურ. 1, 2). სამშენებლო ტექნიკის მიხედვით ის ცოტა უფრო მოგვიანო ჩანს, ვიდრე ციხის „იზოდომური“ წყობით ნაგები კედლები, მაგრამ საფიქრებელია, რომ იმ ადგილას სასიმაგრო კედელი გაცილებით აღრეც იდგა. კედელი დარიალის ციხის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენელი ნაწილია.

1989 წ. ციხის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ძირას, ზღუდის პედლის გარეთ გაითხარა XIII-XIV ს.ს. ხაროიანი ნაგებობა (ტაბ. XXIV, სურ. 1). ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის განვითარებული შუა საუკუნეების დარიალის ციხის ერთ-ერთი ჩვეულებრივი რიგითი ოჯახის საცხოვრებელი ნაგებობის ხასიათზე. შენობა გეგმაში სწორკუთხაა, დაახლოებით 20-25 კგმ ფართისა (შენობის ფართის უფრო ზუსტად განსაზღვრა მისი დაზიანების გამო არ ხერხდება). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით. წყობა მშრალია, იატაკი მიწატკეპნილი. შენობას ბანური გადახურვა უნდა პქონოდა (იქ აღმოჩნდა ორი დარიანი კრამიტი, რომელთაგან ერთზე შეიმჩნევა წერნაქით შეღებვის კვალი, მაგრამ კრამიტები საბუთოვი ამ შენობის სახურავის არაა). ნაგებობა ადგილობრივი, ხალხური, ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების წესითაა ნაშენი. შენობაში გამართულია ქვის ვილებით შედგენილი ოთხკუთხა კერა (35X40 სმ), თონე (დიამეტრი 60 სმ), ქვით ამოშენებული და თიხით შელესილი სამურნეო ხარო (ზომები: სიღრმე 2 მ, ძირის დიამეტრი 80 სმ, პირის დიამეტრი 40 სმ). ოჯახში მოიხმარდნენ სამეურნეო,

სამზარეულო და სასუფრე დანიშნულების პერამიქან, მათ
შორის მოჭიქულსაც.

შენობა მდებარეობს ციხის ფერდობის ძირას, სამხრეთი
გალავნის გარეთ. ჩანს, მოსახლეობის ზრდის გამო ციხის
მცხოვრებთა ერთი ნაწილი გალავნის გარეთ სახლდებოდა.
ამგვარი გადაწყვეტილება მაინცადამაინც დიდ რისკთან
არ იყო დაკავშირებული, რადგან მთავარი საშიშროება
ციხეს ემუქრებოდა ჩრდილოეთიდან. იმ მხრიდან კი
საცხოვრებელ ნაგებობას ხეობის ჩამკეტი კედლის გარდა,
ციხის გალავნის ორი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) კედლი
იცავდა. სამხრეთიდან საშიშროება შედარებით ნაკლები
იყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ციხესთან სიახლოვს
საშუალებას აძლევდა მოსახლეობას სწრაფად შეეფარებინა
თავი გალავნით შემოზღუდული ტერიტორიისათვის.¹⁵

ზედა ციხის კულტურული ფენები ძალზე დაზიანებულია
მეორე მსოფლიო ომის დროს აქ გათხრილი სანგრებითა
და საცეცხლე წერტილებით. ციტადელის დაახლოებით
ცენტრალურ ნაწილში ჩვენს მიერ გავლებულ თხრილში
აღმოჩნდა ხელოვნურად მოსწორებულ კლდეზე
კირხსნარითა და ნაწილობრივ მშრალი წყობით ნაგები
საცხოვრებელი შენობის ნაშთი, რომლის სრული სახით
წარმოდგენა ჭირს (ტაბ. XXIV, სურ. 2). შენობის იატაზ
მიწატკეპნილია. ერთ ადგილას შეიმჩნეოდა კერის კვალი.
ნაგებობის გათხრებისას გამოვლენილი არქოლოგიური მასალის
უმრავლესობა კერამიკაა. მათში გამოიყოფა: დერგები, ქოთხები,

¹⁵ გალავნის გარეთაა აგებული XX ს. 60-იან წლებში შესწავლილი
საცხოვრებელი შენობის ნაშთებიც [წითლანაძე 1977:95]. ციხის აქ
ნაწილში სხვა ნაგებობებიც შეინიშნება.

ხელადები, დოქტები, ჯამები. ისინი სტრატიგრაფიულად გვიან შეა საუკუნეებს მიეკუთვნება და შესაძლოა XV-XVII საუკუნეების დათარიღდნენ (ტაბ. XXXIII, სურ. 115, 126, 127, 148, 158). ციტადელში აღმოჩნდა მწვანე და სოსნისფერი ჭიქურით მოხატული სამარილის (?) ერთადერთი ნატეხი, რომელიც ასევე გვიანი შეა საუკუნეების უნდა იყოს (ტაბ. XXXIV, სურ. 122). ზედა ციხის ნაგებობის არქეოლოგიური მასალიდან ადსანიშნავია წყალსადენის მიღისა და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები (ტაბ. XXXV, სურ. 110, 201, 204). იქვეა მიკვლეული ხელსაფქავის ზედა ქვის ორი ნატეხი (ტაბ. XXXV, სურ. 240, 241).

§ 2. დარიალის ციხის არქეოლოგიური მასალა. გათხრების დროს ციხის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის ძირას, ჭიშკართან (თხრილი I), აგრეთვე დასავლეთი (თხრილი II) და სამხრეთ-დასავლეთი ფერდობის ძირას – ხაროიან ნაგებობაში (თხრილი III) მრავლად აღმოჩნდა ადრე, ბანგითარებული და გვიანი შეა საუკუნეების კერამიკა, რომელთა დიდ ნაწილს პარალელი ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე, ნაწილი კი ჩრდილოკავკასიური იმპორტია.

ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას 1988-1989 წ.წ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული და მშენებლების მიერ დანგრეული კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალა ძირითადად ერთგვაროვანია. ამიტომ მათ აღარ დავანაწევრებთ და ერთად განვიხილავთ.

ადრე შეა საუკუნეების ფენაში აღმოჩნილ ჭურჭელს შორის შველაზე მრავალრიცხოვანია ხელადები. მათ შორის გამოიჩინა წითელპრიალა ზედაპირზე წნევით დატანილი შერტიქალური ზოლებითა და ირიბი ნაჭდევების სარტყელით

შემკული, წმინდად განლექილი თიხისაგან დამზადებული თხელკედლიანი ხელადის ფრაგმენტი, რომელიც კუპი გადანატებში მუქია (ტაბ. XXVI, სურ. 137). შემკულობით, კეცის ფაქტურითა და სხვ. ნიშნების მიხედვით ის ახლოს დგას მოდინახეს სამაროვანზე და უფლისციხეში აღმოჩენილ წითელპრიალა ხელადებთან [ნადირაძე 1975:75; მინდორაშვილი 1990:39]. პარალელური მასალების გათვალისწინებით დარიალის ციხის აღნიშნული ხელადა IV-V ს.ს. შეიძლება მივაკუთვნოთ.

ინტერესს იწვევს იმავე ფენიდან მომდინარე წითლად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ორი ხელადის ფრაგმენტი, რომელთა ყელი გოფრირებულია. კეცი გადანატებში მუქია (ტაბ. XXVI, სურ. 62, 232). VII ს. დათარიღებული მათი ზუსტი ანალოგები ცნობილია გველეთის სამაროვნიდან (ტაბ. XIV, სურ. 23, 138).

ცალკე გამოიყოფა სწორპირიანი (ტაბ. XXVI, სურ. 37, 38), პირგამლილი (ტაბ. XXVI, სურ. 184) და პირწიბორიანი (ტაბ. XXVI, სურ. 173, 197) ხელადების ფრაგმენტები. მათ აქვთ ოვალური ან ბრტყელგანიველები სადა და კოპებით შემკული ყურები (ტაბ. XXVI, სურ. 63, 84, 85). ზოგიერთ მათგანს ყელზე შემოუყვება წიბო (ტაბ. XXVI, სურ. 140, 185, 214). მხრები შემკულია მორგვისული ხაზებით (ტაბ. XXVII, სურ. 30, 31, 33), ამოღარული კონცენტრული ტალღოვანი ხაზებით (ტაბ. XXVI, სურ. 185, 214; ტაბ. XXVII, სურ. 238), ამოღარულ სარტყელებს შორის მოქცეული სამჯუთხედებით (ტაბ. XXVII, სურ. 32, 34). ხელადები გამომწვარია მოჩალისფროდ თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი მკვრივი (ტაბ. XXVII, სურ. 4, 40, 41). ამგვარი ჭურჭელი ციხის ტერიტორიაზე აღრეცა აღმოჩენილი [წითლანაძე 1977:98]. VI-VIII ს.ს. დათარიღებული მსგავსი ფორმის ხელადები ფართოდაა გავრცელებული

აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე ისინი მრავლად გვხვდება მცხეთაში [აფაქიძე . . . 1981:157], თბილისში [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961:ტაბ.19], ურბნისში [ჭილაშვილი 1964:93], უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990:40], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982:38] და სხვ.

ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას აღმოჩენილი ჩაფები ნატეხების სახითაა შემორჩენილი. მათთვის დამახასიათებელია გაშლილი პირი (ტაბ. XXVIII, სურ. 225), ფართო და მაღალი წიბოიანი ყელი (ტაბ. XXVIII, სურ. 138), მასიური ყურები (ტაბ. XXVII, სურ. 42, 73). მათგან ზოგიერთი კოპითაა შემკული (ტაბ. XXVIII, სურ. 8). ისინი გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადა განლექილი. კეცი მკვრივია (ტაბ. XXVII, სურ. 139). VI-VIII ს.ს. დათარიღებული მსგავსი ფორმის ჩაფები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ჭუბლებზე მცხეთაში, ურბნისში [სინაურიძე 1966:58], უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990:34], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982:38] და სხვ. მათი თანადროული ჩანს მოჩალისფროდ გამომწვარი, წმინდად განლექილი თიხისაგან დამზადებული ტუჩიანი ჯამი (ტაბ. XXVII, სურ. 45), რომლის ანალოგები ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს VI-VIII ს.ს. დათარიღებულ ქრამიკულ ნაწარმში [სინაურიძე 1966:50].

ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას გათხრებითა და შემთხვევით მოპოვებული ადრე შუა საუკუნეების მასალებიდან აღსანიშნავია დარიანი და ბრტყელი კრამიტები. ბრტყელი ქრამიტების უმრავლესობა წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. XXXV, სურ. 11, 82, 178, 196, 221). საფიქრებელია, რომ წერნაქით შეღებილი ქრამიტები ციხის ე.წ. „იზოდომური წყობით“ ნაგები კედლების თანადროულია. მათი უფრო მოგვიანო ხანით დათარიღება ნაკლებ

საგარაუდოა. ჩანს, ციხის ერთი ან რამდენიმე გამორჩეული ნაგებობა გადახურული ყოფილა იქ საგანგმოვალო მიტანილ სამშენებლო მასალით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ხევის სხვა ციხეებთან შედარებით, დარიალის ციხის გამორჩეულ როლზე.

ციხის ადრე შეა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში ცალქ გამოიყოფა ერთი ჯგუფი კერამიკული ნაწარმისა, რომელიც აღწერილი ჰურჭლებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ფორმებითა და კეცის სტრუქტურით. ისინი გამომწვარია შავა და თითქმის ყველა მათგანი ზედაპირნაპრიალებია (ტაბ. XXIX, სურ. 21, 55, 69, 71, 230). შავპრიალა კერამიკა არაა დამახასიათებელი შეა საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურისათვის. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიაში და ჭავა არ იწვევს, რომ დარიალის ციხეზე აღნიშნული კერამიკა ჩრდილოეთ კავკასიიდანაა შემოტანილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად.

განვითარებული შეა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება სამეურნეო, სამზარეულო, სუფრისა და სამშენებლო დანიშნულების კერამიკა. ხაროიან ნაგებობაში აღმოჩენილი თონე დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. გამომწვარია წითლად. ოდნავ პირმოყრილია. შიგნიდან დაუყვება ვერტიკალური ღარები, რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება პქონდათ. ისინი ხელს უწყობდა თონეზე პურის უფრო მტკიცედ მიკვრას. თონეები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შეა საუკუნეების ძეგლებზე [მუსხელიშვილი 1937:401; ხახუტაიშვილი 1965:25; ჩიკოიძე 1982:59; კაფადარი 1952:სურ.34; იაკობის 1959:99].

დერგები პირდაკეჭნილი და ბაკოშესქელებულია. პირდაკეჭნილი დერგები ხასიათდება მოყრილი ან გაშლილი პირით (ტაბ. XXX მართვა სურ. 165, 187, 199, 220, 223, 226). გამომწვარია მონაცრისფრო-მოშავოდ და მოწითალოდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კირქვის ჭარბი მინარევებით, კეცი სქელია. ბაკოშესქელებულ დერგებს აქვთ სამკუთხაგანივეტიანი პირი (ტაბ. XXX, სურ. 20, 22). გამომწვარია წითლად (ტაბ. XXX, სურ. 12, 14). პირდაკეჭნილი დერგებისაგან განსხვავებით მათი თიხა შედარებით წმინდადა ბანლექელი. კეცი გადანატეხში მუქია. ორივე სახის დერგები დარიალის ციხიდან აღრეც იყო ცნობილი [წითლანაძე 1977:სურ 3, 8]. ციხის ხაროიანი ნაგებობის იატაკის დონეზე ორივე სახის დერგები ერთადაა აღმოჩენილი. ხაროიანი ნაგებობის მასალა XIII-XIV ს.ს. თარიღდება. ამდენად, დერგების იმავე პერიოდით დათარიღება არ უნდა იყოს უსაფუძვლო. მათი თანადროული ჩანს პირდაკეჭნილი (ტაბ. XXIX, სურ. 17, 23, 49, 169, 195, 198, 236) და სადაპირიანი ქოთნები (ტაბ. XXXI, სურ. 25, 27, 57, 58, 65, 166, 209, 215, 217). პირდაკეჭნილი ქოთნები გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კირქვის ჭარბი მინარევებით. სადაპირიანი ქოთნების ერთი ნაწილი მონაცრისფრო-მოშავოა. ნაწილი წითელგაციანია. ამ ფორმის ქოთნები XIII-XIV ს.ს. ხაროიან ნაგებობაშიცაა აღმოჩენილი.

განვითარებულ შესახუნებს მიეკუთვნება მოხატული ხელადების ფრაგმენტები (ტაბ. XXVIII, სურ. 191, 210, 237). მოხატული კერამიკა დარიალის ციხეზე ძალზე ცოტაა აღმოჩენილი (4 ერთეული). ხელადები გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი მკვრივი. საღებავად გამოყენებულია წერნაქი. ორნამენტის ძირითადი სახეა სწორი, ტალღისებური ან წერტილებით შედგენილი

სარტყელები. აგრეთვე ამოდარული სამკუთხედები, რომლებიც
წერნაქითაა შევსებული. მოხატული ხელადებული არენაზე
აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუა
საუკუნეების ძეგლებზე: თბილისში [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი
1961:გაბ26], რუსთავში [ჭილაშვილი 1958:105], დმანისში [გოჩიაშვილი
1977:128], თელავში [ჩიკოიძე 1979:51] და სხვ.

ხაროიან ნაგებობაში აღმოჩენილი ხელადები პირწიბოიანი
და ტუჩაზნექილია (ტაბ. XXXIII, სურ. 91, 92, 97). გამომწვარია
წითლად ან მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია.
ზოგჯერ კეცი გადანატეხეში მუქია. პირწიბოიანი და
ტუჩაზნექილი ხელადები განვითარებული შუა საუკუნეების
ქართული კერამიკის ერთობ დამახასიათებელი სახეობა.
მსგავსი ხელადები აღმოჩენილია: ჟინვალში [მარგველაშვილი
1999:14], თბილისში [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961:გაბ23,80],
დმანისში [გოჩიაშვილი 1977:128], თელავში [ჩიკოიძე 1979:53],
უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990:83] და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს ციხეზე აღმოჩენილი განვითარებული
შუა საუკუნეების შავად და მონაცრისფროდ გამომწვარია
კერამიკის პირდაკეჭნილი ნიმუშები (ტაბ. XXXII, სურ. 74, 87,
94). კეცის სტრუქტურით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება
ადგილობრივი (ქართული) კერამიკისაგან და ხევზო
ჩრდილოეთ კავკასიონან ჩანან მოხვედრილი.

ციხეზე გამოვლენილი მოჭიქული ჭურჭელი ცოტაა. მათი
უმრავლესობა ჯამებია. ერთ-ერთი ჯამის შიშველ კეცზე ვუჩათ
გამოყვანილია ყავისფერი და მწვანე ურთიერთგადამკვეთრი
ზოლები, აგრეთვე ყავისფერი საღებავით შემოვლებული ყვითელი
წრეები. ჯამს ჭიქური არა აქვს გადავლებული (ტაბ. XXXIV,
სურ. 76). ჭურჭლის ძირი ფართოა, ქუსლი დაბალი, ქვევი

წვრილმარცვლოვანი. მსგავსი ფორმისა და შემცულობის ჯამები ფართოდაა გავრცელებული XII-XIII ს.ს. [მარგველაშვილი 1999:17]. საროიან ნაგებობაში აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის სამი ნატეხი. პირგაშლილი კოჭობის ანგობირებული ბაკო მოჭიქულია მწვანედ. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 101). ჯამის ანგობირებულ ზედაპირზე მუქი სოსნისფერი ზოლებით შედგენილ რომბებში გამოყვანილია ყვითელი და სოსნისფერი ლაქები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალია. ძირზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი წითელი (ტაბ. XXXIV, სურ. 102). ჯამის ანგობირებულ ზედაპირზე მწვანე ზოლებით შედგენილ რომბებში გამოყვანილია ყვითელი წრიული ლაქები, რომელთაც შემოუყვება სოსნისფერი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალია, ძირი შეღარული. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 103). მოჭიქვის ხერხით, ფორმითა და ქაცით აღნიშნული ჯამები XII-XIII ს.ს. უნდა დათარიდდეს. მსგავსი ჯამები არაერთია ცნობილი როგორც ჟინვალის ნაქალაქარიდან, ისე არაგვის ხეობის განვითარებული შუა საშტანეების ნასოფლარებიდან [მარგველაშვილი 1999:17].

რამდენადმე მოგვიანოა მოჭიქული კერამიკის სამი ფრაგმენტი. ერთი მათგანი კოჭობის (?) პირ-გვერდია. პირზე შემორჩენილია სოსნისფერი ჭიქუროვანი საღებავი. თიხა შედარებით წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ. 50). მეორე ფრაგმენტი ჯამის ძირია. ანგობირებული შიდაპირი შევსებულია სოსნისფერი საღებავით. ძირი ბრტყელია, ქუსლო. თიხა მსხვილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად

(ტაბ. XXXIV, სურ. 199). მესამე ნატეხის ახგობირებულ ზედაპირზე
აქა-იქ შეიმჩნევა მწვანე და სოსნისფერი დაჭრიული
წვრილმარცვლოვანია, გამომწვარია წითლად (ტაბ. XXXIV, სურ.
183). მოჭიქვის ხერხების მიხედვით აღნიშნულ კერამიკას მრავლად
მოეპოვება ანალოგები არაგვის ხეობაში [მარგველაშვილი 1999:17]
ისინი XIII-XIV ს.ს. შეიძლება დათარიღდნენ.

გვიანი შუა საუკუნეების კერამიკას მიეკუთვნება ფაიანსის
ორი ნატეხი (ტაბ. XXXIV, სურ. 10, 205). პარალელური მასალების
მიხედვით [მამაიაშვილი 1974:203] ფაიანსის ფრაგმენტები
მიეკუთვნება XVII ს. მეორე ნახევრს.

ციხეზე აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური არტეფაქტები სულ
სამი ერთეულითაა წარმოდგენილი: მინის ინკრუსტირებული
მმივი, მინის სამაჯური და ხელსაფქავის ქვა. მმივისა და
ხელსაფქავის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა არ ხერხდება.
ამიტომ ისინი ზოგადად შუა საუკუნეებს მივაკუთვნეთ (ტაბ.
XXXIV, სურ. 79; ტაბ. XXXV, სურ. 231). მწვანე მინის
ბრტყელგანიველთიანი სამაჯურის ფრაგმენტი (ტაბ. XXXIV, სურ.
72) შესაძლოა დათარიღდეს XII-XIII ს.ს.

გათხრებისას დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ოსტეოლოგიური
მასალა, რომელშიც განსაკუთრებით ჭარბობდა მსხვილფეხა
საქონლის ძვლები.

ციხეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით ირკვევა, რომ
შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი ადრე და განვითარებულ
შუა საუკუნეებში, დარიალის ციხე მთის პირობების კვალობაზე
მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. იმ დროისათვის იქ კარგად
შეინიშნება ინტენსიური ცხოვრების კვალი.

§ 3. დარიალის ციხის სამაროვანი. ციხის სამხრეთი
ფერდობის ძირას, ფართოდ გაშლილ ველზე მდებარეობს

სამაროვანი. გასული საუკუნის 60-იან წლებში იქ გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი რამდენიმე ტერიტორია სამარხი. მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. მხოლოდ ერთ სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს თავშეუკრავი, მრგვალგანივცეთიანი სამაჯური და ორი ბეჭედი. სამარხი დათარიღდა ადრე შუა საუკუნეებით [წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964:25].

1988-1989 წ.წ. გათხრილი სამარხების უმრავლესობას მიწის ზედაპირზე სწორკუთხედად ან ოვალურად შემოუყვებოდა საშუალო და მოზრდილი ზომის ქვები, თავისებური სანიშნები. საკუთრივ სამარხები მათ ქვეშ დაახლოებით 50-80 სმ სიღრმეზე ჩნდებოდა. სამარხები მჭიდროდ არ იყვნენ განლაგებული. შესწავლილი 31 სამარხიდან ყველა აღმოსავლეთიდან დასავლეთით დამხრობილი ქვის სამარხია (ტაბ. XVI). სამარხების თავბოლო და გვერდითი კედლები შედგება სიმაღლეზე ერთ ან ორ რიგად დალაგებული ნაწილობრივ ან საერთოდ დაუმუშავებელი ქვიშაქვის ქვებისაგან, რომლებიც გადახურულია ზიქალის რამდენიმე ფილით. მთლიანად ფიქალის ფილებით მხოლოდ ორი სამარხია შედგენილი (№№ 25, 29). მიცვალებულთა ასაკის მიხედვით სამარხთა ზომები სხვადასხვაა (სამარხების ზომები მერყეობს: სიგრძე 0,9-2,5 მ, სიგანე 20-90 სმ, სიმაღლე 30-90 სმ შორის).

ტელები არ შემორჩენილა 18 სამარხში და მნელია მათზე რაიმე ითქვას. 3 სამარხის დასავლეთ ნაწილში მხოლოდ თავის ქალის მცირე ფრაგმენტები გამოვლინდა. 6 სამარხში (№№ 4, 5, 13, 18, 19, 21) მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. 4 სამარხში (№№ 12, 14, 17, 24)

მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით,
ოდნავ მოხრილი კიდურებით.


თავით
უძლიერი
უძლიერი

11 სამარხი მოზრდილი და ჩვილი ბავშვისაა. ყველა სამარხი,
სადაც ამის გარკვევა მოხერხდა, ინდივიდუალურია. სამარხები
უინვენტაროა, რის გამოც მათი დათარიღება ჭირს. ვფიქრობთ,
აღნიშნული სამარხები მაინც უფრო გვიან შეა საუკუნეებს
მიეკუთვნება. გველეთისა და დარიალის ციხის სამარხების
შედარებისას ნათლად ჩანს, რომ ადრე შეა საუკუნეების ხევში
ქვის სამარხების აგებას უფრო გულდასმით ეკიდებოდნენ.

როგორც მივუთითეთ, შესწავლილი სამარხებიდან 11 მოზრდილი
და ჩვილი ბავშვისაა. ირკვევა, რომ ციხეზე მოსახლეობა ოჯახებით
ცხოვრობდა და ბუნებრივია, მათ საკუთარი მეურნეობაც
ექნებოდათ. ჩანს, დარიალის ციხე სტრატეგიული დანიშნულების
გარდა ხევის ერთიან სამეურნეო სისტემაში გარკვეულ როლსაც
თამაშობდა [მინდორაშვილი 1991:6].

საინტერესო ის გარემოება, რომ ოთხ სამარხში (№№ 12, 14, 17,
24) მიცვალებულები ესვენა წარმართული წესით – მარჯვენა
გვერდზე, ოდნავ მოხრილი კიდურებით. მსგავსი ვითარება
შეინიშნება ხევსურეთში, განვითარებული შეა საუკუნეების
მიწურულით დათარიღებულ შურისციხის სამაროვანზეც. იქ
ქრისტიანული წესით ორიენტირებული ქვის სამარხების გეორგი
ჩნდება ჩრდილოეთიდან სამხრეთით დამხრობილი სამარხებიც,
რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი,
თავით ჩრდილოეთით [რამიშვილი... 1997:100]. ამ, როგორც ჩანს,
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის საერთო მოვლენას,
თავისი ახსნა მოექებნება.

გვიან შეა საუკუნეებში ერთიანი საქართველოს დაშლა
დაქუცმაცების, სამეფო და საეკლესიო ხელისუფლების



დასუსტების დროს, როცა პარი ვეღარ უწევდა კონტროლს მთას, თითქმის მთლიანად მოიშალა მთაში ქართული ეკლესიური ნადგაწი [რამიშვილი 1996:19]. ეს გარემოება არქეოლოგიური მასალების გარდა, კარგად დასტურდება წერილობითი წყაროებითაც. გერგეტის „სულთა მატიანე“-ში ჩართული XV-XVI ს.ს. უცნობი კათალიკოსის საბუთი ეხება ხევში საეკლესიო წესების დაცვას: 40 დღის, ქრისტეშობისა და ოთხშაბათ-პარასკევის მარხვის შენახვას, კვირა-უქმის ქრისტიანული წესით გატარებას, საუფლო დღესასწაულების უქმის გაუტეხლობას და სხვ. ჩანს, მოსახლეობა უკვე ნაკლებად იცავდა ამ წესებს, რასაც კათალიკოსის შესაბამისი რეაგირება მოჰყვა [შარაშიძე 1954:251]. მღვდლებიც ხშირად ივიწყებდნენ თავიანთ უფლება-მოგალეობას და საერთოდ ისე იქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივი ქრისტები. ასეთი პირების დასასჯელად ჯარიმაც ყოფილა განსაზღვრული. კათალიკოსის ბრძანებით: „რომელმანცა ხუცესმა აზარი აიღოს, ვინცა ნახოს, წაართოის და ჯურუმა აზღვევინოს“ [შარაშიძე 1954:253]. გვიანი შუა საუკუნეების ხევში „რჯულის ურიგობისა“ და „მცირე რამ ქრისტიანობის“ შესახებ სხვა წერილობითი წყაროებიც გვამცნობენ [ქსძ 1965:396,397; 1970:558-560]. ხევში ქრისტიანობის პოზიციების შესუსტებაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ დარიალის ციხის სამაროვანზე გვიანი შუა საუკუნეების ზოგიერთ სამარხში კვლავ თავი იჩინა მიცვალებულის არაქრისტიანული წესით დაკრძალვამ.

§ 4. დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. დარიალის ციხეს მოხევები „თამარის ციხედ“ მოიხსენიებენ. ეს არცაა მოულოდნელი, ვინაიდან საქართველოში თითქმის შეველი მეორე ციხე ხალხურ მეტყველებაში „თამარის ციხედ“ იწოდება. ს. მაკალათია მალზე უცნაურ ახსნას აძლევდა

დარიალის ციხის „თამარის ციხედ“ სახელდების ფაქტის მის
აზრით, ეს სახელწოდება ლეგენდარულია და მას უკავშირდება
კავშირი არა აქვს თამარ მეფის პიროვნებასთან, რადგანაც
დარიალის ციხე „თამარის ციხის“ სახელით ქართულ საისტორიო
მწერლობაში არხად იხსენიება. მხოლოდ XIX ს. რუსმა პოეტმა
მ. ლერმონტოვმა პოემა „დემონის“ სიუჟეტად გამოიყენა ერთი
თქმულება, რომელიც ეხებოდა სილამაზით განთქმულ იმერეთის
დედოფალ თამარს. იგი XVII ს. ცხოვრობდა და მეფე-მთავართა
შორის საცილობელ საგნად იყო გამხდარი. პოემაში ეს თამარი
პოეტმა დაუკავშირა დარიალის ხეობას და მის ციხეს. აქედან
მას ეწოდა „თამარის ციხე“ [მაკალათია 1934:38,39]. იგივე აზრს
იმეორებდა თავის ერთ-ერთ ნაშრომში პ. ზაქარაია [ზაქარაია
1988:53].

დარიალის ციხის მეორე სახელი „თამარის ციხე“ ნამდვილად
ხალხურია და არა მ. ლერმონტოვისეული. ჯერ არ ყოფილა
შემთხვევა, რომ რომელიმე, თუნდაც ძალზე პოპულარული და
საყვარელი მწერლის ნაწარმოების მიხედვით დარქმეოდა სახელი
ციხეს, ეკლესიას ან რაიმე ისტორიულ ნაგებობას. მით უმეტეს,
თუ საქმე ეხება არაქართველი მწერლის ნაწარმოებს. მ.
ლერმონტოვმა პოემაში თამარ ცბიერი თუ იგულისხმა, ეს იმას
არ ამტკიცებს, რომ სიმაგრეს მანამდე „თამარის ციხე“ არ
ერქვა. ფაქტი ის უნდა იყოს, რომ ციხე ხალხურ მეტყველებაში
მ. ლერმონტოვამდეც „თამარის ციხედ“ მოიხსენიებოდა. ციხის
სახელი ხალხური მეტყველებიდან პოეტმა ისესხა და არა
პირიქით.

წერილობითი წყაროების ცნობები დარიალის ციხის შესახებ
ადრიდანვე მოგვეპოვება. ახ. წ. I ს. რომაელი ავტორის პლინიუსის
მიხედვით: „კავკასიის კარები ბუნების გრანდიოზული ქმნილებაა,

რომელიც წარმოიშვა ამ ადგილზე მთების უკცარი გარღვევით.
თვით გასასვლელი შემოსაზღვრულია რკინით შემოსალტელი ულიკოთის
და დაჭედილი მორებით; კარებს აქეთა მხარეს, კლდეზე
ჭრარებს სიმაგრე რომელსაც კუმანია ეწოდება. ციხე აგებულია
ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით” [Plin., NH, VI, 30].
შემდგა პლინიუსი დასძენდა, რომ „საჭიროა აქ შესწორდეს
მრავალთა შეცდომა, სხვათა შორის იმათიც, ვინც ამას წინათ
ომს აწარმოებდა არმენიაში კორბულონთან ერთად, რადგან
ისინი კასპიისას უწოდებენ იბერიის კარებს, რომელთაც ეწოდებათ,
როგორც აღნიშნული გვქონდა კავკასიის (კარები). გეგმებზე
რომლებიც გადაღებული და იქიდან გამოგზავნილ იქნა, ეს
სახელია აღნიშნული” [Plin., NH, VI, 30]. პლინიუსი გარკვევით
განასხვავებდა ერთმანეთისაგან დარიალის (იბერიის, კავკასიის)
და დარუბანდის გასასვლელებს. ამასთან, საგანგებოდ
მიუთითებდა სხვა ავტორების შეცდომაზე, რის გამოც კავკასიის
(იბერიის) კარებს ხშირად კასპიის კარებს უწოდებდნენ.
ჰკვლევართა ერთი ნაწილის აზრით პლინიუსის მიერ
მოხსენიებული ციხე-სიმაგრე კუმანია ახლანდელი დარიალის
ციხის ადგილზე უნდა არსებულიყო [იოთონიშვილი 1984:7;
წითლანაძე 1977:93; დოლიძე, შმერლინგ 1956:75].

პლინიუსის ტექსტის ს. მურავიოვისეული წაკითხვით, ციხე-
სიმაგრე კუმანია მდებარეობდა არა „კარებს აქეთა მხარეს”,
არამედ „ქედს აქეთ” [Муравьев 1988:157]. ტექსტის ამგვარი
გააზრების შემთხვევაში პლინიუსისეული კუმანია
ლოკალიზდება დღვევანდვლი ქუმლისციხის მიდამოებში [Муравьев
1988:160], მაგრამ აქ შეიძლება სულაც სახელთა შემთხვევით
შებავშებასთან გვქონდეს საქმე. რაც მთავარია, თუ კუმანია
მართლაც ქუმლისციხეა, მაშინ იგი ვერ შეასრულებდა თავის

სტრატეგიულ დანიშნულებას – მომთაბარე ტომების შეკვების საქმეს. ქუმლისციხე მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩამინდებულ კალთაზე, „კავკასიის კარებიდან” საკმაოდ დაშორებით და დარიალის ხეობაში შემოჭრილ მომთაბარეებს ვერ გაუწევდა სერიოზულ წინააღმდეგობას იმის გამო, რომ ქუმლისციხე აღმართულია არა ხეობის ვიწრო ადგილას, სადაც მოწინააღმდეგის ძალების შეკავება შედარებით აღვილია, არამედ ფართო და გაშლილ ფერდობზე ამასთან, იბერიში შემოსასვლელი მთავარი მაგისტრალი ქუმლისციხემდე რამდენიმე ტოტად იყოფა და იბერიის ბარში მოხვედრა თავისუფლად შეიძლებოდა ქუმლისციხის გვერდის ავლითაც. ამდენად, საეჭვოა იმ დროისათვის ქუმლისციხეში რამდენადმე მნიშვნელოვანი ციხე მდგარიყო. ხოლო პლინიუსის მიერ მითითებულ „კარებს აქტო მხარეს კლდეზე” მართლაც რომ არსებობდა სიმაგრე, სხვა წყაროებითაც დასტურდება. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ძვ. წ. II ს. მირვანის მიერ აგებული ხეობის ჩამკეტი კარი უფრო ქვემოთაა, ჩრდილოეთით, საკუთრივ ციხე-სიმაგრე კი კარის სამხრეთით მდებარეობდა [ქც IV:358,14-16].

ციხის არქეოლოგიურ მასალებში ერთ-ერთი ყველაზე აღრეული ნივთია ბრინჯაოს სამწახნაგა მასრიანი ისრისპირი, რომელსაც ერთი წახნაგი დეზისებურად აქვს ჩამოგრძელებული (ტაბ. XIII, სურ. ა). ისრისპირი თარიღდება ძვ. წ. I ათასწ. შუა ხანებით [წითლანაძე 1971:64, 67]. აღრეული ნივთების ჯგუფს მიეკუთვნება ბრინჯაოს ილარი თუ საკინძი, რომელსაც ამკიბს ცხოველის (ცხვრის?) ორთავიანი სტილიზებული გამოსახულება (ტაბ. XIII, სურ. ბ). ფორმით ის თითქოს იმეორებს კავკასიურ (ყობანურ) საკინძებს, მაგრამ უფრო მეტად ემსგავსება ქსანში აღმოჩენილ ცხვრის თავებით დაბოლოებულ ილარს, რომელიც თარიღდება

ქვ. წ. IV ს. მიწურულით [წითლანაძე 1971:64, 67]. მესამე ნივთი აქტის სწორკუთხა მძივია, რომლის ფორმა საკმაოდ მდგრადი არის და გვხვდება სამთავროს სამაროვნის როგორც ქვ. წ. VIII-VII, ისე ქვ. წ. III-I ს.ს. სამარხებში [წითლანაძე 1971:64, 67]. აღნიშნული ნივთები, აგრეთვე წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტების ქრო ჯგუფი, რომელსაც, ლ. წითლანაძის აზრით, თითქოს ანტიკური კერამიკის იერი დაკრავს, იმის დასტურია, რომ ციხეზე უნდა არსებობდეს ახ. წ. I ათასწლეულზე უფრო ადრეული ზენები [წითლანაძე 1971:64]. მართალია, ერთული ნივთებით ბევრი ვერ ითქმება, მაგრამ საკამათო არ უნდა იყოს, რომ ციხის ტერიტორია ქვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის უკვე ათვისებულია.

ლეონტი მროველი ახ. წ. I ს. ამბების გადმოცემისას მიუთითებდა, რომ ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც ჩრდილოეთ ქავების ტომებიც უჭერდნენ მხარს, ჯავახეთთან სძლია სომეხთა უფლისწულ ზარენს. „უკანასკნელი ტყვედ ჩავარდა. ქართველებმა ზარენი „დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისსა“ [ქც I49,7,8]. ქს არის ქართული წყაროების პირველი ცნობა დარიალის ციხის შესახებ. უფლისწულის შეპყრობასა და მის პატიმრად შოფნას „დარიალასა შინა“ ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს [ქც IV:65,9,10]. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის მიხედვით ზარენი ქართველთა მეფემ „კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა“ [ხორენაცი 1984:145]. ხორენაცი ციხის სახელს არ ახსენებს, მაგრამ ლეონტი მროველის წყაროზე დაყრდნობით, კავკასიის მთაზე არსებულ ციხეში დარიალის ციხეა საგულისხმებელი. ამრიგად, ქართული და სომხური წყაროების მიხედვითაც ახ. წ. I ს. დარიალის ციხე უკვე ფუნქციონირებდა.¹⁶

V ს. მეორე ნახევარში ირანელების წინააღმდეგ აჯანყების
დაწყებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებულ ^{ჭურვის}
აქტიურად შეუტია ვახტანგ გორგასალმა. ზურგის გამაგრების
მიზნით აჯანყებამდე მას ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანი
გზები და გადასასვლელები თვითონ უნდა დაეკავებინა. ვახტანგმა
„შექმნა კარნი ოჯსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდეთ,
და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინა
მცველად მახლობელნი იგი მტეულნი. არა ხელეწიფების
გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ
ბრძანებისა ქართველთა მეფისა” [ქც I:156,19-22]. ქართლის სამეფო
კარს ციხის შემდგომი გამაგრების მიზნით დიდი სამშენებლო
სამუშაოები ჩაუტარებია. ამაზე მეტყველებს ციხეზე შემორჩენილი
„იზოდომური“ წყობით ნაგები კედლები (ტაბ. XX). ისინი ზუსტად
იმეორებენ უჯარმის კედლების წყობას. ხოლო უჯარმის ციხე
რომ ვახტანგის აშენებულია, ეს ცნობილი ფაქტია. „ვახტანგ
დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა” [ქც
I:199,17,18]. უჯარმის აღნიშნული კედლები თარიღდება V-VI ს.ს.
მიჯნით [Мелитаври 1972:9]. ამავე პერიოდით უნდა დავათარიღოთ
დარიალის ციხეზე შემორჩენილი მსგავსი სასიმაგრო კედლებიც
მით უმეტეს, რომ მათ თანადროულობას წერილობითი წყაროს
მონაცემებიც ეთანხმება.

532 წ. ირანელებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს ქართლი და
კავკასიონის გასასვლელებიც თვითონ დაიკავეს. იბნ ალ-ფახიდის
ცნობით ირანის შაჰს ხოსრო ანუშირვანს (531-579 წ.წ.) ჯურზანში

¹⁶ლეონტი მროველი აღწერდა რა ქართველ-სომეხთა ბრძოლას,
მიუთითებდა, რომ ქართველების მხარეზე გამოდიოდნენ „ოვსნი“ [ქც
I:49,6,21], რაც გვიანდელი ინტერპოლაციაა. წყაროში საუბარი უნდა
იყოს ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქტონური ტომებისა და ქართვლების
სამხედრო კავშირზე

(ქართლში) სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად დარიალანიც აუგია. [Сведения . . . 1902:15]. დარიალის ციხე ხოსრო ანუშირვანზემდე დართლაც დიდი ხნის წინათ აგებული ციხე იყო. ამიტომ, თუ წყარო მართლაც ამ ციხეს გულისხმობს, ხოსრო ანუშირვანი მისი ამჟენებელი ვერ იქნებოდა. აქ საქმე უნდა ეხებოდეს ირანელების მიერ ციხის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის გამაგრებას, რასაც შეიძლება მართლაც ჰქონდა ადგილი.

VII ს. ქართლში ირანელთა ბატონობა არაბთა დაპყრობით შეიცვალა. 728/729 წ.წ. არაბებმა მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის მეთაურობით, დარიალის კარის გავლით ხაზარეთში იღაშქრეს. მასუდი (X ს.) მოგვითხრობს ამ ლაშქრობის დროს როგორ დაიპყრეს არაბებმა ხეობაში მდებარე ერთ-ერთი უძლიერესი ციხე და იქ საკუთარი გარნიზონი ჩააყენეს. გარნიზონის მომარაგება სურსათ-სანოვაგით ამ ციხე-სიმაგრიდან ხუთი დღის სავალზე მდებარე თბილისიდან ხდებოდა [Сведения . . . 1908:54], რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ციხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. წყაროს აღწერით აღნიშნული ციხე ყველაზე მეტად დარიალის ციხესთან იმსახურებს გაიგივებას. მასუდი ოქან დასძენს, რომ ციხე დღემდე არაბებს უკავიათო [Сведения . . . 1908:54]. აქ ისტორიკოსი აშკარად აჭარბებს. იმ დროისათვის არაბთა ბატონობა დარიალის გასასვლელზე რეალურ ისტორიულ ვითარებას არ შეესაბამება. IX-X ს.ს. ხევს კახეთის სამთავროს მესვეურები განაგებდნენ.

სპარსულ ანონიმურ გეოგრაფიაში „ჰადუდ ალ-ალამი,” დარიალის ციხე მოხსენიებულია ქალაქად. „ალანების ჭიშკართან, მთის მწვერვალზე მდებარეობს ქალაქი, რომელიც ალანთა ქალაქთაგან ყველაზე აყვავებულია” [Худуд ал-алем 1930:31], „ჰადუდ ალ-ალამი” კომპილატორული ნაწარმოებია. მასში გამოყენებულია

X ს. არაბი ისტორიკოსის იბნ-რუსტეს თხზულება, სადაც
აღნიშნულია, რომ „მდინარეებსა და ტყეებს შორის გამვლით
დღის მანძილს და მიადგები სიმაგრეს, რომელსაც პქია ალანთა
კარი. ის დგას მთის წვერზე, ხოლო მის ქვეშ გადის გზა. ციხე
სიმაგრე შემოზღუდულია მაღალი მთებითა და გამუდმებით
მის კედლებს იცავს 1000 კაცი მის მცხოვრებთაგან, რომელნიც
დღედადამ დგანან სადარაჯოზე” [Минорски 1963:221]. იბნ-რუსტე
თავის მხრივ უყრდნობა ალ-მალიკ ვალ მამალიკის (X ს.) ცნობებს.
ამ უკანასკნელის ნაშრომს იყენებდა XI ს. ისტორიკოსი გარდიზი.
იბნ-რუსტესაგან განსხვავებით გარდიზი აღნიშნავდა,
რომ დარიალანი მდებარეობს ალანთა სამეფოს საზღვრიდან
10 დღის სავალზე [Минорски 1963:221; გვასალია 1976:148].

იბნ-რუსტესა და „პალეო ალ-ალამის” ცნობები დარიალის ციხის
შესახებ გაუგებრობაზეა დამყარებული. დარიალის ციხე
არასდროს ყოფილა ალანთა ქვეუნის ფარგლებში. ავტორები
შეცდომაში შეიყვანა ციხის სახელწოდებამ – „დარიალან” და
მისი ლოკალიზაციაც ალანთა ქვეუნაში მოახდინეს. მაშინ,
როცა ციხე სწორედ ალანთა და სხვა ჩრდილოელთა წინააღმდევ
იყო მიმართული [გვასალია 1976:148]. ჯ. გვასალიას დაკვირვებით,
ბალაძორი, იაკუბი, იბნ ალ-ფახიკი, იბნ ჰაჟალი არ ადასტურებენ
იბნ-რუსტეს ცნობას. ისინი დარიალანს არმენიასა (არაბულ
სამმართველო ოლქი) და ჯურზანში (საქართველო) არსებულ
სიმაგრედ თვლიდნენ. გაზვიადებულია ცნობა ათასკაციანი
გარნიზონის შესახებაც, რადგან დარიალის ციხის მასშტაბები
არ იძლეოდა საშუალებას მასში ათასკაციანი გარნიზონი
ჩამდგარიყო. მასუდი მიუთითებდა, რომ დარიალანის ხელსაყრელი
მდებარეობის გამო, მეომრების სულ მცირე რაოდენობითაც

დარიალის გასასვლელი და მისი მცველი ციხე-სიმაგრეები შეურადღებოდ არ დაუტოვებია ვახუშტი ბაგრატიონსაც, რომელიც თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსაა,“ ხევის ტერიტორიას მდ. თერგის (პირიქითა არაგვის) ჩაყოლებით, ე. ი. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით აღწერდა. ნაშრომში დარიალის ხეობაში მდებარე დაბა გველეთის მოხსენიების შემდეგ ის აღნიშნავდა: „ამ გუელეთს ქუეით ერთვის არაგუსვე ხევი, სამხრ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის გუდამაყარისა და ჭურჭუკის კავკასია, მოდის დასავლეთს-ჩრდილოს შუა და არს უშენი. გარდავალს ამ ხევიდამ გზა ჭურჭუკსა და ქისტეთს, მხლი, საჭირო“ [ქვ IV:358,7-10] გველეთს „ქუეით“ (ჩრდილოეთით) ვიდრე საყოველთაოდ ცნობილ დარიალის ციხემდე ხეობას აღმოსავლეთიდან უერთდება ერთადერთი მდ. ხდეს (ქისტურას) ხეობა. ხდეს ხეობიდან ჩაჩნეთ-ინგუშეთში გადამავალი გზის არსებობაც კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში [Харадзе, Робакидзе 1968:39]. უძრაველია მოყვანილ ციტატში ავტორს სწორედ ხდეს ხეობა პქონდა მხედველობაში. შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ამ ხევს ქუეით დავიწროვდების ხევი ესე ქლდითა, და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით ქიდესა ზედა, აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქუეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა, გ (მესამე) მეფის მირვანის მიერ შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოგსთათვის, რათა უმისოდ ვერდარა ვიდოდნენ . . . ამას ქუეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“ [ქვ IV:358,11-17] ხდეს ხეობის ოდნავ ქვემოთ თერგის (არაგვის) ხეობა მართლაც ძალიან ვიწროვდება, მაგრამ მის აღმოსავლეთ

კიდეზე ანუ მარჯვენა ნაპირზე არსად შეინიშნება ციხე კოშკი, სასიმაგრო კედელი თუ მათი ნაშთი, რომელიც კუთხით ციხედ” შეიძლება გვეგულისხმა.

„აღწერის” ტექსტის მიხედვით დავითის ციხის ქვევით (ჩრდილოეთით) ასევე არაგვის (თერგის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ხეობის ჩამკეტი კარი „დარიელა”, რომელიც ჯერ კიდევ იბერიის მესამე მეფე მირვანს (ძვ. წ. II ს.) აუგია. კარს ქვემოთ მდგარა ნასასახლევი, სადაც ჩერდებოდნენ ქართველი მეფეები ოსეთში გალაშქრების წინ. თერგის მარჯვენა ნაპირზე იმ მიდამოებში, სადაც „აღწერაში” მითითებული მირვანის მიერ აგებული ხეობის დამცველი სიმაგრე - კარია საგულისხმებელი, ასევე არაფერია შემორჩენილი, თუნდაც სულ უმნიშვნელო ნაშთების სახით. „დავითის ციხე” და „დარიელა” ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზეც ასევე თერგის მარჯვენა ნაპირზეა აღნიშნული (ტაბ. II) [ბაგრატიონი 1997:29]. „აღწერის” ტექსტში არაა დაზუსტებული მდინარის რომელ ნაპირზე მდებარეობდა მეფეთა ნასასახლევი, მაგრამ რუკაზე ისიც თერგის მარჯვენა ნაპირზეა მითითებული (ტაბ. II) [ბაგრატიონი 1997:29].

თერგის ხეობის აღმოსავლეთი (მარჯვენა) ნაპირის ის მონაკვეთი, რომელზეც ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, ე. ი. გველეთიდან მოყოლებული ვიდრე ლარსს ქვემოთ, დარიალის ხეობის დასასრულამდე, ისეთი ქარაფოვანი და მიუდგომელია, რომ ამ მხარეს იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგ. „გიგიას სათიბის” სამაროვანი) შუა საუკუნეების ძეგლები საერთოდ არ გვხვდება. ხეობის ამ მონაკვეთში მატერიალური კულტურის ძეგლები (დარიალის ციხე, მისგან ჩრდილოეთით მდებარე ხეობის ჩამკეტი სასიმაგრო კედელი, ლარსის

ციხე-ქოშკი და სხვ.) განლაგებულია მდინარის დასავლეთ კუთხის
(მარცხენა) ნაპირზე.

თავის დროზე კ. ვეიდენბაუმი ერთმანეთისაგან განასხვავდა
თერგის მარცხენა ნაპირზე მდგარ დარიალის ციხეს და
ვახუშტი ბაგრატიონის მიერ „აღწერაში“ და რუკაზე მდინარის
მარჯვენა ნაპირზე მითითებულ დავითის ციხეს. ამ
უკანასკნელის ნაშთებს იგი უშედეგოდ ეძებდა თერგის
მარჯვენა ნაპირზე. ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ
მშენება დავითის ციხე შეეწირა ვიწრო ხეობაში რუსების
მიერ ახალი გზის გაყვანასთ [Вейденбаум 1888:269].

ნახევარი საუკუნის შემდეგ დარიალის ციხეზე მომუშავე ა.
ქრუგლოვი წერდა, რომ ციხიდან ჩრდილოეთით დაახლოებით
1 კმ დაშორებით, თერგის მარცხენა (დასავლეთ) ნაპირზე
მდებარეობს ხეობის ჩამკეტი სასიმაგრო კედელი (ტაბ. XXV,
სურ. 1, 2). ხოლო მდინარის მარჯვენა (აღმოსავლეთ) ნაპირზე
მდებარეობს დიდ სიმაღლეზე შემორჩენილია ორი სრულიად
დანგრეული ნაგებობა, რომლებიც შესაძლებელია კოშკები
ყოსთ [Круглов 1937:247]. კ. ვეიდენბაუმისაგან განსხვავდით
ა. ქრუგლოვს დარიალის ციხის მახლობლად მდინარის
მარჯვენა ნაპირის მაღალ კლდეზე თითქოს შეუმჩნევია ორი
დანგრეული კოშკი, მაგრამ ეს ცნობა მოლად სანდოდ არ
გამოიყერება, რადგან მკვლევარს ნაგებობები ახლოს არ
მნახა. შორი მანძილიდან კი კლდის თავისებური რელიეფი
სავსებით შესაძლოა დანგრეულ კოშკებად მოჩვენებოდა.

ხევისადმი მიძღვნილ გზამკვლევში კ. იოონიშვილი აღნიშნავს,
რომ „განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხალხის მიერ
თამარის ციხედ სახელდებული დარიალის ციხე და დავითის
(აღმაშენებელი) ციხედ წოდებული ერთ-ერთი კოშკი. ვახუშტი

ბაგრატიონის ცნობით დავითის ციხე დგას თერგის მარცხენა
მხარეზე, სათვალთვალოდ მარჯვე კლდეზე. ამ სადაც არაუ
კოშკიდან მეთვალყურეობდნენ საქართველოში შემოსასვლელ
კარებს და სათანადო ნიშანს აძლევდნენ დარიალის მთავარ
სიმაგრეში მყოფ მეციხოვნებს” [ითონიშვილი 1984:6].
მოყვანილი ციტატა მთლიანად ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას
ემყარება. გზამკვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე
მკვლევარს არ უცდია უფრო ვრცლად შეხებოდა ამ საკითხს.
დავუშვათ, თერგის აღმოსავლეთ კიდეზე იმ ადგილას, სადაც
ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა, ე. ი. ხდეს ხეობის
შესართავიდან ოდნავ ქვემოთ (ჩრდილოეთი), მართლაც
არსებობდა დავითის ციხე (კოშკი). ასეთ შემთხვევაშიც ძალუ
უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ სწავლულმა არაფერი
იცოდა (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ არაფერს წერდა)
იქვე, ოდონდ თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარე ხეობის
ყველაზე დიდი, ძლიერი, ქართულ და უცხოურ წერილობით
წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული, სახელგანთქმული
დარიალის ციხის შესახებ. ძნელი წარმოსადგენია, რომ
„აღწერაშიც” და რუკაზეც ასახვა ჰპოვა დარიალის ციხესთან
შედარებით მეორეხარისხოვანმა კოშკმა, მისი მშენებლობა
დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირდა, ხოლო ისეთი
მნიშვნელოვანი სიმაგრე, როგორიცაა დარიალის ციხე,
რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონამდე არაერთი წყარო
იხსენიებდა, საერთოდ გამორჩენილია სახელოვანი გეოგრაფის
მხედველობის არედან. იქნებ გვეფიქრა, რომ სწავლული დარიალის
ციხეში გულისხმობდა მირვანის მიერ აგებულ კარს – „დარიელა”
ს, მაგრამ ამ სიმაგრესაც ხომ ის მდინარის მარჯვენა ნაპირზე

- აღმოსავლეთ კიდეზე მიუთითებდა როგორც რუპაზვ. ისა „აღწერაში” (ტაბ. II) [ბაგრატიონი 1997:29; ქც IV:358,12]. უკავშირობის უკე აღვნიშნეთ, რომ დარიალის ხეობის გველეთი-ლარსის მონაკვეთის მიდამოებში მატერიალური კულტურის ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა თავმოყრილია მდინარის მარცხენა ნაპირზე. ამ მხარესაა განლაგებული ციხეები, ნასახლარები, სამაროვნები და სხვ. ახლა ვნახოთ რა შეუსაბამობაა „აღწერისა” და რუკის მონაცემებსა და რეალურ კითარებას შორის. თერგისა და ხდეს ხეობის შესართავთან ოდნავ ქვემოთ, ე. ი. იქ, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობდა დავითის ციხეს, არაფერია შემორჩენილი, და ოუ კლდის რელიეფის თავისებურებასაც გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მდინარის მარჯვენა ნაპირზე არც თავის დროზე იდგა ისეთი მნიშვნელოვანი სიმაგრე, რომლის მშენებლობაც დავით IV-თან (1089-1125 წ.წ.) შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული. სწორედ იმ ადგილას, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი დავითის ციხეს გულისხმობდა, ოღონდ არა მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, არამედ დასავლეთი ნაპირის მაღალ კლდეზე, აღმართულია ხალხურ მეტყველებაში თამარის ციხედ წოდებული დარიალის ციხე-ოუ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებულ თერგის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დავითის ციხეს, რომელიც მდინარის ამ ნაპირზე ნამდვილად არ არსებობს, იმავე ადგილას ოღონდ მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე დარიალის ციხესთან გავაიგივებთ, სურათი სავსებით ნათელი შეიქმნება. შვიქობ, დარიალის ციხე იგივე დავითის ციხეა „აღწერაში” და რუკაზე შეცდომით მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მითითებული. ვახუშტი ბაგრატიონი ციხის მშენებლობას

დავით IV-ეს მიაწერდა. თუმცა, წერლობითი აუქტოკონტაქტი მონაცემებით, რომლებიც შემდგომ არქეოლოგიური მასალებითაც დადასტურდა, დარიალის ციხე დავით IV-მდე გაცილებით ადრეა აგებული [ქც I:49,8; წითლანაძე 1977:93,94; მინდორაშვილი 1998:80-82]. ცნობილია, რომ მეფე დავითი 1118 წ. ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანასთან დაკავშირებით თვითონ ჩავიდა ოსეთში. ამასთან ერთად მან დარიალის გზის გასწვრივ მდებარე სიმაგრეებზე და კავკასიის ყველა მნიშვნელოვან გასასვლელზე უშუალო სამეფო კონტროლი დააწესა: „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის, და გადმოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი” [ქც I:336,16-20]. სავსებით შესაძლებელია, რომ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო სამეფო კარგა დარიალის ციხის შეკეთება-გამაგრებაზეც იზრუნა. ხოლო წერლობითი წყაროები ხშირად ციხის შემკეთებელ მეფეებს ამ ციხის მშენებლებად რომ მიიჩნევენ, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

რაც შეეხება „დარიელას” ლოკალიზაციის საკითხს. „აღწერაში” და რუკაზე (ტაბ. III) თერგის აღმოსავლეთ ნაპირზე მინიშნებული ქართლის მესამე მეფე მირვანის მიერ აგებული ხეობის ჩამკეტი კარი „დარიელა” უნდა იყოს დარიალის ციხის ქვემოთ (ჩრდილოეთით), ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, დასავლეთ კიდეზე აგებული მძლავრი სასიმაგრო კედელი (ტაბ. XXV, სურ. 1, 2). ისევე როგორც დავითისა და დარიალის ციხის ურთიერთმიმართების შემთხვევაში, საკმარისია აქაც „აღწერაში” და რუკაზე მითითებული მდინარის აღმოსავლეთი ნაპირის ნაცვლად დასავლეთი ნაპირი ვიგულისხმოთ, რომ „დარიელა”-ს ადგილმდებარეობა ზუსტად

დაქმოთხვევა დარიალის ციხის ჩრდილოეთით არსებული ხეობის დამცველი სასიმაგრო კედლის (კარის) აღგილმდებარებული ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ „აღწერაში” და რუკაზე თერგის აღმოსავლეთ ნაპირზე მითითებული ხეობის ჩამკეტი კარი – „დარიელა” უნდა იყოს იმავე ადგილას, ოღონდ მდინარის დასავლეთ ნაპირზე მდებარე, დარიალის ციხის ჩრდილოეთით დაახლოებით 1 კმ დაშორებული სასიმაგრო ქდელი (ტაბ. XXV, სურ. 1, 2).

გამოთქმულ მოსაზრებას უფრო მეტ საბუთიანობას სძენს 1733 წ. შედგენილი თერგის ხეობის რუკა.¹⁷ მასზე მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაბა სტეფანწმიდიდან მოყოლებული ჩრდილოეთით, ვიდრე თერგი-ჯარიახის შესართავამდე, საღაც რუკის მიხედვით საქართველოს საზღვარი გადის, არაა აღნიშნული არც ერთი პუნქტი (ტაბ. III). გამონაკლის წარმოადგენს ჯარიახის შესართავთან მითითებული დასახლება, რომელიც მოხსენიებულია როგორც „პირველი ქართული სოფელი” [Документы 1968:118]. რუკა სამხედრო დანიშნულებისაა, ამიტომ მასზე მიტოვებული ციხეც კია გამოსახული. მხედველობაში მაქვს დარიალის ციხე, რომელიც ექვემდებარი მიხედვით იმ დროისათვის უკვე დაცარიელებული ციხეა. იგი სავსებით მართებულად მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული. თერგის მარჯვენა ნაპირზე კი არც ვახუშტისეული „დავითის ციხე” ჩანს და არც „დარიელა” (ტაბ. III). ეტყობა ისინი არც არასდროს მდგარან მდინარის ამ მხარეს. რუკაზე სტეფანწმიდა-ჩმის მონაკვეთზე

¹⁷ როგორც ირკვევა რუსებს ის გამოუხაზულ მღვდელმთავარ გიორგისა და ვინძე ჯამასპი ხერხეულიძის მიერ შედგენილი რუკის მიხედვით [Документы 1968:119].

დასახლებული პუნქტი და ციხეები მხოლოდ თერგის მარცხენა
ნაპირზეა ფიქსირებული [Документы 1968:118, 119].

დარიალის ციხე და ხეობის ჩამკეტი კედელი „დარიელა“
ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენელი ნაწილებია.
გვიან შეა საუკუნეებში ეს უაღრესად მნიშვნელოვანი
სტრატეგიული დანიშნულების მქონე სიმაგრე თანდათან კარგავს
თავის ფუნქციას. 1733 წ. შედგენილ თერგის ხეობის რეკის
ქადაგიკაციაში დარიალის ციხე ორჯერ ასეა მოხსენიებული:
„пустая крепость Тарил“ და „крепость старая грузинская ныне разорена“
(Дарьял) [Документы 1968:118,119]¹⁸

დარიალის ციხემ პირველი დარტყმა როგორც ჩანს XIV ს.
დასასრულს თემურ-ლენგის შემოსევების დროს განიცადა.
ზოგიერთი ქართული და უცხოური წერილობითი წყაროს
მიხედვით თემურს დარიალის გასასვლელიც დაულაშქრავს
[ძეგლი ერისთავთა 1954:395; სომხურ ხელნაწერთა . . . 1978:27,28].
ციხის დაქვეითების პროცესი კიდევ უფრო უნდა
გაძლიერებულიყო XV ს. შეა ხანგბიდან, როცა ერთიანი ქართული

¹⁸რაც შეეხბა „მეფეთა ნასასახლევის“ ლოკალიზებას „აღწერაში“
იგი ხეობის ჩამკეტი კარის „დარიელა“-ს ქვემოთაა მითითებული და
კონტექსტიდან ისე ჩანს, რომ მეფეთა ნასასახლევი საქართველოს
საზღვარზე ბოლო პუნქტია [ქვ 1:358,16,17]. ვახუშტი ბაგრატიონის
რეკაზე სასახლე აღნიშნულია თერგის მარჯვენა ნაპირზე უკიდურეს
საზღვრისპირა პუნქტად. 1733 წ. რუს ჯარიახის შესართავთან თერგის
მარჯვენა ნაპირზე დაბა ჩინის მოპირდაპირე მხარეს მუჟოთებს პირველ
ქართულ სოფელს [Документы 1968:118,119]. არაა გამორიცხული, რომ
ვახუშტისეული მეფეთა სასახლე, რომელსაც იგი თერგის მარჯვენა
ნაპირზე გულისხმობდა, მდგრადულდა თერგი-ჯარიახის შესართავთან,
იმ ადგილას, სადაც 1733 წ. რუსის მიხედვით პირველი ქართული
სოფელია მინიშნებული. საბოლოოდ როგორც არ უნდა გადაწყდეს
„ნასასახლევის“ ლოკალიზების საკითხი, იგი ყველა შემთხვევაში
ჩინის ახლომახლო ტერიტორიაზეა საძებნი.



სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა; 2022 წლის 1 იანვრის გართულდა საგარეო პოლიტიკური ვითარება. დაეცა ბიზანტიისა და ტრაპიკის იმპერიები. საქართველო მუსლიმანური სახელმწიფოების რკალში მოექცა. სხვა გზების მსგავსად დარიალის გზამაც დაკარგა მნიშვნელოვანი მაგისტრალის უნქცია და ადგილობრივ სამიმოსვლო გზადდა დარჩა, რამაც თავისთვის გამოიწვია მისი დამცველი საფორტიფიკაციო სისტემის, კერძოდ დარიალის ციხის უნქციის მოშლაც. 1733 წლისათვის ციხეზე უკვე არავინ ცხოვრობდა...

ციხის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის აგება-გამაგრებაზე თავის დროზე ზრუნავდა არა მხოლოდ ცალკეული მოხელე, თემი ან გვარი, არამედ სახელმწიფო (გავისხმოთ ცნობები მირვანის, ვახტანგ გორგასალის, დავით IV-ის სამშენებლო საქმიანობის შესახებ დარიალის ხეობაში). რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ციხესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, რადგან ხეობის მტკიცედ გამაგრება თანაბრად შესაბამებოდა როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე მონაპირე „ქვეყნის“ მოსახლეობის უშიშროების ინტერესებს. ბარის სამშენებლო ტრადიციების გავლენას უნდა მიეწეროს ის ბარემოება, რომ ციხეზე დასტურდება „იზოდომური“ სამშენებლო ტექნიკა, აგრეთვე ზოგიერთი ნაგებობის კრამიტით გადახურვა, რასაც ვერ ვხვდებით ხევის სხვა ციხეებზე. ციხის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მასალები უკავშირდები იერსახე იმაზე მეტყველებს, რომ დარიალის სიმაგრე სამეფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მოქცეული სახელმწიფო მნიშვნელობის ქონე ციხე იყო. მის მშენებლობა-გამაგრებაზე ძირითადად მაინც სამეფო კარი – სახელმწიფო

იდწვოდა, რის გამოც თავისი გუგმარებით, მონუმენტურობით, სამშენებლო ტექნიკით, კეთილმოწყობითა და გამორჩეული ადგილი ეკავა ხევის ერთიან საფორტიფიკაციო სისტემაში.

დარიალის ციხის ისტორიის საკითხებს არაერთი მკვლევარი შეხებია. ამჯერად მხოლოდ ა. ნოვოსელცევისა და გ. კუზნეცოვის მიერ დარიალის ციხის შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების ირგვლივ შევჩერდებით. ა. ნოვოსელცევი იხილავს რა ალანთა ქალაქების ისტორიას, წერს: „ალანებთან დაკავშირებული პუნქტებიდან წერილობით წყაროებში ყველაზე ხშირად მოიხსენიება სახელგანთქმული ციხე დარიალის ხეობაში” [Новосельцев 1969:132].

ავტორის მიზანი აქედანვე ცხადია – დარიალის ციხე წარმოგვიდგინოს ალანურ ქალაქად. თავის მოსაზრებას ოფი ამგვარად ასაბუთებს: სახელწოდება „დარიალანი” ეთნონიმ ალანთანაა დაკავშირებული და ადრეულ სომხურსა თუ შედარებით მოგვიანო არაბულ წყაროებში ხეობა, სადაც ციხე მდებარეობს, დარიალანის სახელითაა ცნობილი. თვით ქართული წყაროებიც, რომლებიც არ იცნობდნენ ეთნონიმ ალანს, თურმე უძველესი დროიდან კარგად იცნობდნენ ალანთა ციხესა და ალანთა კარს [Новосельцев 1969:132].

რა შეიძლება ითქვას ა. ნოვოსელცევის ამ მოსაზრების გამო? ხეობის სახელწოდება რომ ეთნონიმ ალანთანაა დაკავშირებული, არ იძლევა არავითარ საფუძველს, იქ არსებული ციხე ალანურად მივიჩნიოთ. ამგვარი ლოგიკით დაბა ყაზბეგიდან ე. ი. დარიალის ხეობის დასაწყისიდან მოკიდებული ჩრდილოეთი, ვიდრე ლარსის ქვემოთ, ანუ დარიალის ხეობის დასასრულამდე ყველა ციხე ნასოფლარი თუ სამაროვანი ალანურად შეიძლება.

გამოვაცხადოთ, რაც აბსურდია. ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ეკავათ წანარებს – ქართული მოღმის ტომებს წანარები არა თუ საკუთრივ დარიალის ხეობის, არამედ საერთოდ თერგის ხეობის ბოლომდე (ბალთის მიდამოები) ჩანან გავრცელებული. მათ სანარების სახელით ჯერ კიდევ კლავდიოს პტოლემაიოსი იხსენიებდა. შემდეგ, VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ წანარები ფლობდნენ დარიალისა და წილკნის კარებს [ლომოური 1955:44; Армянская география 1877:16; Кахабадзе 1928:101]. თერგის ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, სავსებით გარკვეული გამონაკლისების გარდა წანარების დანატოვარია. მხოლოდ მოგვიანებით, VI ს. მიწურულისათვის თუ VII ს. ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში (მაგ. ჩმი) თანდათან ჩნდება ალანური ქულტურის ელემენტები – კატაკომბები. ცალკეული ალანური ჟონიკური ჯგუფების მიგრაციის პროცესი როგორც ჩანს, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და ამ პროცესს იძერის ჰოლიტიკური საზღვრები დიდად არ შეუცვლია.

არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში „დარიალანი“ უძველეს სახელთა რიგს არ მიეკუთვნება. ჯერ კიდევ I ს. დარიალანს პლინიუსი „კავკასიის კარს“ უწოდებდა [Plin, NH, VI, 30]. ლეონტი მროველი მას „არაგვის კარის“ სახელით იხსენიებდა [ქც I:12,4]. „მოქცევაი ქართლისაი“-ს ავტორი VI ს. 30-იანი წლების მოვლენების აღწერისას ისტორიული ხევის ტერიტორიას „წანარეთის ხევის“ სახელით იცნობდა [მოქცევაი 1963:95]. ხეობას სახელწოდება დარიალანი (სპარსულად „ალანთა კარი“) შეიძლება შერქმეოდა მხოლოდ VI ს. მიწურულიდან, როცა ხეობას სპარსელები აკონტროლებდნენ, ალანები კი თანდათან ხეობაში, ბალთა-ჩმის მიდამოებში გამოჩნდნენ. ასე,

რომ „დარიალანი” ხეობის გვიანდელი სახელია. თვით ციხე არ როგორც უკვე მივუთითეთ, ალანების კავკასიაში გამოჩენილ გაცილებით ადრეა აგებული.

მიიჩნევს რა დარიალს ძველ სახელთა რიგში, ა. ნოვოსელცვი იშველიებს აგათანგელოსის, VII ს. სომხეთის გეოგრაფიისა და მოვსეს ხორენაცის ცნობებს, სადაც „ალანთა კარზეა” საუბარი [Новосельцев 1969:132]. ივ. ჯავახიშვილი იხილავდა რა აგათანგელოსის თხზულებას, მივიღა იმ დასკვნამდე, რომ აგათანგელოსის დაწერილად მიჩნეული გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრება VII ს. შეა წლებში ან ამ საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი [ჯავახიშვილი 1935:129]. აქედან გამომდინარე, აგათანგელოსთან „ალანთა კარის” ხსენება არ იძლევა საფუძველს „დარიალანი” ძველ სახელთა რიგს მივაკუთვნოთ. VII ს. სახელწოდება „დარიალანი” უკვე დამკვიდრებული ჩანს და VII ს. სომხეთის გეოგრაფიაშიც ალანთა კარის მითითება უკვე სავსებით გასაგებია. მოვსეს ხორენაციან „ალანთა კარი” ქართლის მოქცევის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება [ხორენაცი 1984:172]. დღეისათვის ხორენაცის „სომხეთის ისტორიის” შექმნის ტრადიციული თარიღი – V ს. გვლევართა დიდი უმრავლესობის მიერ უარყოფილია თხზულების შექმნის ხანად VII-VIII, ზოგჯერ IX ს. ასახელებებზე [ხორენაცი 1984:8-14]. ერთი სიტყვით, მოვსეს ხორენაციან „დარიალანი” ძველი სახელწოდება არაა.

ა. ნოვოსელცვი მართალია, როცა აღნიშნავს, რომ ქართული წყაროები კარგად იცნობენ ალანთა კარის სახელწოდებას – „დარიალანს.” ჩანს, მას ლეონტი მროველის წყარო აქვს მხედველობაში. XI საუკუნეში, როცა ლეონტი მროველი მოღვაწეობდა, ხეობას უკვე შერქმული პქონდა ეს სახელწოდება

და მემატიანეც ხშირად იყენებდა ამ სახელს, მაგრამ ლეონტი მროველმა კარგად იცოდა ხეობის ძველი სახელწოდება „არაგვის-კარი, რომელ არს დარიალა“ [ქც I:12,4]. ამრიგად, ა. ნოვოსელცევის მცდელობა „დარიალანი“ ხეობის უძველეს სახელწოდებად, ხოლო აქედან გამომდინარე აღანები ხეობის უძველეს მცხოვრებლებად წარმოგვიდგინოს, მოკლებულია ურველგვარ საფუძველს.

მკვლევარს მკითხველი შეცდომაში შეტყავს, როცა აღნიშნავს, რომ ქართული წყაროები კარგად იცნობენ ალანთა ციხეს [Новосельцев 1969:132]. ქართული წყაროები მიუთითებენ დარიალის ხეობაში არსებულ ციხეზე, მაგრამ არსად აღნიშნავენ დარიალის ციხის ალანებისადმი კუთვნილებას. პირიქით, ქართული ისტორიული ტრადიციის თანახმად, ხეობის დამცველი კარის პირველ მშენებლად ქართლის მეფე მირვანი (ძვ. წ. II ს.) ბეჭედინება [ქვ I:28,15,16; ქვ IV:358,14].

ლეონტი მროველი და მოვსეს ხორენაცი უკვე ახ. წ. I ს.
დარიალის ციხის არსებობაზე მიუთითებდნენ [ქვ I:49,8; ხორენაცი
1984:145]. ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე სარმატ-ალანთა გამოჩენა
ჰქვე ახ. წ. I ს. შეინიშნება, მაგრამ იმ დროისათვის იმიურკავკასიის
მთისწინეთში, მით უმეტეს თერგის ხეობის სიღრმეში მათი
ქვალი საერთოდ არ ჩანს. ეტყობა ამ შეუსაბამობას გრძნობს ა.
ნოვოსელცევი და ერთგან იძულებელია სხვაორაშორის აღნიშნოს:
„შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად იგი ააგეს
ქართველმა მეფეებმა“ [Новосельцев 1969:132], მაგრამ
მევლევარი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, როდის და რა
პირობებში გადავიდა ციხე ალანთა მფლობელობაში. ცოტა
ქვემოთ კი სავსებით გარკვეულად მიუთითებს როდის
წაართვეს ციხე ქართველებმა ალანებს: „მოგვიანებით,

სახალიფოს დაშლისა და საქართველოს გაძლიერების
 შედეგად XI-XII ს.ს. ციხე ქართველ მეფეთა კონტროლი
 ქვეშ იმყოფებოდა” [Новосельцев 1969:133]. მაშასადამე, ა.
 ნოვოსელცევის მიხედვით, ციხე შესაძლოა ქართველებმა
 ააგეს. გარკვეულ პერიოდში (კონკრეტულად როდის, არა
 ნახსენები), იგრ ალანებმა დაიკავეს და მხოლოდ XI-XII
 ს.ს. ციხე ქართველ მეფეთა კონტროლის ქვეშ ექცევა.
 უკვე მივუთითეთ, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით ა. წ.
 I ს. ციხე ფუნქციონირებდა. V ს. მეორე ნახევრისათვის ხეობის
 ჩრდილოეთით მომდლავრებულ ჰუნებს ამარცხებს ვახტანგ
 გორგასალი და ხეობაში გრანდიოზულ სამშენებლო
 სამუშაოებს ატარებს [ქც I:156,19-22]. მთელი ამ ხნის მანძილზე
 ალანებს არა თუ დარიალის, არამედ საერთოდ თერგის
 ხეობასთან უშუალო შეხების წერტილი არ პქონიათ. VI ს.
 30-იანი წლებიდან დარიალის გასასვლელს იპყრობენ
 ირანელები [მოქცევაი 1963:93]. ალანური ტომები მხოლოდ
 VI ს. მიწურულისათვის და VII ს. თანდათან იკავებენ თერგის
 ხეობის (და არა დარიალის ხეობის) ქვემო წელს (ბალთა-
 ჩის მიდამოები),¹⁹ მაგრამ წერილობითი წყაროები არსად
 მიუთითებენ მათ მიერ ციხის დაპყრობის შესახებ. რეალური
 ვითარება სულ სხვაგვარია. VI ს. მეორე ნახევრისათვის
 ქართლის ერისმთავარი გუარამი აკონტროლებს ჩრდილოეთის
 გადმოსასვლელებით დამხმარე სამხედრო ძალების
 გადმოყვანის საქმეს. ამ მხრივ ალანები საკუთარი ინიციატივით
 აქტიურობას ვერ ბედავენ [ქც I:219,6,220,1,2; აფხაზავა 1991:30].

¹⁹ ბოლო ხანებში შეიმჩნევა ჩმის ალანური კატაკომბების რამდენადმე
 დაძველების ტენდენცია [Абрамова 1986а:69], მაგრამ ამ სამარხების
 ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად V ს. მიჩნევა არ უნდა იყოს მართებული.

VII ს. არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა ალანთა აგრესიის შესახებ დარიალის ციხეზე. VIII-IX ს.ს. ალანეთი ხაზართა ვასალია [Кузнецов 1984:203]. იმ დროისათვის წანარები კახეთის სამთავროს შემადგენლობაში ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას აღწევენ აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, რომ ხაზართა მიერ დასუსტებული ალანების დარიალის ხეობაში შემოჭრა და წანარებისათვის ციხის წართმევა ძალზე საეჭვოა. მსგავსი ფაქტი არც წყაროებშია ფიქსირებული. როდისდა შეიძლებოდა ალანებს ქართველი მეფების მიერ აგებული ციხე მიეტაცათ? ა. ნოვოსელცევი ამაზე პასუხს არ იძლევა, რადგან წყაროების მიხედვით ამგვარ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. მკვლევარის ერთადერთი დასაყრდენია არაბი ისტორიკოსების მცდარი ცნობები, სადაც დარიალის ციხე ალანთა ქალაქადაა მიჩნეული. თუმცა, დარიალის სიმაგრე ქალაქი არაა, როგორც ამას ა. ნოვოსელცევი წარმოგვიდგენს (ციხეს ქალაქებისადმი მიძღვნილ ნაშრომში იხილავს). დარიალის სიმაგრე ყველა ნიშნის მიხედვით კლასიკური ციხეა. მართალია, ა. ნოვოსელცევი ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ ალანთა სიმაგრე უფრო ციხეა, ვიდრე ქალაქი [Новосельцев 1969:133], მაგრამ მისთვის ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. მთავარი ერთია, როგორმე ქართული ციხე ალანურად გამოაცხადოს.

ალანური კულტურის ცნობილ მკვლევარს ვ. კუზნეცოვს დარიალის სიმაგრე სავსებით მართებულად ციხედ მიაჩნია და არა ქალაქად. თუმცა, იბნ-რუსტეს ცნობაზე დაყრდნობით შევი არ ეპარება, რომ ციხე ალანთა კუთვნილებაა [Кузнецов 1971:156; 1984:-144]. აქედან გამომდინარე, ვ. კუზნეცოვს ალანეთის სამხრეთი საზღვარი დარიალის ხეობის სიღრმეში, ქართული სახელმწიფოს ფარგლებში გადმოაქვს [Кузнецов

1984:144]. ზემოთ მიუთითეთ, რომ არაბი ავტორებები შეცდომაში შეიყვანა ხეობის გვიანდელმა სახელწოდებამ და ფრაგმენტთაღა ალანების წინააღმდეგ მიმართული ციხე ალანებს მიაკუთვნეს. ციხე რომ მართლაც ალანების წინააღმდეგ იყო მიმართული, გვიდასტურებს მასუდის ცნობა: „ალანთა სამეფოსა და კაბხის (კავკასიის) მთას შორის არის ციხე და ხიდი დიდ ხევზე ეწოდება ამ ციხეს ალანთა ციხე. ააგო ეს ციხე ძველ დროს ერთმა მეფემ პირვანდელ საარსელთაგან . . . და დაადგინა ამ ციხეში კაცები, რომლებიც აკავებდნენ ალანებს კაბხის მთაში მოსვლისაგან და მათ გზა არა აქვთ თუ არა ამ ხიდზე, ამ ციხის ქვეშ“ [Сведения... 1908:53; წერეთელი 1969:33]. წყაროს მიხედვით სიმაგრეს მართალია ალანთა ციხე ეწოდება, მაგრამ მასუდი პირდაპირ მიუთითებდა მის ფუნქციას. ციხის მთავარი დანიშნულებაა აღკვეთოს კავკასიის მთაში ალანების შემოჭრა. აქედან გამომდინარე ცხადია, ციხე ალანთა კუთვნილი ვერ იქნებოდა. მასუდის ეს ცნობა ვ. კუზნეცოვის დასკვნას ერთბაშად გააბათილებდა, ამიტომ მკვლევარმა საერთოდ აუარა გვერდი მასუდის ცნობის იმ ადგილს, სადაც ციხის ფუნქციაზეა საუბარი.

ვ. კუზნეცოვი ცდილობს თავის დასკვნას უფრო მყარი არგუმენტი მოუძებნოს და იშველიებს გასული საუკუნის 30-იან წლებში ა. კრუგლოვის მიურ ციხეზე ჩატარებული დაზვერვების შედეგად აღმოჩენილ მასალებს, რომლებიც თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შეა საუკუნეების ნამოსახლარებიდან მომდინარე მასალებთან ამჟღავნებენ კავშირს [Круглов 1937:246,247; Кузнецов 1971:156].

ა. კრუგლოვის ნაშრომის ვ. კუზნეცოვისეული ინტერპრეტაცია სრულიად მიუღებელია. ა. კრუგლოვს დარიალის ციხეზე

საფუძვლიანი გათხრები არ უწარმოებია. ის მხოლოდ სადაზვერვო თხრილის გავლებით შემოიფარგლა. ზოგად ხასიათს ატარებს 1937 წ. მის მიერ გამოქვეყნებული გათხრების ანგარიშიც, სადაც მკვლევარი მიუთითებდა, რომ ციხეზე აღმოჩენილი მასალები ჩრდილოკავკასიურ მასალებს უახლოვდება [Круглов 1937:247]. ეს დასკვნა არ გამოდგება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, როგორიცაა დარიალის ციხის ალანებისადმი კუთვნილების საკითხი. ა. კრუგლოვის მიერ აღმოჩენილ მასალებში მართლაც გვხვდება ჩრდილოკავკასიური კერამიკა, მაგრამ განათხარი ნივთების უმრავლესობა ქართულია, რაც ა. კრუგლოვს შეუმჩნეველი დარჩა რიგი მიზეზების გამო. იმ პერიოდში ქართული აღრექრისტიანული არქეოლოგიური მასალები ნაკლებად იყო გამოვლენილი. მკვლევარს დაზვერვების ზოგად ანგარიშში არც დაუსახავს მიზნად ქართული მასალების მოძიება, მისი შეჯერება დარიალის ციხის კერამიკასთან და რაღაც შედარებით უკუთ იცნობდა ჩრდილოკავკასიურ მასალებს, რომელთა მსგავს ნივთებს დარიალის ციხეზეც შეხვდა, ზოგადად შემოიფარგლა დარიალის ციხისა და ჩრდილოკავკასიური არქეოლოგიური მასალების სიახლოვის აღნიშვნით [Круглов 1937:247]. შემდგომი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა ოვალნათლივ გვიჩვენა, რომ ციხეზე აღმოჩენილი მასალების შდიდესი ნაწილი ქართულია [წითლანაძე 1977:104,107; მინდორაშვილი 1991:5]. ჩრდილოკავკასიური კერამიკა კი საგაჭრო-ჰონომიკური კავშირების შედეგადაა მოხვდრილი ციხეზე და არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ დარიალის ციხე აღანების კუთვნილება იყო.

აღანური კულტურის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ვ. კუზნეცოვი კატაკომბებს მიიჩნევს [Кузнецов 1962:14].

დარიალის ციხე ალანების კუთვნილი რომ ყოფილიყო, ბუნებრივია, ციხის სამხრეთით მდებარე ვრცელ სამაროვანზე გადატაცირებული სამარხებიც უნდა აღმოჩენილიყო. სამაროვანზე სამარხო ერთადერთ ტიპს წარმოადგენს ქვის სამარხები [წითლანაძე 1977:91; მინდორაშვილი 1991:5]. ხოლო ამ სამარხებში გამოვლენილი მცირერიცხოვანი ინვენტარიდან ალანური არაფერია. ასე, რომ არც სამაროვანის მასალებით ვლინდება ალანთა კავშირი დარიალის ციხესთან.

ვ. კუნძულოვის მოსაზრება რეალობისაგან შორს რომ დგას, ამას ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც ადასტურებს: „ამას ქუეით (იგულისხმება დარიალის ციხე დ. მ.) არს დარიელა … გ (მესამე) მეფის მირვანის მიერ შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერდარა ვიდოდნენ. ამას ქუეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშვრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“ [ქც IV:358,13-17]. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ციხის ქვემოთ, ე. ი. ჩრდილოეთით არსებობდა კარი – დარიელა. კიდევ უფრო ქვემოთ მეფეთა სასახლე უაჭველია, ციხის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიები (კარი, მეფეთა ნასასახლევი) ქართული სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა. მით უმეტეს ციხე, რომელიც ხეობის სიღრმეში მდებარეობს, ალანების კუთვნილი ვერ იქნებოდა. ციხის ჩრდილოეთით ე. ი. ალანეთის მხარეს, დაახლოებით 800 მ-ის დაშორებით, ხეობის ყველაზე ვიწო ადგილას, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების მძლავრი სასიმაგრო კედელი (ტაბ. XXV, სურ. 1, 2) (ვახუშტისეული „დარიელა“). თუ ციხე ალანთა კუთვნილება იყო, რისთვის, ვის საწინააღმდეგოდ დასჭირდათ მათ ასეთი მძლავრი კედლის აგება? ხომ უაზრობაა ციხის დამცველი

კედლის აშენება არა მოწინააღმდეგის მხარეს, არამედ ციხის ზურგში? სურათი სავსებით ნათელია. აღნიშნული პეტრე მეფის სწორედ აღანთა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომების თავდასხმებისაგან იცავდა ხეობასაც და საკუთრივ ციხესაც. ამდენად, ვ. კუზნეცოვი ამაოდ ცდილობს ქართული ციხე აღანურ სიმაგრედ წარმოგვიდგინოს და აღანუთის საზღვრები ქართული მიწების ხარჯზე გააფართოვოს.

ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წ. შედგენილი რუკის მიხედვით თერგის ხეობაში საქართველოს საზღვარი დაბა ჩმის ოდნავ სამხრეთით გადის. დარიალის ციხე (ჩვენი აზრით, იგივე დავითის ციხე) კი რა თქმა უნდა ხეობის სიღრმეშია მინიშნებული [ბაგრატიონი 1997:29]. XVIII ს. რუკით ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ქუთვნილი ტერიტორიების განსაზღვრა გაუმართლებელია, მაგრამ ერთი რამაა გასათვალისწინებელი, XV ს. შუა ხანებიდან ერთიანი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისა და ქვეყნის გაპარტახების კვალობაზე სახელმწიფოს საზღვრები სულ უფრო იკვეცებოდა. ასე, რომ ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დამცრობილ-დაკნინებული სურათია მოცემული. ასეთ ვითარებაშიც კი დარიალის ციხე კვლავ ჩვენი ქვეყნის ზარგლებშია მოქცეული. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონი დარიალის (დავითის) ციხეს შეცდომით თერგის მარჯვენა ნაპირზე მიუთითებდა, მაგრამ საზღვართან დაკავშირებით დასახვებელი ნამდვილად არაფერია. 1733 წ. ვახუშტი ბაგრატიონისაგან დამოუკიდებლად შედგენილ რუკაზე (ტაბ. III) საქართველოს სასაზღვრო ხაზი გადის ჩმიზე და ბუნებრივია,

აქაც დარიალის ციხე საქართველოს ფარგლებშია მოქცეული
[Документы 1968:118].

რუკების გარდა არსებობს სხვა ოფიციალური დოკუმენტებიც სადაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და მისი მიხედვით ციხის კუთვნილების საკითხის გარკვევა როგორი არაა. ისევ გვიანდელ წყაროებს მოვიშველიებთ. 1733 წ. ვახტანგ VI-ის მიმართვაში რუსეთის იმპერიის მინისტრთა კაბინეტისადმი აღნიშნულია, რომ ჩმის ოსი ბატონი ქართლის მეფის მოხელე ყოფილა. იგი მეფისგან იღებდა ჯამაგირს და მეფეს ემსახურებოდა. ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ ჩმიდან იწყებოდა ქართული მიწები [Документы 1968:129]. მაშასადამჟა საქართველოს უაღრესად ძნელდედობის უამსაც კი, როცა ქართლში „ოსმალობა“ და შემდეგ „ყიზილბაშობა“ მძფინგარებდა, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრები ჩმიზე და ჯარიახის ხეობაზე გადიოდა. ხოლო საკუთრივ ჩმი, რომელიც ოფიციალურად საქართველოში არ შემოდიოდა, ქართლის მეფეებისა და არაგვის ერისთავების მორჩილებისა და გავლენის სფეროს შეაღგენდა.

უფრო მოგვიანებით, 1769 წ. ერეკლე II-ის კარზე დაწერილ ერთ-ერთ საბუთში, რომელიც ელჩ არტემ ანდრონიკაშვილს გაატანეს რუსეთში, მითითებულია: „და ეს გზა რომ დაგვიწერია . . . ამ გზაზედ ჩიმი არის, რომელიც საზღვარი არის“ [მაჭარაძე 1988:361]. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთ კავკასიაში ალანების პირველი გამოჩენიდან ვიდრე XVIII ს. ჩათვლით, ალან-ოსებს დარიალის ციხესთან შეხების წერტილი არ პქონიათ. ის ყოველთვის ქართული სახელმწიფოს ფარგლებში შემოდიოდა ამ საკითხზე ვრცლად იმის გამო შევჩერდით, რომ არა მხოლოდ ა. ნოვოსელცევისა და პ. კუზნეცოვის, არამედ სხვა



ქავლევართა [Дзаттиаты 1986; Калоев 1971] ნაშრომებშიც უკვე
კარგა ხანია აშკარად იგრძნობა ტენდენცია კავკასიის მთიანეთის
ქართული ძეგლები უცხო ტომების კუთვნილებად გამოაცხადონ,
დააკინონ შეა საუკუნეების საქართველოს ძლიერი პოლიტიკური
თუ კულტურული გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე,
პორველ რიგში კი აღანგებზე მაშინ, როცა წერილობითი წყაროები
და არქეოლოგიური მასალები საქართველოს როლს ჩრდილოეთ
კავკასიის ხალხების პოლიტიკურ, კონომიკურ თუ კულტურულ
ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენენ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი მკვლევარიც არსწორად
განსაზღვრავდა დარიალის ციხის კუთვნილების საკითხს. მაგ.
ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ჯარის
შესაქმნელად ყივჩაყები დარიალის ხეობით შემოიყვანა
საქართველოში. ყივჩაყებს საქართველოში შემოსვლამდე ოსების
ტერიტორია უნდა გამოევლოთ. უკანასკნელნი მტრულად იყვნენ
განწყობილი ყივჩაყების მიმართ. ამისათვის დავითი „შევიდეს
ოვსეთს და მოგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი
მათნი . . . აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა,
და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი . . . და
აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა
და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა
ჟიშაყთათვის“ [ქვ I:336, 15-20]. ამ ცნობაზე დაყრდნობით პ. ზაქარაია
გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ დავითის მიერ ყივჩაყების
საქართველოში გადმოყვანამდე „დარიალის კარი ოსთა
ხელში ყოფილა“. დავითმა „ოსებს წაართვა დარიალის ციხე
და იქ თავისი ჯარი ჩააყენა“ [ზაქარაია 1988: 52]. იყო კი რეალურად
ასე? წყარო მოგვითხობს, რომ დავითი დარიალის ხეობის
ბავლით ჩავიდა ოსეთში, კ. ი. ჩრდილოეთ კავკასიაში. დარიალისა

და თერგის ქვემო წელის სიმაგრეები ოსებს რომ საჭარბოდა
ოსთა მეფეები დავითს ჩრდილოეთ კავკასიის და შუალედუ
შეეგძებოდნენ, არამედ ხეობაშივე დარიალის გასასვლელს და
საერთოდ თერგის ხეობას კავკასიონის ქედის დასასრულამდე
ქართული სახელმწიფო ფლობდა. დავითის ჩასვლა ოსეთში
გაპირობებული იყო იმით, რომ ოსები თერგის ხეობის გასასვლელს
ჩრდილოეთი მხრიდან – ჩრდილოეთ კავკასიიდან
აკონტროლებდნენ, რაც ზოგჯერ საქართველოს გარკვეულ
პრობლემებს უქმნიდა (ამ შემთხვევაში ყივჩაყების
გადმოყვანასთან დაკავშირებით). წყაროს ფრაზა, დავითმა „აღიხუნა
ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და
გავკასიის მთისათანი“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ოსები მანამდე
დარიალის ხეობაში იყვნენ გამაგრებული და დავითმა მათ
დარიალის ციხე (კარი) წაართვა, როგორც ეს პ. ზაქარაიას
მიაჩნდა, არამედ იმას, რომ ამიერიდან კავკასიის გასასვლელები
მთლიანად ქართული სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა,
როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი მხრიდან. გაძლიერებული
ქართული სახელმწიფოს მისწრაფება კავკასიონის
გასასვლელებზე ერთპიროვნული ბატონობისა, წარმატებით
დაგვირგვინდა. ბუნებრივია, ამან კიდევ უფრო გაზარდა
საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული
გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე.

ზურგიანი კოშკების საკითხისათვის

ექსპედიციამ 1988-1991 წ.წ. დაზვერვების დროს სხვადასხვა ხასიათის ძეგლებთან ერთად მოიხილა ხევის ტერიტორიაზე არსებული ზურგიანი კოშკებიც. ხევში გავრცელებულია ოთხეუთხა და ზურგიანი კოშკები. მრგვალი კოშკები, რომლებიც ასე დამახასიათებელია ბარისათვის იქ არ გვხვდება. თავის დროზე პ. ზაქარაიამ თერგის ხეობაში ხუთი ზურგიანი კოშკი აღრიცხა [ზაქარაია 1962:63]. თუმცა, ხევში მათი რიცხვი უფრო მეტია. პ. ზაქარაიას მიერ აღრიცხული კოშკების გარდა ისინი გვხვდება: სოფ. ხურთისის პირდაპირ, თერგის მარჯვენა ნაპირის პლატეზე, რომელსაც „გიხი გორას“ უწოდებენ; სოფ. სნოსთან; უროს მთის ძირთან; გერგეტში; გერგეტის ჩრდილოეთით, მდ. ჩხერეს მარცხენა ნაპირზე; გველეთის ციხეზე (ტაბ. V, სურ. 2); დარიალის ციხეზე (ტაბ. XXIII, სურ. 1).

ზურგიანი კოშკის ერთი გვერდი, რომელიც აუცილებლად ხეობაზე გამავალ გზას გასცემის, ყოველთვის ბრტყელია. როი კუთხე მომრგვალებული აქვს. სიმაღლეში კოშკის ტანი თანდათან ვიწროვდება. ქვედა სართული ყრუა. შესასვლელი მოწყობილია ბრტყელ კედელში, მიწის დონიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე. სართულები ერთმანეთს უკავშირდება ხის ქიბით. გადახურვა ბანურია. სქელი კედლების გამო შიდა სივრცე ვიწროა და საცხოვრებლად მნელად გამოსაყენებელი. ზურგიან

ქოშკებს უფრო მეტად საგუშაგო და თავდაცვითი ფუნქცია
პქონდათ [გვასალია . . . 1983:16,17].

სამეცნიერო ლიტერატურაში ზურგიანი ქოშკების საკითხს
პირველად შეეხო პ. ზაქარაია, რომელმაც დაადგინა ამ ქოშკების
გავრცელების არეალი, შეიმუშავა მათი ქრონოლოგიური
კლასიფიკაცია და სხვ. [ზაქარაია 1962:49-82]. ზურგიანი ქოშკების
წარმოშობის დრო ადრე შეა საუკუნეებია. მათ უმრავლესობას V-X
ს.ს. მიაკუთვნებენ. ისინი შენდება გვიან შეა საუკუნეებშიც,
მაგრამ იშვიათად [ზაქარაია 1962:82].

თავის დროზე მიიჩნევდნენ, რომ ზურგიანი ქოშკებს პირობითად
„წანარული ქოშკები“ შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან ისინი
მირითადად გავრცელებული ჩანდნენ წანართა განსახლების
არეალში [გვასალია 1976:147]. შემდგომში გაირკვა, რომ ზურგიანი
ქოშკები გვხვდება წანართა განსახლების არეალის ფარგლებს
გარეთაც და სახელწოდება „წანარული“ უკვე ვეღარ ასახავდა
რეალურ ვითარებას. ამიტომ, ასეთ ქოშკებს სავსებით
სამართლიანად ეწოდა „ზურგიანი ანუ ქართული ქოშკი“, რადგან
ისინი მხოლოდ საქართველოში გვხვდება და კავკასიაში მხოლოდ
ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი
[გვასალია 1983:60; 1997:64]. ჯ. გვასალიამ მოახდინა ამ ქოშკების
ქრონოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა. მისი აზრით უძველესი
ჩანს თლილი ქვის ლოდებით ნაგები ზურგიანი ქოშკები.
მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფში ექცევა კლდის ნატეხი ქვით
და დუღაბით ნაგები შედარებით მცირე ზომის ქოშკები, რომელებიც
მირითადად IX-X ს.ს. დაათარიდა. მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფს
შეაღენს გვიანი შეა საუკუნეების ქოშკები, რომელთა თარიღის
განსაზღვრა ხერხდება სათოფურებითა თუ ნისკარტა
სალოდების მიხედვით [გვასალია . . . 1983:46,47].



ზურგიანი კოშკების დათარიღება ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ამ მხრივ ვერც გათხრები იძლევა ხელშესახებ მასალას, რადგან იშვიათად მოიპოვება ზურგიანი კოშკი, რომლის ირგვლივ არსებული კულტურული ფენა გადარეცხილი არ იყოს. ჯერჯერობით მხოლოდ ორი არქეოლოგიურად შესწავლილი მსგავსი ძეგლია ცნობილი. ესაა ნაქალაქარ ჟინვალის ზურგიანი კოშკი, სადაც გამოვლენილი მასალა ძირითადად XIII-XIV ს.ს. თარიღდება, თუმცა მიიჩნევენ, რომ კოშკი და საერთოდ კომპლექსი უფრო ადრეულია [კალანდაძე 1977:139-144] და ჟინვალის ხერთვისის კომპლექსის ზურგიანი კოშკი, რომელიც განათხარი მასალის მიხედვით თარიღდება XII-XIII ს.ს. [რჩეულიშვილი 1990:47-59]. მოუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ზურგიანი კოშკები თითქოს ნაკლებად განიცდიან ცვლილებას, სამშენებლო ტექნიკით, ზომებითა თუ საერთო იერის მიხედვით, მათში აშკარად შეიმჩნევა ქრონოლოგიური სხვაობა.

ჯ. გვასალიას მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიური სქემა ძირითად ხაზებში მისაღებია. ვფიქრობთ, უფრო ადრეული პერიოდის უნდა იყოს ის ზურგიანი კოშკები, რომლებიც ნაგებია დიდი ზომის დამუშავებული ან ნაწილობრივ დასამუშავებელი ლოდებით. წყობა მშრალია. გვიანი შეა საუკუნეების კოშკებისაგან განსხვავებით მათი გარშემოწერილობა ფართოა, სიმაღლე უფრო დაბალი. ქვემოდან ზემოთ კედლების დავიწროების ტენდენცია მუკორად არაა გამოხატული. თანდათან მშენებლობაში უფრო მუტად იყენებენ საშუალო და შედარებით მცირე ზომის დამუშავებულ ქვებს. წყობა აქაც ძირითადად მშრალია, მაგრამ ძალა-იქ ძუნწად დუღაბიცაა გამოყენებული. შეინიშნება ზურგიანი კოშკების ქრონოლოგიაზე მსჯელობისას ძირითადად გათვალისწინებულია თერგი-არაგვის ხეობებში და დიდველის მიდამოებში. თავმოყრილი ზურგიანი კოშკების მონაცემები.

მისწრაფება კოშკის გარშემოწერილობის შემცირებისა და
სიმაღლეში ზრდისაკენ.²⁰ მკვეთრი ქრონოლოგიური წარული
გავლება პირველი და მეორე ჯგუფის ციხეებს შორის
შეუძლებელია. პირველი ჯგუფის კოშკები აღმართ უფრო მეტად
ადრე შეა საუკუნეებში შენდება. ეტყობა მათ წიაღში თანდათან
იწყება მშენებლობა მეორე ჯგუფის კოშკებისა, რომლებიც
სავარაუდოდ უფრო განვითარებულ შეა საუკუნეებში ჩანა
გავრცელებული. რაც შეეხება გვიანი შეა საუკუნეების ზურგიან
კოშკებს, მათი ცალკე გამოყოფა კედლებში დატანილი
საოფურებისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით შედარებით
აღვილია. ამ ჯგუფის ძეგლებს მიეკუთვნება ხურობის, გვრგეტისა
და სხვ. ზურგიანი კოშკები [ზაქარაია 1962:63,64]. მათთვის
ძირითადად დამახასიათებელია ის, რომ კოშკები ნაგებია კლის
საშუალო და პატარა ზომის ფლეთილი ქვებით, ხშირად
ნაგებობაში ჭარბობს ფიქალის ფილები. დუღაბი უფრო უხვადაა
გამოყენებული. შენობები გაცილებით ვიწრო და მაღალია ვიღრე
მათი წინამორბედები. ამ ნიშნების მიხედვით გველეთის ზურგიანი
კოშკი შესაძლოა განვითარებული შეა საუკუნეებით დათარიღდეს
(ტაბ. V, სურ. 2). დარიალის ციხის ზურგიანი კოშკი (ტაბ. XXIII,
სურ. 1) გველეთის კოშკთან შედარებით ცოტა მოგვიანო ჩანს,
მაგრამ დროით მისგან დიდად არ უნდა იყოს დაშორებული.

არაგვისა და ქსნის ხეობებში ზურგიანი კოშკები ხშირად
წარმოდგენილია კომპლექსით, რომელშიც შედის მაღლები,
ცალკეული სათავსოები და გალავანი [რჩეულიშვილი 1990:60].
ამ კომპლექსების სოციალური ბუნება ბოლომდე არაა გარკვეული.
პ. ზაქარაია მათ ციხედარბაზებად, ზოგ შემთხვევაში კი გზის
მაკონტროლებულ სიმაგრეებად მიიჩნევს [ზაქარაია 1962:49; 1988:159].

ხელოვნებათმცოდნე ლ. რჩეულიშვილის აზრით, თავდაცვითი სასიათის გარდა, კომპლექსს პქონდა საკულტო ფუნქციაც, რა და არ გვაძლესიას იქ მთავარი აღვილი უკავია [РЧЕУЛИШВИЛИ 1983:143].

არქეოლოგი გ. რჩეულიშვილი თვლის, რომ თითოეულ ასეთ ქველს ახასიათებს გარკვეული ინდივიდუალობა. მაგ. ჟინვალის ხეროვისის კომპლექსი რეზიდენცია არაა, ვინაიდან მასში არ არის შესაფერისი სათავსოები. მისი საკულტო დანიშნულება ქი აშკარაა, რაზეც მიუთითებს კომპლექსის თავდაპირველი სახე (ეკლესია, გალავანი) და ხალხური ტრადიცია, რომ იქ არსებობდა ჯვარპატიოსნის სალოცავი. ამასთან, თავისი მდგომარეობის გამო მას უნდა ჰქონოდა საფორტიფიკაციო დანიშნულებაც [რჩეულიშვილი 1990:61]. ზურგიანი კოშკების დანიშნულების გარკვევისას უთუოდ გასათვალისწინებელია გ. რჩეულიშვილის მოსაზრება, რომ ყოველი მათგანი ხასიათდება გარკვეული ინდივიდუალობით. ხევში სოფ. კობისა და ხურთისის ზურგიანი კოშკების კომპლექსებს თავდაცვით ფუნქციასთან ერთად საკულტო დანიშნულებაც ექნებოდათ, ვინაიდან კომპლექსებში ეკლესიებიც გვხვდება. მაგრამ თერგის ხეობაში არის უსლად მდგარი („გიხი გორა“) ან ციხის კომპლექსში ჩართული (გველეთისა და დარიალის ციხის) ზურგიანი კოშკები, რომელთაც მხოლოდ საგუშაგო და თავდაცვითი ფუნქცია შეიძლება ჰქონოდათ.


* * *

თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებთან ერთად (მთიულეთი, ხევსურეთი, ფშავი) უკვე ძვ. წ. III

ათასწლეულში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომში განსახლებული არიან ხევის ტერიტორიაზეც. სოფ. ტარტუმში მასალებმა ცხადყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სხვადასხვა გზებს შორის ერთ ერთ მნიშვნელოვან გზას მდ. თერგის ხეობაც წარმოადგენდა.

მართალია, ადრე შუა საუკუნეების ქართლის ბარსა და მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბები რაღიკალურად განსხვავებულია, მაგრამ გველეთის სამაროვნის მასალებით ისე ჩანს, რომ VI-VII ს.ს. ხევის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია.

შუა საუკუნეების ხევის არქეოლოგიურ ძეგლებზე (გველეთის სამაროვანი, დარიალის ციხე) გამოვლენილი მასალის უმრავლესობა ადგილობრივი - ქართული ნაწარმია. მათი ნაწილი არაგვი-თერგის ხეობების რომელიმე საწარმოო ცენტრშია დამზადებული. არქეოლოგიური მასალებით კარგად იკვთება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც პქონდა ხევს აღმოსავლეთ საქართველოს მთისა თუ ბარის სხვა რეგიონებთან. ხევის განათხარ ძეგლებზე იმპორტული ნივთების დიდი ნაწილი ჩრდილოკავკასიურია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხევი უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიას, რომელთანაც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე პქონდა რეგულარული ურთიერთობა. გველეთის სამაროვანზე იმპორტული ნივთების შედარებით მცირე ნაწილი სასანურია. მათი იქ აღმოჩენა თერგის ხეობაში ირანულ ექსპანსიას უკავშირდება, მაგრამ ამ ნივთების ერთი ნაწილი ხევში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად ჩანს მოხვედრილი.



შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. გველთის სამაროვნის მასალების მიხედვით ადრეულ შუა საუკუნეებში ხევის მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია მკვეთრად არაა გამოხატული, მაგრამ მაინც შეიმჩნევა. თუ ზოგიერთ სამარხში (№10) სულ ორიოდე ნივთია გამოვლენილი, №№15,16 სამარხები გამოირჩევა ინვენტარის განსაკუთრებული სიუხვით. სამარხებში აღმოჩენილი ქამრებიც მათი მფლობელების გარეული საზოგადოებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ნიშანია. ისინი თავის დროზე ეკონომიურად და ეგებ სოციალურადაც პირველობდნენ თემში, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს თემისათვის მოსათმენი იყო. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხებთან შედარებით (გამონაკლისს წარმოადგენდა ცხრაზმა, რომელიც ფეოდალიზირებულ ერთეული იყო) ხევის საზოგადოება სოციალურად და ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებული ჩანს [თოვჩიშვილი 1998:3]. ამის მიზეზად პირველ რიგში უნდა დასახელდეს ხევის გამორჩეული სტრატეგიული მდებარეობა და მასზე გამავალი მაგისტრალი, რომლითაც ის მჭიდროდ ჰქავშირდებოდა ფეოდალურ ბარს.

წანართა ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ხევის არქეოლოგიურ ძეგლებზე (გველთის სამაროვანი, დარიალის ციხე და სხვ.) გამოვლენილი მასალა, რომელიც ცალკეული იმპორტული ნივთების გარდა წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის სრულიად იდენტურ და განუყოფელ ნაწილს. ეს ერთობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული თერგის ხეობაში

არაქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დაშვებაზე
შესაბამისად წანარების არაქართულ ეთნიკურ ურთისებების
მიჩნევა.

ხევს, როგორც „უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე
მონაპირე „ქვეყანას“ უნდა უზრუნველყო აღმოსავლეთ
საქართველოს უსაფრთხოება ჩრდილოელი მეზობლების
თავდასხმებისაგან. ამის გამო ხევი ყოველთვის მოქცეული იყო
სამეფო ხელისუფლების მზრუნველობის ქვეშ. სახელმწიფოს
მხრიდან ამ რეგიონისადმი კურადღება გაპირობებული იყო
იმითაც, რომ თერგის ხეობაზე გადიოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ
კავკასიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ყოველთვის დიდ
როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

დარიალის ციხეს, რომელიც კონტროლს უწევდა კავკასიის
ერთ-ერთ უმთავრეს მაგისტრალს, დარიალის გზას, განუზომლად
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ
მთელი სამხრეთ კავკასიისათვის. ის აგბულია ხეობის ყველაზე
ვიწრო ადგილას, სადაც მოწინააღმდეგის შეკავება შედარებით
მცირე ძალებითაც შეიძლებოდა. არქეოლოგიური მასალების
მიხედვით ციხის ტერიტორია უკვე ძვ. წ. V ს. ჩანს ათვისებული
ციხე ქართულ და უცხოურ წყაროებში ას. წ. I ს-თვის იხსენიება.
ციხის შეა საუკუნეების განათხარ მასალაში კარგად შეინიშნება
ხევის კავშირები როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბართან,
ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან. დარიალის ციხე ყოველთვის
შემოდიოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და
სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთი ტენდენციური მქვდევარის
(ა. ნოვოსელცევი, ვ. კუზნეცოვი) მოსაზრება, მისი ალანებისადმი
კუთვნილების შესახებ. გვიან შეა საუკუნეებში დარიალის გზის
ფუნქციის მოშლასთან ერთად ციხემაც დაკარგა თავისი

მნიშვნელობა. 1733 წელს შედგენილი რუკის ექსპლიკაციის
მიხედვით ის უკვე მიტოვებულია.

რაც შეეხება ხევში ფართოდ გავრცელებულ ზურგიან კოშკებს,
ჩანს, უფრო ადრეული უნდა იყოს დიდი ზომის დამუშავებული
ან ნაწილობრივ დასამუშავებელი ლოდებით მშრალად ნაგები
კოშკები. მათი გარშემოწერილობა ფართოა, სიმაღლე - დაბალი.
ჭემოდან ზემოთ კედლების დავიწროების ტენდენცია მკვეთრად
არა გამოხატული. თანდათან მშენებლობაში უფრო მეტად
იუნებენ საშუალო და შედარებით მცირე ზომის დამუშავებულ
ჭებს. წყობა აქაც ძირითადად მშრალია, მაგრამ აქა-იქ ძუნწად
დუღაბიცაა გამოყენებული. შეინიშნება მისწრაფება კოშკის
გარშემოწერილობის შემცირებისა და სიმაღლეში ზრდისკენ.
პირველი ჯგუფის კოშკები ალბათ უფრო მეტად ადრე შუა
საუკუნეებში შენდებოდა. მათ წიაღში თანდათან იწყება
შენებლობა მეორე ჯგუფის კოშკებისა, რომლებიც სავარაუდოდ
უფრო განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. რაც შეეხება
გვანი შეა საუკუნეების ზურგიან კოშკებს, მათი ცალკე გამოყოფა
საოფურებისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით შედარებით
აღვილია.

ასეთია მოკლედ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური
ექსპედიციის მიერ 1988-1991 წ.წ. ხევში ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგები.
განათხარი მასალა საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სისრულით
წარმოვაჩინოთ „წანარეთის ხევის“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი.
პვიქრობთ, მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება თერგის
ხეობაში, უფრო მეტ ნათელს მოჰყენს ხევის ისტორიის ჯერ
ქიდევ ბურუსით მოცულ ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას.

Д. В. Миндорашвили



Археологические раскопки в Хеви

(Казбегский р-н)

(резюме)

Введение

Исследование кардинальных вопросов истории Грузии невозможно без рассмотрения традиционных взаимоотношений горных и низменных регионов страны. Могущество государства полностью зависело от единства этих регионов, характеризующихся многосторонними и разнообразными связями. Для раскрытия этих взаимоотношений необходимо было комплексно изучить отдельные уголки горных регионов. В Институте истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили в 1971 году в связи со строительством Жинвальского водохранилища была организована Жинвальская археологическая экспедиция под руководством проф. Р. М. Рамишвили, и тем самым было положено начало такого рода изучению. Экспедиция исследовала памятники разного периода и характера в горных регионах Восточной Грузии, что позволило по-новому осветить узловые вопросы этих регионов и их взаимоотношений с равнинными регионами.

В сферу интересов экспедиции, наряду с другими горными регионами, входила и территория Хеви (Казбегский р-н). С момента основания грузинского государства исторический Хеви (ранее известный под названием Цанаретис Хеви, т.е. Ущелье цанаров) как один из важнейших стратегических регионов страны, обеспечивающий безопасность Картлийского царства при нашествии кочевых северокавказских племен,

всегда был в центре внимания царской власти. Интерес к изучению Хеви усиливало и то, что по его территории проходила дарьальская дорога, которая имела огромное значение в развитии политico-экономических и культурных связей между Южным и Северным Кавказом.

Археологические памятники Хеви привлекли к себе внимание ученых с 70-х годов XIX столетия. В 1874 г. недалеко от нынешнего Дома-музея писателя Ал. Казбеги случайно были обнаружены бронзовые предметы. В 1877 г. в результате проведенных там раскопок Г. Филимоновым был обнаружен материал VI-V вв. до н.э., который впоследствии получил название Казбегского клада. В 1878 г. Фр. Байерн изучил это место и выявил многочисленные золотые, серебряные и бронзовые предметы. Он вел также поисковые работы на Дарьальской крепости, а в селах Артхмо и Джута раскопал средневековые каменные гробницы.

В 1879 г. С. и П. Уваровыми, З. Антоновичем, К. Ольшевским и другими археологами при проведении работ вблизи раскопок Фр. Байерна, были обнаружены предметы из золота, серебра, бронзы и железа несколько более позднего периода, чем материалы “Клада”.

В 1882 г. Г. Хатисов проводил раскопки у села Гвелети. Обнаруженный им материал относится к позднеантичному и раннесредневековому периодам.

В 1888 г. в с. Казбеги и севернее села раскопки проводил А. Бобринский.

В 1934-1935 гг. место обнаружения “Клада” изучил А. Круглов. Он провел раскопки на Дарьальской крепости, в с. Ларс и в других пунктах, где был выявлен средневековый археологический материал.

В 1962-1963 гг. археологические раскопки на Дарьальской крепости и во дворе Дома-музея писателя Ал. Казбеги вела экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили под руководством Л. Цитланадзе. В результате исследований выяснилось,

что на крепости представлены культурные слои древнее I века н. э. В
дворе Дома-музея были обнаружены безинвентарные каменные гробницы.
Экспедиция также работала недалеко от с. Ларс, где были найдены могильники
датированные ранним средневековьем. В 1966 г. экспедиция работала в
Дарьальском ущелье. На правом берегу р. Терек, на месте, которое
известно под названием “Гигиас сатиби” (Сенокос Гигиа), случайно была
обнаружена группа каменных гробниц.

В 1972 г. Жинвальская археологическая экспедиция Института истории,
археологии и этнографии (рук. проф. Р. Рамишвили) возобновила раскопки
могильника “Гигиас сатиби”. Могильник датирован IX-X веками.
Экспедиция проводила разведывательные работы и маломасштабные
раскопки в селах Гергети, Гарбани, Сиони, на Аршской крепости, в
Ахалцихе, где было изучено несколько церквей и подземных склепов. В
следующем году экспедиция изучала церкви и средневековые склепы в
с. Ткаршети.

В 1978-1980 гг. экспедиция молодых ученых Тбилисского
государственного университета, в которой участвовали и археологи,
провела раскопки одного из сооружений Бетлемского монастыря.

В 1988-1989 гг. экспедиция горных регионов Восточной Грузии Центра
археологических исследований возобновила изучение исторических
памятников Хеви. Раскопки проводились на разных участках Дарьальской
крепости. В средневековых культурных слоях крепости был выявлен
многочисленный археологический материал. Раскопки охватили и
могильник крепости.

В 1991 г. в с. Ткаршети случайно были найдены два глиняных сосуда
раннебронзового периода. В том же году экспедиция провела раскопки
могильника конца VI – начала VIII вв. недалеко от Гвелетской крепости.
Такова вкратце история археологического изучения Хеви.

Глава I

Керамика Куро-Аракской культуры из с. Ткаршети

В 1991 г. на правом берегу р. Терек, в с. Ткаршети случайно были найдены два сосуда, относящиеся к Куро-Аракской культуре (табл. IV, рис. 1, 2), тем самым подтвердилось, что территория Хеви, наряду с другими горными районами Восточной Грузии была освоена уже в эпоху ранней бронзы. Ткаршетским материалам обосновывается ранее высказанное предположение о том, что одним из путей проникновения Куро-Аракской культуры на Северный Кавказ было ущелье р. Терек.

Глава II

Гвелетский могильник

Могильник расположен в Дарьяльском ущелье, на левом берегу р. Терек, недалеко от Гвелетской крепости. Каменные могилы ориентированы с востока на запад. Усопшие захоронены выпянутыми на спинах, головами на запад. Встречаются как индивидуальные, так и семейные гробницы (табл. VI, VII). В могилах №№ 4, 13 усопшие были уложены на спины, головами на запад; ноги были скрещены в области колен. Обычай погребать усопших со скрещенными ногами был распространен на Северном Кавказе. Такую традицию захоронения связывают с сармато-аланским миром. Но выясняется, что погребение со скрещенными ногами характерно и для местного населения Северного Кавказа. Следовательно определение этнической принадлежности усопших по этому признаку невозможно.

Погребальный инвентарь, датированный концом VI - началом VIII века, многочислен и разнообразен. Керамика представлена кувшинами соломенного и красноватого цветов, чернолощеными сосудами (табл. XIV, рис. 6, 8, 14, 23, 56, 57, 75, 76, 138). Там же обнаружена бронзовая чаша (табл. XIV, рис. 77) и серебряная монета Кавада (488-531 гг.) (табл. IX, рис. 73). Из боевого оружия в могилах встречаются железные копья (табл. VIII, рис. 24, 43, 51). Большую часть материала составляют украшения и принадлежности одежды: железные, серебряные и бронзовые фибулы (табл. IX, рис. 3, 4, 7, 11, 18, 28, 32, 48, 52, 60-62, 80, 85, 86, 119, 135), пряжки, бляхи, два бронзовых ремня (табл. X, рис. 5, 9, 17, 19, 25, 31, 70, 91-93, 109-111, 132), бронзовые и серебряные перстни, некоторые из них украшены геммами (табл. XI, рис. 2, 12, 15, 16, 36, 50, 53, 65, 72, 120-123, 136). На одной из гемм вырезана пехлевидская надпись "справедливость" (табл. XI, рис. 124). Один перстень стеклянный (табл. XI, рис. 37). В могилах встречаются бронзовые браслеты с расширенной средней частью (табл. X, рис. 38, 45, 46). Большинство булавок цельнолитые (табл. XIII, рис. 26, 47, 100-106, 130). Из украшений интерес представляют бронзовые "диадемы" (табл. XII, рис. 96-97, 126-127); серебряная пластина с изображением птиц (табл. XII, рис. 98) и бронзовая с изображением всадника (табл. XI, рис. 64). Среди других предметов следует отметить бронзовые бубенчики, колокольчики, зеркало, цепочку и др. (табл. XII, рис. 54, 66-68, 118). В могилах было найдено свыше 800 стеклянных, сердоликовых, янтарных, хрустальных, агатовых, халцедоновых бусин разных форм и размеров (таб. XV).

Материал Гвелетского могильника является важнейшим источником для изучения культурно-экономических отношений Хеви с горными и равнинными регионами Картли и Кахетии, с Северным Кавказом, с Сасанидским Ираном и др. Особый интерес с этой точки зрения

представляют могилы № 13, 15, 16, где наряду с грузинскими, имеются предметы северокавказского и иранского происхождения.

Местный (грузинский) материал является основной частью погребального инвентаря. Большая часть импортных предметов - северокавказского происхождения. Это неудивительно, так как Хеви, непосредственно граничащий с Северным Кавказом, имел с ним регулярные тесные связи. Сасанидские предметы в могилах встречаются в меньшем количестве. Это – монета Кавада и геммы.

Материал Гвелетского могильника интересен и для определения этнической принадлежности цанаров, которые под названием "санары" впервые упоминаются в "Географическом учебнике" Клавдия Птолемея, где кратко указано, что за Албанией "проживали санары." Из этого следует, что цанары проживали в горных районах Кавказа в II в. н.э. Название "санары" встречается в древнегрузинском источнике - "Обращение Картли", в котором упоминается древнее название Терского ущелья - "санарское ущелье". Цанары проживали в основном в районе Терского ущелья. С усилением цанаров, их влияние постепенно распространяется и на другие территории.

В. Бартольд, А. Генко, З. Минорский, А. Микиртумян считали цанаров северодагестанскими или вайнахскими племенами, но серьезных аргументов подтверждающих эту теорию они не приводили.

Большинство грузинских исследователей (Н. Марр, С. Какабадзе, Дж. Гvasалиа, Р. Рамишвили и др.) не сомневается в том, что цанары - племена грузинского (западногрузинского) происхождения. Археологического материала, который мог бы помочь окончательно решить эту проблему, на сегодняшний день недостаточно. Тем не менее, возможно высказать некоторые предположения по этому вопросу. Материалы археологических памятников Хеви раннего средневековья (Гвелети,

“Гигиас сатиби,” Дарьядльская крепость и др.), за исключением северокавказского и ирано-арабского импорта, выявляют полную идентичность с археологическим материалом того же периода, обнаруженным в ущельях рек Арагви и Ксани и равнинных регионах Картли. Средневековая материальная культура Хеви является единой, органичной и неотъемлемой частью материальной культуры Восточной Грузии. При существовании в Хеви негрузинских этнических групп такое тождество в какой-то форме обязательно было бы нарушено. Но это сходство столь очевидно, что гипотеза о существовании в Терском ущелье негрузинских этнических групп лишена основания.

Глава III

Склепы

Помимо каменных гробниц в средневековом Хеви в большом количестве встречаются и подземные склепы, которые строились немного позднее каменных могил и их появление связано с резкой переменой идеологии населения. Склепы в основном однотипны. В плане они прямоугольные, ориентированы с востока на запад с незначительным отклонением. Склепы возведены более или менее обработанными сланцами, песчаниками и андезито-базальтовыми квадрами. Кладка сухая. Иногда применен известковый раствор. Склепы перекрыты горизонтально сложенными сланцевыми плитами. В западной части перекрытия склепа устроен проход четырехугольной формы. Отдельными деталями склепы несколько отличаются друг от друга, в частности: 1. Склепы с вертикальными стенами, имеющие ступени у западной стены в виде выдвинутых из стен плит (табл. XVII, рис. 1, 2); 2. Склепы с вертикальными стенами, со встроенным в северной и южной стенах сланцевыми полками

для усопших (табл. XVII, рис.3); 3. Склепы, стены которых кверху постепенно сужаются, образуя ложный свод (табл. XVII, рис.4). Склепы Хеви родственны склепам раннего средневековья равнинных регионов Восточной Грузии. Усопшие захоронены по христианскому обряду - в вытянутом положении, головой на запад. Нижней границей появления склепов принято считать IX-X вв., Но склепы Хеви с вертикальными стенами своей структурой настолько идентичны склепам Арагвского бассейна, датированным VI-VIII вв. (Недзихи, Картана и др.), что нижние хронологические границы возведения склепов следует пересмотреть и причислить их к более древним. IX-X вв. – это период, когда в Хеви окончательно и глубоко утвердилось христианство. Что же касается склепов с ложными сводами, в соответствии многочисленными параллелями, они датируются развитым средневековьем. В IX-X вв., особенно интенсивно X-XI вв., с распространением християнства, строительство аналогичных подземных склепов проникает из Грузии на Северный Кавказ.

Глава IV

Дарьядльская крепость

§ 1. Оборонительная система и жилые сооружения. Дарьядльская крепость (табл. XVIII, рис.1,2; табл. XIX-XXII), контролировала дарьядльскую дорогу и имела величайшее стратегическое значение не только для Восточной Грузии, но и для всего Южного и Северного Кавказа. Крепость расположена на левом берегу р. Терек, на самом узком месте ущелья, на неприступной с восточной и западной сторон высокой скале. В крепости сохранились оборонительные стены разного периода и развалины других сооружений. Из них хорошо датируются стены,

сложенные так называемой «изодомной кладкой», которая по внешнему виду почти повторяет кладку стен крепости Уджарма, датирующихся рубежом V-VI вв. Такого рода стены сохранены на цитадели крепости (табл. XX) и вдоль её западного склона. К периоду развитого средневековья должна относиться прямоугольная башня у северных ворот, воздвигнутая на стене изодомной кладкой. К позднему средневековью относится прямоугольная башня цитадели с полукруглыми контрфорсами (табл. XXII, рис.1). У северных ворот, под стеной, сложенной изодомной кладкой, выявлена оборонительная стена сухой кладки толщиной в 6 метров, из необработанных глыб (табл. XXIII, рис.2). Её возведение можно причислить к строительной деятельности царя Мирвана (II в. до н.э.). Прослеживаются четыре основных периода строительства крепости: I - конец I тыс. до н.э.; II - рубеж V-VI вв.; III - развитое средневековье; IV - позднее средневековье.

В 800 метрах севернее крепости, на самом узком месте, сложены ворота, построенные позднее крепостных стен рубежа V-VI вв., но надо полагать, что на этом месте и раньше возвышалась оборонительная стена, которая была частью единой фортификационной системы Дарьальской крепости (табл. XXV, рис.1,2).

Обнаруженное за оградой, у подножья юго-западного склона Дарьальской крепости, сооружение XIII-XIV вв. дает представление о характере жилого помещения рядовой семьи в период развитого средневековья. Прямоугольное в плане здание возведено скальными камнями. Кладка сухая. Перекрытие горизонтальное. Здание выстроено в соответствии с местными народными строительными традициями. Имеется очаг, тоне (устройство для выпечки хлеба), харо (яма для хранения зерновых) (табл. XXIV, рис.1). В семье пользовались хозяйственной, кухонной и столовой керамикой, в том числе и поливной.

§ 2. Археологический материал. Среди археологического материала крепости самым древним является наконечник стрелы, датируемый серединой I тыс. до н.э. (табл. XIII δ). К ранней (конец IV в. до н.э.) группе предметов относится бронзовая булавка со стилизованным изображением двуглавого животного (табл. XIII δ). Третий предмет – агатовая бусина, форма которой довольно обычна (прямоугольная) и встречается как в могилах VIII-VII вв. до н.э., так и в могилах III-I вв. до н.э. Указанные предметы служат доказательством того, что на крепости существовали слои, относящиеся к периоду до I тыс. н.э. (Л. Цитланадзе). Из посуды раннего средневековья интересны датированные VII в. соломенного цвета кувшинчики с гофрированной шейкой (табл. XXVI, рис. 62, 232), аналоги которых известны по Гвелетскому могильнику. Кувшинчики VI-VIII вв. имеют украшенные шишками ручки. На тулове следы гончарного круга и выемчатые треугольники (табл. XXVI, рис. 37, 38, 63, 84, 85, 137, 140, 173, 184, 185, 197, 214. табл. XXVII, рис. 30-34). Для чапи (кувшинь большого размера) характерен раскрытый венчик, расширенное горло, массивные ручки, некоторые из них украшены шишкой. Чапи тоже соломенного цвета (табл. XXVII, рис. 42, 73, 139. табл. XXVIII, 8, 138, 225). Они датируются VI-VIII вв.

Большинство черепиц (солен) раннего средневековья ангобированы. Видно, что некоторые сооружения крепости перекрыты специально привезенным строительным материалом. Это лишний раз указывает на особую роль Дарьяльской крепости.

Среди материала раннего средневековья выделяется чернолощенная керамика, которая отличается формой и структурой черепков от ранее описанной посуды (табл. XXIX, рис. 21, 55, 69, 71, 230). Чернолощенная керамика не характерна для грузинской средневековой материальной культуры. Она встречается в большом количестве на Северном Кавказе,

оттуда же в результате торгово-экономических отношений, эта керамика попала в Дарьальское ущелье.

К развитому средневековью относятся четыре фрагмента красного и соломенного цвета хелад (кувшины малого размера), расписанные ангобом (табл. XXVIII, рис. 191, 210, 237). Основной вид орнамента представлен прямыми, волнистыми или точечными поясами.

В сооружении XIII-XIV вв., выявлены сосуды (хелады) с загнутым сливом к верху, форма которых характерна для грузинской керамики развитого средневековья (табл. XXXIII, рис. 91, 92, 97). К отдельной группе относятся образцы черной и серой керамики, с украшенными насечкой (табл. XXXII, рис. 74, 87, 94). Они значительно отличаются от грузинской керамики. В Хеви они завезены с Северного Кавказа.

В меньшем количестве в крепости выявлена поливная посуда. Это большей частью миски. Образцы поливной керамики датируются XII-XIV вв. (табл. XXXIV). Ко второй половине XVIII в. относятся два фрагмента фаянса (табл. XXXIV, рис. 10, 205).

Выявленные археологические материалы свидетельствуют о том, что в раннем и развитом средневековье крепость была довольно густо населена. Следы дальнейшей интенсивной жизни на крепости не найдены. В позднем средневековье это значительнейшее стратегическое укрепление постепенно теряет свою функцию. Первому нашествию крепость подверглась в конце XIV в. во время опустошительных войн Тамерлана. Процесс ослабления крепости ускорился в середине XV в., когда единое грузинское государство стало распадаться на отдельные царства. Осложнилась внешне и внутриполитическая ситуация в стране. Наряду с другими путями Дарьальская дорога потеряла свое международное значение, что привело к упадку крепости. Согласно экспликации карты, в 1733 г. – это уже заброшенная крепость.

§ 3. Могильник Дарьяльской крепости. Могильник расположен на равнине у основания южного склона Дарьяльской крепости. Каменные гробницы ориентированы с востока на запад (табл. XVI). Инвентарь отсутствует. В могилах усопшие лежат в вытянутом положении, головой на запад. В четырех могилах усопшие погребены на правом боку, головой на запад, с чуть согнутыми конечностями. В некоторых могилах погребены младенцы и подростки. Могилы индивидуальные. Они датируются поздним средневековьем.

Средневековые могильники найдены в Хеви в селах Ларс, Ткаршети, Артхмо, Джута, Казбеги и др. В вышеуказанных могильниках обнаружены могилы одного типа - каменные гробницы, ориентированные с востока на запад. Каменные гробницы прослеживаются в Хеви на протяжении всего средневековья.

§ 4. Некоторые вопросы истории Дарьяльской крепости. Вопросов истории крепости коснулся не один исследователь. А. П. Новосельцев считал Дарьяльскую крепость “городом” аланов и свое предположение обосновал следующим образом: название “дариалан” связано с этнонимом “аланы.” Кроме того, согласно ранним армянским и поздним арабским источникам, ущелье, где расположена крепость, называли Дариалан.

Название ущелья, которое связано с этнонимом “алани” ещё не дает основания считать существующую там крепость аланской. Согласно этой логике выводит, что начиная с с. Казбеги, т.е. с начала Дарьяльского ущелья и севернее - до с. Ларс (конец Дарьяльского ущелья) все исторические памятники - аланские, что абсурдно. Этую территорию занимали цанары – грузинские племена. Цанары проживали не только в Дарьяльском ущелье, но и до конца Терского ущелья (окрестности Балта). Памятники материальной культуры, существующие в Терском ущелье - это наследие цанаров. Только позднее, с конца VI в. или в VII в. в

северной части ущелья (например Чми) постепенно появляются катакомбы – характерные элементы аланской культуры. Миграция этнических групп аланов не меняла политических границ Иберии. “Дариалан” не относится к ряду древних названий. Еще в I в. Плиний называл Дарьял “Кавказскими воротами.” Леонтий Мровели упоминает его под названием “Арагвские ворота.” Название Дариалан (по-персидски “Аланские ворота”) могло возникнуть лишь в конце VI в., когда ущелье контролировали персы, а аланы постепенно стали появляться в районе Балта-Чми. Итак, “Дариалан” – это позднее название ущелья. Сама же крепость возведена гораздо раньше появления на Кавказе аланов.

А. П. Новосельцев отмечал, что грузинские источники хорошо знакомы с названием аланских ворот “Дариалан,” имея ввиду сведения Леонтия Мровели. Во время деятельности Леонтия Мровели (XI в.) ущелье уже имело это название (“Дарьальское”) и оно часто упоминается летописцем. Но Мровели хорошо знал и древнее название ущелья – “Арагвские ворота, которые есть Дарьял” (Ж.К., I, с. 11,12).

